

აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი

ნ ი ნ ო დ ა მ ე ნ ი ა

**სამეურნეო რისკი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და
მისი უკუბუების ეკონომიკური კარამეტრები
ფერმერულ მეურნეობებში**

(კოლხეთის დაბლობის სამეგრელოს რაიონების – ხობის, სენაკის,
ზუგდიდის, აბაშის მაგალითზე)

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: 08.00.13– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ომარ ქეშელაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თბილისი – 2006წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	4
თავი I. საბაზრო ეკონომიკის არსი, საფუძვლები და ძირითადი მოტივაციები სამეურნეო რისკთან დაკავშირებით	12
1.1. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება, არსი, მნიშვნელობა და ძირითადი ნიშნები	12
1.2. საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ელემენტები, მოთხოვნები და მოტივაციები.	19
1.3. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები და გარემო	26
თავი II. სამეურნეო რისკის თეორია და მისი გამოყენებითი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.	32
2.1. სამეურნეო რისკის გაგება და მისი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში	32
2.2. სამეურნეო რისკის თეორიული საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში	38
თავი III. სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის განსაზღვრისა და შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომები და კრიტერიუმები	43
თავი IV სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები სამეგრელოს რაიონების ფერმერულ მეურნეობებში	71
4.1. ფერმერული მეურნეობების ფუნქციები და ძირითადი ამოცანები	71
4.2. სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები სამეგრელოს რაიონების ტიპური (მაპროფილებელი) ფერმერული მეურნეობების მაგალითზე, სხვადასხვა პოზიციის მიხედვით.	77
4.2.1. წარმოების სპეციალიზაციის დონის მიხედვით	77
4.2.2. მეურნეობის სიდიდის მიხედვით	88

4.2.3.	<i>ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით</i>	95
4.2.4.	<i>ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დონის მიხედვით</i>	101
4.2.5.	<i>მეურნეობის მდგრადობის მიხედვით</i>	110
4.2.6.	<i>მეურნეობის გადახდისუნარიანობის მიხედვით</i>	117
4.2.7.	<i>საქონლის ფასის მიხედვით</i>	126
4.2.8.	<i>სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუკლების სინთეზირებული (ოპტიმიზირებული) მაჩვენებელი და მისი პროგნოზირებული დონე</i>	136
თავი V	სამეურნეო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები, მოთხოვნები და ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღება.	145
	დასკვნები და წინადადებები.	163
	გამოყენებული ლიტერატურის სია.	177

შ ე ს ა გ ა ლ ი

თემის აქტუალობა. საქართველოს სოფლის მეურნეობა საკმაოდ რთული სამართავი ობიექტია, რაც უწინარეს ყოვლისა განპირობებულია მის მცირემიწიან სივრცეში არსებული უაღრესად მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც მკვეთრად და არცთუიშვიათად რადიკალურად განსხვავდება ზონალურ და მიკროზონალურ მასშტაბში.

ამას ემატება საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი კლასიკური მოტივაციები და მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად, ძალზე პრინციპულად და აქტუალურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობისა და მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული თითოეული დარგის განვითარება და ამა თუ იმ სასურსათო პროდუქტის წარმოების ტემპებისა და მასშტაბების განსაზღვრა უნდა ეყრდნობოდეს მკაცრად მიზნობრივ და მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებს, მორგებულ ეკონომიკურ მექანიზმს, რომლის საბოლოო შედეგი მხოლოდ მომგებიანი და კონკურენტუნარიანი იქნება.

ამ პრობლემების (ამოცანების) გადაწყვეტა თანამედროვე გააზრების, პროგრესული მეთოდოლოგიური არსენალის უთუო გამოყენებას მოითხოვს, რაც მრავალვარიანტულ და მრავალფაქტორულ გათვლებს უნდა ეყრდნობოდეს.

ათეული წლების მანძილზე ეკონომიკურმა მეცნიერებამ დიდი გამოცდილება დააგროვა კვლევის მეთოდოლოგიის სრულყოფის ხაზით.

ეტაპების მიხედვით მეთოდური მიდგომები, ხერხები და წესები იხვეწებოდა, სრულყოფასა და მოდიფიკაციას განიცდიდა.

უკანასკნელ ხანს ფართო აღიარება და მხარდაჭერა ჰპოვა და რეალურად მოერგო საბაზრო მოტივაციებს სამეურნეო რისკის თეორიისა და გამოყენებითი ხასიათის მეთოდები, რაც უტყუარ საფუძველს ქმნის ყველაზე ოპტიმალური და მომგებიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სულ უფრო მეტად მოითხოვს სამეურნეო რისკის გათვალისწინებას და მისი მოსალოდნელი შედეგების საფუძველზე ორგანიზაციულ-ეკონომიკური ბერკეტების შეწონასწორებულ გამოყენებას და რეგულირებას.

ახლა სამეურნეო რისკის შეფასების გარეშე, სოფლის მეურნეობის განვითარების სწორი მიმართულებებისა და პოზიციების განსაზღვრა და მათი პრაქტიკული რეალიზაცია სრულყოფილად ვერ მოხერხდება.

უკანასკნელ ხანს ბევრი გამოკვლევა მიეძღვნა სამეურნეო რისკის, როგორც ალბათური კატეგორიის თეორიასა და პრაქტიკას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის თეორიისა და შესაბამისად მისი შეფასების მეთოდოკის პრაქტიკული გამოყენების პრეცედენტი ჯერ არ გაგვაჩნია. ამიტომ მისი კვლევა საკმაოდ აქტუალურია და დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

სამეურნეო რისკის შეფასებისა და მეცნიერული კვლევის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს თუ როდის და რა მასშტაბით უნდა გავწიოთ რისკი სამეურნეო საქმიანობაში, რათა მივიღოთ გარანტირებული მოგება.

აქედან გამომდინარე, სამეურნეო რისკის შეფასება თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალურია და ამ ხაზით ჩატარებული მეცნიერული

გამოკვლევები ფართო ინტერესს იმსახურებს. ამასთან, მას აქვს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია სამეგრელოს რაიონების (ხობი, სენაკი, ზუგდიდი, აბაშა) მაგალითზე დადგინდეს და შეფასდეს სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის პირობები, ფაქტორები და ამოსავალი კრიტერიუმები, განისაზღვროს მისი მიზანშეწონილობისა და უკუგების ზღვრები და ეკონომიკური პარამეტრები და ამის საფუძველზე დამუშავდეს დარგის განვითარების რეალურად გამართლებული პერსპექტივები და ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტების შეწონასწორებული გამოყენების რეკომენდაციები.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, გადაწყდა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- დამუშავდა ფერმერულ მეურნეობებში სამეურნეო რისკის შეფასებისა და მისი მართვის მექანიზმის განსაზღვრის მეთოდოლოგიური მიდგომები და კრიტერიუმები;
- დადგინდა სამეურნეო (იგივე ეკონომიკური) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ოპტიმალური დონეები ტიპური (მაპროფილებელი) ფერმერული მეურნეობების მაგალითზე, შემდეგი განზოგადების მიზნით. ეს პარამეტრები დადგინდა შემდეგი ძირითადი პოზიციების მიხედვით: წარმოების სპეციალიზაციის დონის მიხედვით; მეურნეობის სიდიდის მიხედვით; ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით; ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დონის მიხედვით; მეურნეობის მდგრადობის მიხედვით; მეურნეობის გადახდისუნარიანობის მიხედვით და საქონლის ფასის მიხედვით;

- დადგინდა სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრების სინთეზირებული (ოპტიმიზირებული) მაჩვენებელი და მისი პროგნოზირებული დონე;
- დადგინდა სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური უკუგების სინთეზირებული (ოპტიმიზირებული) მაჩვენებელი და მისი პროგნოზირებული დონე;
- დადგინდა სამეურნეო რისკის მართვის სისტემური მოდელი და მექანიზმი (სამართავი სისტემა).

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობა, კერძოდ სამეგრელოს რაიონებში (ხობი, სენაკი, ზუგდიდი, აბაშა) 2002-2006 წლებში არსებული (ფუნქციონირებადი) ფერმერული მეურნეობები.

კვლევის საგანია სამეურნეო რისკის მართვის მექანიზმი, როგორც თანამედროვე ფერმერული მეურნეობის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკის თანამედროვე სისტემის ფუნდამენტური თეორიული პრინციპები, მოთხოვნები და პირობები საბაზრო ურთიერთობათა მოტივაციების გათვალისწინებით.

სამეურნეო რისკის ირგვლივ ძირითადად უცხოელი და ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები და ამ კუთხით გამოქვეყნებული მეცნიერული, მ.შ. მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომები.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატისტიკური კრებულები, საქართველოს სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შრომათა კრებულები, აგრეთვე ინტერნეტ-საიტებში გამოქვეყნებული მასალები და ა.შ.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ეკონომიკური კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა: მონოგრაფიული, შედარების, ალბათური, მათემატიკური სტატისტიკის, ანალიზის, ეკონომიკურ-მათემატიკური და სხვ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ სისტემურ და კომპლექსურ მეცნიერულ გამოკვლევას საქართველოში სამეურნეო რისკის პრობლემების კვლევის ხაზით, რომელშიც, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მოტივაციური პრინციპებისა და მოთხოვნების გათვალისწინებითა და თანამედროვე, პროგრესულ მეთოდოლოგიურ მიდგომებზე დაყრდნობით კომპლექსურად დამუშავდა:

- საბაზრო ეკონომიკის არსი, მნიშვნელობა და ძირითადი ნიშნები, მისი შემადგენელი ელემენტები, მოთხოვნები და მოტივაციები. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები და გარემო სამეურნეო რისკთან დაკავშირებით;
- სამეურნეო რისკის ცნება, მისი მნიშვნელობა და ეკონომიკური შინაარსი. სამეურნეო რისკის თეორიული საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში;
- სადისერტაციო ნაშრომში, თანამედროვე პირობებში განისაზღვრა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომები და კრიტერიუმები;
- განისაზღვრა და ჩამოყალიბდა რისკის ზონები;
- გამოიკვეთა რისკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება და ამის საფუძველზე აიგო რისკის მრუდი;

- დადგინდა და ჩამოყალიბდა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები, რისკის უკუგების დონე და პროპორციული დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებსა და რისკის უკუგების დონეს შორის;
- მოცემულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფერმერული მეურნეობის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები;
- დასაბუთებულია ზონაში გლეხური (ფერმერული) მეურნეობების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები;
- დასაბუთებულია, რომ თანამედროვე პირობებში გლეხური (ფერმერული) მეურნეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენება, რაც არსებით ზეგავლენას მოახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებაში.
- სადისერტაციო ნაშრომში პირველად არის განხილული რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები, რისკის უკუგების დონე და პროპორციული დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებსა და რისკის უკუგების დონეს შორის ტიპური (მაკროფილბეული ფერმერული მეურნეობების მაგალითზე შემდეგი პოზიციების მიხედვით:
 1. წარმოების სპეციალიზაციის დონის მიხედვით;
 2. მეურნეობის სიდიდის მიხედვით;
 3. ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით;
 4. ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დონის მიხედვით;
 5. მეურნეობის მდგრადობის მიხედვით;
 6. მეურნეობის გადახდისუნარიანობის მიხედვით;
 7. საქონლის ფასის მიხედვით;

- დადგინდა სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრების, რისკის უკუგების სინთეზირებული (ოპტიმიზირებული) მაჩვენებელი და მისი პროგნოზირებული დონე;
- ჩამოყალიბებულია სამეურნეო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები, რისკის მართვის სუბიექტი და ობიექტი;
- განხილულია რისკის მართვის სტრატეგია და ტაქტიკა;
- წარმოდგენილია ალტერნატიული გადაწყვეტილებები რისკის მართვის პირობებში

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

დისერტაციაში შემოთავაზებული წინადადებები და რეკომენდაციები გამოყენებითი ხასიათისაა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ჩატარებული კვლევა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში არსებული ფერმერული მეურნეობების წინაშე მდგარი სხვადასხვა სახის სამეურნეო რისკების ობიექტურ შეფასებას, საკვლევი მეურნეობების წარმატებით რეგულირებას და მისი დონის გაუმჯობესებას. რეკომენდაციები შეიძლება პერსპექტივაში გამოყენებული იქნას ფერმერულ მეურნეობებში სამეურნეო რისკის სწორად დაგეგმვისა და მართვისათვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმითაც, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის, ორგანიზაციის და მართვის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის, ისე აგრარული პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

მასში მოცემული დასკვნები წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება საფუძვლად დაედოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გაღრმავებას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 190 გვერდს და შედგება შესავლის, ხუთი თავის, 15 პარაგრაფის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ტექსტში ჩართულია 36 ცხრილი და 4 სქემა.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები მოხსენებულ იქნა აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის, მარკეტინგული სტრატეგიის, დარგობრივ-რეგიონული ეკონომიკისა და ინტეგრაციის განყოფილების ერთობლივ გაფართოებულ სხდომაზე. კვლევის ცალკეული შედეგები და წინადადებები მოხსენდა ზემოაღნიშნული ინსტიტუტის ასპირანტთა და ხასრისხის მაძიებელთა სამეცნიერო კონფერენციებს.

ნაშრომის ძირითადი დებულებები, წინადადებები და რეკომენდაციები ავტორის მიერ გამოყენებულია ჟურნალებში: „ეკონომიკა“, „სოციალური ეკონომიკა“, „აგრარული მეცნიერების პრობლემები“ და „მოამბე“.

თავი I. საბაზრო ეკონომიკის არსი, საფუძვლები და ძირითადი მოტივაციები სამეურნეო რისკთან დაკავშირებით.

1.1. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება, არსი, მნიშვნელობა და ძირითადი ნიშნები

საბაზრო ეკონომიკის განვითარება მსოფლიო მასშტაბით ხალხის ინტერესებითაა ნაკარნახევი.

მასზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ არის. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ მეურნეობრიობის საბაზრო ურთიერთობებზე უკეთესი ფორმა ჯერ არ არსებობს და მას, როგორც ამჟამად, ისე თვალსაწიერ პერსპექტივაში ალტერნატივა არ გააჩნია. სწორ საფუძველზე და კარგად გათვლილ პარამეტრებზე დაყრდნობით აგებული საბაზრო ურთიერთობები ყოველმხრივ გამართლებულია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.

საბაზრო ურთიერთობები უძველეს ხანაში აღმოცენდა, რაც უკავშირდება სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა აღმოცენებასა და კერძო საკუთრების გაჩენას.

ამისათვის აუცილებელი თეორიული საფუძველი და პირობა იყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რაც ქმნიდა შრომის პროდუქტის გაცვლის საფუძველს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩასახული საქონელწარმოება ეტაპების მიხედვით ვითარდებოდა და ფართო მასშტაბებს ღებულობდა. პირვანდელ სტადიაზე იგი თუ საქონელგაცვლის ფორმით არსებობდა, შემდგომ – ფულის (როგორც

საყოველთაო ექვივალენტის გაჩენის დროიდან) საქონელმომოქცევის ფორმით იყო განვითარება.

საბაზრო ეკონომიკას ახალი გაქანება მიეცა კაპიტალისტური სისტემის ჩამოყალიბების დროიდან, როდესაც სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო და მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. ამ პერიოდიდან დასრულდა მარტივი საქონელწარმოების ხანა. ზოგიერთი ამ ეტაპის ეკონომიკას *ნატურალური ტიპის მეურნეობას* უწოდებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაო თეორიული საფუძვლების არსებობის მიუხედავად, კაპიტალიზმის პირობებში საბაზრო ურთიერთობებმა ვერ შეიძინა განვითარებული და სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ხასიათი. როგორც პროფ. ლ.ჩიქავა განმარტავს: ამ დროს ბაზარი მთლიანად იყო დაქვემდებარებული წარმოებაზე. მწარმოებელი კარნახობდა მომხმარებელს, თუ რა სახეობის საქონელი უნდა მოეხმარა. თანდათანობით ბაზრის საქონლით გაჯერებისდა კვალობაზე მწვავედ დადგა რეალიზაციის პრობლემა, რისი გავლენითაც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა ე.წ. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ანუ „მყიდველის ბაზრის“ სისტემა, როდესაც მწარმოებელი (იგივე გამყიდველი) კარგავს დიქტატის როლს და სიტუაციას კარნახობს ბაზარი, კონკრეტულად კი მომხმარებელი. ამ ეტაპიდან, მომხმარებლის როლი და ფუნქცია, მისი მოტივაციები ხდება ძირითადი და განმსაზღვრელი, რამაც მომავალში მთელ ეკონომიკას, მაშასადამე საბაზრო ურთიერთობებსაც სრულიად ახალი განზომილება მისცა და შეიძლება ითქვას, რომ მან სათავე დაუდო ახალ თეორიულ და პრაქტიკულ მიმართულებას ეკონომიკაში.

როგორც ეკონომისტები მიიჩნევენ, ბაზრის წარმოშობასა და

მაშასადამე, საქონლის გაცვლას განაპირობებს ორი პირობა: წარმოების საშუალებებსა და საქონელზე კერძო საკუთრება და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება.

ლოგიკურია, რომ საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე ეს პირობებიც ღრმავდება, ვითარდება და რთულ განზომილებებში გადადის. ამის შესაბამისად, ვიწრო და მარტივი საბაზრო ურთიერთობებიდან, ეს პროცესი გადადის ფართო, მრავალმხრივსა და დიდმასშტაბიანში. იგი თანდათანობით რეგულირებულ ხასიათს ღებულობს, იქმნება ეროვნული საბაზრო ურთიერთობები, შემდეგ კი ინტეგრირებული.

რამდენიმე ათეული წლის წინ ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა მოდელი. XX საუკუნის 50-იან წლებში საფრანგეთის, შვეციისა და სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო ე.წ. „რეგულირებადი ბაზარი“, რომლის თეორიული საფუძვლები შეიმუშავა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ.მ.კეინსმა (30-იან წლებში). სხვა ქვეყნებში (აშშ, კანადა, ავსტრალია და სხვ.) მოქმედებდა თავისუფალი ბაზარი.

თავისუფალი ბაზარი თითქმის მთლიანად რისკზეა აგებული, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს არაეფექტიან წარმოებაზე. როგორც პ.სამუელსონი და ვ.ნორდჰაუზი აღნიშნავენ, ბაზარიც და სახელმწიფოც – არსებითია ეკონომიკაში. რომელიმე მათგანის გარეშე ეკონომიკის მართვა ცალი ხელით ტაშის დაკვრის მცდელობას წააგავს.

თანამედროვე მოდელის საბაზრო ეკონომიკას საფუძველი გერმანიაში ჩაეყარა. ომის შემდგომ ამ ქვეყნის ასე სწრაფი დაწინაურება სწორედ საბაზრო ეკონომიკის წყალობით მოხდა.

საბაზრო ეკონომიკის, უფრო სწორად, როგორც ამბობენ სოციალური საბაზრო ეკონომიკის სულიერი დამაარსებელია ვალტერ ოიკენი. მის წიგნში „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“, რომელიც 1952 წელს

გამოიცა, აღწერილია საბაზრო ეკონომიკის პირობები, რომელიც საჭირო იყო მაშინ გერმანიის განვითარებისათვის. მასში ნათქვამია, რომ საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს მხოლოდ თავისუფლების პირობებში, იგი გულისხმობს: მოთხოვნილების თავისუფლებას, პროფესიისა და სამუშაო ადგილის თავისუფლებას, თანამონაწილეობის თავისუფლებას, საკუთრების თავისუფლებას, სახელშეკრულებო ურთიერთობებში თავისუფალ ჩართვას და ა.შ.

„გერმანიის ეკონომიკური სასწაული“, რომელიც 1948 წლიდან დაიწყო, დაკავშირებულია ლუდვიგ ერხარდის სახელთან. მისი შეხედულებები ემთხვეოდა ვალტერ ოიკენისას. ლ. ერხარდის მიხედვით საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია გამოდის იქიდან, რომ ადამიანი ღებულობს იმ გადაწყვეტილებებს, რამაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს მას და მის ახლობლებს. ადამიანი მუშაობს უფრო კარგად, თუ შესაძლო შედეგები გავლენას მოახდენს მის თავისუფალ ბედზე.

ეს საყრდრნი მოსაზრებაა, რომელსაც ეყრდნობიან მეცნიერები საბაზრო ეკონომიკის პრობლემების დამუშავებისას. ეს მოსაზრება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მარქსისტულ შეხედულებებს ადამიანზე, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი მოვალეა პირველ რიგში საზოგადოების ინტერესებზე იფიქროს, ადამიანის მისწრაფება ბედნიერებაზე კი შორეულ მომავალში ინაცვლებს. ყოფილი სსრ კავშირის განვითარების 70-იან წლიანმა პერიოდმა დაადასტურა, რომ ასეთი თეორია პრაქტიკისათვის მიუღებელია, ამიტომაც მან კრახი განიცადა.

საბაზრო ეკონომიკის დროს „ჯანმრთელი ეგოიზმი“ ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობასთან შეთანაწყობით განიხილება, როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ძირეული მამოძრავებელი ძალა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მიზანია – შეიქმნას სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, შემობრუნებულ იქნას მთელი წარმოება მომხმარებლის მოთხოვნებისაკენ, დაძლეულ იქნას პროდუქციისა და საქონლის დეფიციტი, უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის ეკონომიკური თავისუფლება, შეიქმნას შრომის სიყვარულის, შემოქმედების, ინიციატივისა და ნაყოფიერების წახალისების პირობები, ამადლდეს ხალხის ცხოვრების დონე.

საბაზრო ეკონომიკის პრობლემების შესწავლა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმას, რომ იგი ერთის მხრივ ხასიათდება დიდმასშტაბურობით, უნივერსალურობით, თანამედროვე ეკონომიკური გარემოსა და ფაქტორების გამოყენების დიდი ეფექტიანობით, მეორეს მხრივ კი მას ახასიათებს გარკვეული უთანასწორობა, ეკონომიკური მექანიზმის გამოყენებისადმი მედეგობა, რაც მოითხოვს იმას, რომ ამ წინააღმდეგობების აღმოფხვრაში სახელმწიფომ მიიღოს მონაწილეობა. ამიტომაც, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, მთელი მსოფლიოსათვის ყველაზე მისაღებ მოდელად გამოიკვეთა „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა“, რომელშიც საბაზრო ურთიერთობათა თვითრეგულირების მექანიზმი შერწყმულია სახელმწიფო რეგულირების მეთოდებთან იმ პირობით, რომ ეკონომიკა სოციალურად იყოს ორიენტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხის ინტერესები იწვევს წინა პლანზე და სწორედ ხალხის მოტივაციები (მოთხოვნები და ა.შ.) განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების მიმართულებებს, ფორმებს, სტიმულებს, პერსპექტივას.

იმისათვის, რომ გავიგოთ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა, საჭიროა სხვადასხვა მომენტის გათვალისწინება და შეფასება. ამისათვის კემპბელ რ. მაკკონელი და სტენლი ლ. ბრიუ გამოყოფენ ხუთი

ფუნდამენტური კითხვის არსებობას, რომელზედაც თითოეულმა ეკონომიკურმა სისტემამ უნდა გასცეს პასუხი. ეს კითხვებია:

1. რა უნდა ვაწარმოოთ? – საზოგადოების მატერიალურ მოთხოვნილებებს საქონელთა (მომსახურების) როგორი ნუსხა უფრო მეტად დააკმაყოფილებს;
2. რამდენი უნდა ვაწარმოოთ? – არსებული რესურსების რა მოცულობა, ან მისი რა ნაწილი უნდა გამოვიყენოთ წარმოების პროცესში;
3. როგორ უნდა ვაწარმოოთ? – როგორ უნდა იქნას ორგანიზებული წარმოება. რომელმა ფორმებმა უნდა განახორციელონ წარმოება და როგორი ტექნოლოგია უნდა იქნას გამოყენებული;
4. ვინ უნდა მიიღოს პროდუქტი? – როგორ უნდა განაწილდეს პროდუქცია მომხმარებლებს შორის;
5. შეუძლია სისტემას ცვლილებებისადმი ადაპტირება? – შეუძლია თუ არა სისტემას სათანადო კორექციის მიღწევა სამომხმარებლო მოთხოვნის, რესურსების მიწოდებასა და წარმოების ტექნოლოგიაში ცვლილებებთან დაკავშირებით.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა – ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის მთავარი საშუალებაა. თუმცა ცხადია, რომ ბაზარი თავისთავად, ე. ი. ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს, მას რეგულირება სჭირდება.

საბაზრო მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების მასშტაბები, მისი კონკრეტული ფორმები და მეთოდები არსებითად განსხვავდებიან ქვეყნების მიხედვით. ისინი გამოხატავენ ისტორიულ, ტრადიციულ, ეროვნულ, კულტურულ ტიპს, ქვეყნის მასშტაბებს, მის გეოპოლიტიკურ

მდგომარეობას და სხვა ფაქტორებს. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნისათვის საბაზრო მეურნეობის მზა სქემით ცხოვრება არაეფექტურია.

მსოფლიოში არ არსებობს ორი ისეთი ქვეყანა, სადაც ერთი ქვეყნის განვითარების ასლით იყოს აგებული მეორე ქვეყნის საბაზრო ეკონომიკა. თუმცა ერთის მასალა შეიძლება გამოიყენოს მეორემ საკუთარი ეროვნული საბაზრო მეურნეობის მოდელის ასაგებად.

საქართველოს უნდა გააჩნდეს ეკონომიკის განვითარების საკუთარი, ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის წარმართვას საბაზრო მექანიზმის საერთო, ობიექტურ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

1.2. საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ელემენტები, მოთხოვნები და მოტივაციები

საბაზრო ეკონომიკა – რთული სისტემაა, სხვადასხვა ეკონომიკურ ქვესისტემათა კომპლექსია, რომელიც აუცილებლად გულისხმობს სათანადო და მხოლოდ მისი მექანიზმისათვის შესატყვის, გამართლებულ პოლიტიკურ და სოციალურ უზრუნველყოფას. უამისოდ საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია.

საბაზრო ეკონომიკა – პროფ. ლ.ჩიქავას მეტად კვალიფიციური განმარტებით – არის კერძო საკუთრებაზე, თავისუფალ მეწარმეობაზე და სრულყოფილ კონკურენციაზე დამყარებული ეკონომიკის ორგანიზაციის ისეთი სპეციფიკური ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას და სტიქიურად თვითრეგულირდება სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ეკონომიკური კანონების მოთხოვნების შესაბამისად.

ბაზარი – ეს არის სფერო, სადაც ხდება მწარმოებლისა და მომხმარებლის ეკონომიკური კავშირი, ფულის ან სხვა ექვივალენტის საშუალებით, საქონელგაცვლის საფუძველზე.

ბაზარი თავის გამოხატულებას პოულობს მის მთავარ ეკონომიკურ ფუნქციებში, ეს ფუნქციებია: 1.წარმოების თვითრეგულირების; 2.მასტიმულირებელი; 3.მარეგულირებელი; 4.ეკონომიურობის (მომჭირნეობის); 5.ექვივალენტური; 6.დემოკრატიულობის.

საერთოდ, ბაზარი წარმოადგენს მარკეტინგის კატეგორიას, ამიტომაც მიჩნეულია, რომ საბაზრო ეკონომიკის სისტემა – ეს არის მარკეტინგი. ბაზარი – საქონლის მიწოდებას, მომსახურებას, მწარმოებლებს,

გამყიდველებსა და მომხმარებლებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის სფეროს აღნიშნავს.

ეკონომიკური ლიტერატურიდან ცნობილია ბაზრის შემდეგი სახეები: საქონლისა და მომსახურების; სამუშაო ძალის; წარმოების საშუალებათა (კაპიტალის); ფასიანი ქაღალდების; ვალუტის; მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა და პატენტების; ინვესტიციათა (კაპდაბანდებების); ინოვაციათა (გამოგონებების, სიახლეების); ინფორმაციის; მიმოქცევის საშუალებათა; ლიცენზიათა; ინტელექტის და ა.შ.

ბაზარს თავისი კონიუქტურა გააჩნია. “კონიუნგო” ლათინურია და ნიშნავს – ვაკავშირებ, ვაერთებ. ფართო გაგებით კონიუქტურა ნიშნავს პირობების ერთობლიობას, დროებით სიტუაციას, შექმნილ ვითარებას. იგი წარმოადგენს კონკრეტულ პირობებს, რაც განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით.

საბაზრო ეკონომიკა ისეთი სისტემაა, რომელიც უცილობლად მოიცავს:

1. ფართო მასშტაბის კერძო საკუთრებას, მის სწორ პროპორციებს სახელმწიფო საკუთრებასთან;
2. სააქციო საზოგადოებების, როგორც მისი პირმშოს განვითარებას;
3. თავისუფალ მეწარმეობას;
4. კოოპერაციას;
5. შესაბამის ფონდებს დახმარებისა და მიყენებული ზარალის კომპენსაციისათვის;
6. თავისუფალ ფასწარმოქმნას;
7. შესაბამის დემოკრატიულ საკრედიტო სისტემას;
8. კონვერტირებად ვალუტას;
9. კონკურენციას;

10. სამართლებრივ გარანტიებს;

11. იგი მოითხოვს შესაბამის ინოვაციურ მექანიზმსაც, რომლის საშუალებითაც წახალისდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება.

საბაზრო ეკონომიკა ისეთი მობილური სისტემაა, რომელიც თავად ქმნის ადამიანთა ცხოვრების დონეში მომხდარი ცვლილებების რეგულირებას.

საბაზრო ეკონომიკის ეფექტური წარმართვისათვის აუცილებელია შემდეგი მოტივაციების, პირობებისა და პრინციპების დაცვა:

1. მაქსიმალური თავისუფლება სამეურნეო საქმიანობაში;
2. სრული პასუხისმგებლობა ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგებზე;
3. საკუთრების სხვადასხვა ფორმის თანაბარუფლებიანობა;
4. მწარმოებელთა კონკურენცია – როგორც სამეურნეო აქტივობის, პროდუქციის ფართო ასორტიმენტის შექმნისა და მისი ხარისხის ამაღლების მძლავრი ფაქტორი, რომელიც შეესაბამება მომხმარებელთა მოთხოვნებს, წარმოების დანახარჯების შემცირებას და ფასების სტაბილიზაციას;
5. თავისუფალი ფასწარმოქმნა;
6. გამართლებული და დასაბუთებული სამეურნეო რისკი;
7. სახელმწიფოს მიერ უარის თქმა სამეურნეო საქმიანობაში პირდაპირ ჩარევაზე (სპეციალური სფეროების გარდა);
8. საბაზრო ურთიერთობების იმ სფეროებზე გავრცელება, რომლებშიც იგი ავლენს მაღალ ეფექტს. ამასთან, არასაბაზრო სექტორის შენარჩუნება, რომელიც არ შეიძლება დაუკავშიროთ უკიდურეს კომერციულ კრიტერიუმებს (თავდაცვა, ჯანდაცვა, მეცნიერება, კულტურა);

9. ღია ეკონომიკის შემოღება და მისი თანამიმდევრული ინტეგრაცია მიკროსამეურნეო კავშირების სისტემაში;
10. სახელმწიფოს მხრიდან, ყველა დონეზე, მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების დაცვა, თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების მინიჭება;
11. კომერციული ბანკების ფართო ქსელის განვითარება;
12. საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ორგანიზაციული და ეკონომიკური წინამძღვრების შექმნა.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის პირველ რიგში აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემოღება და გატარება.

ბუნებრივია დაიბადება კითხვა – მრავალმხრივი რისკის პირობებში ბაზარი რეგულირებადი უნდა იყოს თუ სტიქიური? ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგეთა პოზიციები ყოველმხრივ დასაბუთებულია. როგორც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკა ძირითადად უნდა იმართებოდეს. რეგულირება კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შემუშავდეს საერთო ხაზი (სტრატეგია), მაგრამ იგი არ უნდა მოიცავდეს კერძო ინიციატივის კოორდინაციას. მაგალითისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ბელგიაში ეკონომიკის მინისტრს უფლება აქვს ჩაერიოს ფასების მომატებაში, თუ ისინი არასწორად იზრდება, მასვე შეუძლია ვეტო დაადოს კაპდაბანდებებს კერძო სექტორში, მაგალითად ენერგეტიკაში, რამეთუ იქ მოქმედებს სახელმწიფო ეკოლოგიური რეგულირების სისტემა. ასეთი მიდგომა სავსებით მისაღები და გამართლებულია ყველა სახელმწიფოსათვის.

ბაზრის რეგულირება და საერთოდ, საბაზრო რისკი ძირითადად

უნდა მოიცავდეს ისეთ ეკონომიკურ ბერკეტებს, როგორცაა: ფასები, სახელმწიფო შეკვეთები, სახელმწიფო გადასახადები, გადასახადი მოგებიდან და სხვ.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებული შეიძლება იყოს. მაგ. ავსტრიაში სახელმწიფო სექტორს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეციაში და სხვ. შედარებით ნაკლები, თანაც ამ ბოლო დროს მისი წილი მცირდება. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ ყურადღების კონცენტრირება ძირითადად უნდა მოახდინოს ენერგეტიკაზე, ტრანსპორტზე, ტელეკომუნიკაციაზე, კავშირგაბმულობაზე და სხვ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის პირველ რიგში აუცილებელია საკუთრებაზე ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა, რომელიც რეალიზდება სახელმწიფო საკუთრების მოქალაქეებზე გადაცემითა და საწარმოთა პრივატიზაციის გზით.

ყველას თანაბარი უფლება და შანსი უნდა ჰქონდეს მიიღოს თავისი წილი ეროვნული სიმდიდრიდან. ეს თანაფარდობა მიღწეული უნდა იქნას პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით – რაც იმის საშუალებას მისცემს მათ, რომ ან იჯარით აიღონ ქონება, ან კრედიტით გამოისყიდონ, ანდა ნაღდ ანგარიშზე შეიძინონ და ა.შ.

თავისუფალ ფასწარმოქმნამდე გარდამავალ ეტაპზე საჭიროა სასაქონლო რეზერვების ფორმირება, რაშიც დიდი ადგილი უნდა დაიკაოს იმპორტმა, შემოღებული უნდა იქნას ვალუტის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის კურსი.

ხაზი უნდა გაესვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად არამც და არამც არ შეიძლება ფასების ადმინისტრირებული ზრდა.

თავისუფალ ფასებზე გადასვლა ეტაპობრივად ხორციელდება იმ საქონლიდან დაწყებული, რომლებიც პირველადი აუცილებელი მოხმარების პროდუქტებს არ წარმოადგენს.

უკანასკნელ ხანს ფებს იკიდებს ისეთი ფორმა, როგორცაა „შერეული ეკონომიკა“. ეს ნიშნავს სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტეგრირებას. კერძო სექტორში თვითრეგულირებისა და ნაწილობრივ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი მოქმედებს, სახელმწიფო სექტორში კი ადმინისტრაციული რეგულირებისა, უფრო სწორად კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე რეგულირებისა, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს დირექტიული მეთოდების გამოყენებასთან.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა, როგორი მოდელისაც არ უნდა იყოს იგი, უნდა ეყრდნობოდეს ერთი მხრივ თვითრეგულირებას, მეორეს მხრივ იურიდიული აქტებითა და ეკონომიკური ბერკეტებით რეგულირებას.

ასე აგებული სისტემით, საბაზრო ურთიერთობები, ყოველთვის და ყოველმხრივ გამართლებულია.

საბაზრო ეკონომიკას გააჩნია გარკვეული აუცილებელი მოთხოვნები, ანუ იგივე მოტივაციები, რომელთაგან უნდა გამოიყოს:

1. შეფასდეს გასაღების ბაზრის მომავალი;
2. შეფასდეს საწარმოს მდგომარეობა და შესაძლებლობები;
3. შეფასდეს სად და როგორ პირობებში შეიძლება საწარმოსათვის აუცილებელი რესურსების შეუფერხებელი მიღება;
4. დამუშავდეს საწარმოს ბაზარზე გასვლის სტრატეგია;
5. შემუშავდეს მომწოდებლებთან და გამსაღებლებთან ხელშეკრულებების სისტემა;
6. შემუშავდეს ბანკებთან ურთიერთობის პროგრამა;

7. შეიძლება ფუნქციონირების ორგანიზაციული ფორმა;
8. შეიქმნას ბაზრის შესწავლის სამსახური;
9. დამუშავდეს სამეურნეო რისკის სტრატეგია და ტაქტიკა, მისი გაწევისა და უკუგების პარამეტრები;
10. გამართლებული სამეურნეო რისკით მიღებული იქნას გარანტირებული მოგება.

ამას თითოეულმა საწარმომ და ორგანიზაციულმა სტრუქტურამ თავისი შეხედულებების, პოზიციებისა და მოტივაციების შესაბამისად უნდა დაუმატოს სხვა კონკრეტული მოთხოვნებიც, რომლებიც ერთობლიობაში საფუძვლად დაედება მარკეტინგის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას.

1.3 საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები და გარემო

საბაზრო ეკონომიკა უცილობლად უკავშირდება და შეიძლება ითქვას გადაჯაჭვულია ბიზნესთან. საბაზრო ეკონომიკა ბიზნესის გარეშე, რომლის ძირითადი მოტივაციაა მოგების მიღება და ბიზნესი საბაზრო ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ, როდესაც ვაყალიბებთ ბიზნესის ძირითად დებულებებს, პრინციპებს, პოზიციებს, მოთხოვნებსა თუ მოტივაციებს, ეს ეხება საბაზრო ეკონომიკასაც და პირიქით.

მეცნიერებს და პუბლიცისტებს ბევრი ახსნა მოჰყავთ იმ სტიმულების შესახებ, რაც უბიძგებდათ ბიზნესმენებს საქმიანობაში. მათგან გამოჰყოფენ ორ ძირითადს: პირველი – გამდიდრების სურვილი, რომელიც მიიღწევა თავის კაპიტალზე მიღებული მოგებით, მეორე – ადამიანის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სამეურნეო საქმიანობისაკენ მისწრაფება, თუმცა ეს უკანასკნელი მოგებაშიც აისახება დაფარული სახით.

საბაზრო ეკონომიკასა და ბიზნესს, როგორც საქმიანობის მთელ სისტემას თავისი წინამძღვრები, საფუძვლები და გარემო აქვს, ურომლისოდაც იგი ვერ განვითარდება.

ამ საფუძვლებს გააჩნია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული ასპექტები.

პოლიტიკური საფუძვლები ყალიბდება სახელმწიფოებრივ წყობაში, საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კავშირებში. სახელმწიფოებრივ წყობას შეუძლია ხელი შეუწყოს და დიდი გასაქანი მისცეს ბიზნესს, ანდა

საერთოდ შეაჩეროს მისი განვითარება. ამ უკანასკნელის ათეულობით წლის ისტორიული მაგალითი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი.

ეკონომიკურ საფუძვლებს წარმოადგენს: თვით ობიექტური ეკონომიკური კანონები, რომლებიც ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ; საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები; შრომის საგნები და შრომის იარაღები; შრომითი საქმიანობა; წარმოებისა და რეალიზაციის პროცესი.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ბიზნესი ძირითადად მისი ეკონომიკური საფუძვლების წყალობით შეიქმნა.

სოციალური საფუძვლები აკუმულირებულია თვით ადამიანთა ურთიერთობებში, სოციალურ წყობაში, ადამიანთა სურვილებსა, მისწრაფებებსა და მოთხოვნებებში, მთელ სოციალურ სისტემაში.

რადგან ბიზნესი ისეთი საქმიანობაა, რომელიც მოგების მიღებას უკავშირდება და ადამიანთა ჰარმონიული განვითარების პირობებს ქმნის – ეს მხოლოდ მათ მისწრაფებასა და უნარზეა დამოკიდებული, რასაც სოციალური სიტუაციები ეწოდება.

იურიდიულ საფუძვლებს წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუცია, სხვადასხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები. მათში მოცემულია ის სამართლებრივი ნორმები, რომელიც არეგულირებს და არეგლამენტირებს, ზოგჯერ დიფერენცირებასაც უშვებს ბიზნესის განვითარებაში.

თითოეულ ბიზნესურ სტრუქტურას უნდა ჰქონდეს შიდასამართლებრივი ნორმებიც, მათ შორის ძირითადია წესდება, დებულება და მათი ქვემდებარე დოკუმენტები.

აღნიშნული საფუძვლების შესაბამისად ყალიბდება და პერიოდულად კორექტირდება საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებები, ფორმები, სახეები და წესები.

ბიზნესს თავისი გარემო უნდა გააჩნდეს. იგი არის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე, როგორც გარე, ისე შიდა მოქმედების გზით.

ბიზნესის გარემო შეიძლება დაიყოს მიკრო და მაკრო გარემოდ.

მიკრო გარემო წარმოდგენილია ძალებით, რომლებსაც გააჩნია უშუალო ურთიერთობა თვით ფირმასთან და მის შესაძლებლობებთან და ემორჩილება ე.წ. შიდა წესრიგს.

მიკრო გარემო შედგება:

1. *ფირმის ძალებისაგან*, რომელიც მიიცავს წარმოებას (მომსახურებას), მმართველობას, საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს, სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამსახურს, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, ბუღალტერიას და სხვ.
2. *მომწოდებლებისაგან* – სხვა ფირმები და ადამიანები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირმას მატერიალური თუ სხვა რესურსებით;
3. *მარკეტინგული შუამავლებისაგან* – რომლებიც ეხმარებიან ფირმას წინსვლაში, გასაღებაში, კლიენტებისა და პარტნიორების მოძებნაში, სხვადასხვა პროცედურის შესრულებაში, დროის დაზოგვაში, რეკლამაში, საკრედიტო-საფინანსო ოპერაციებში და სხვ.;
4. *კლიენტებისაგან* – რომლებიც შეიძლება 5 ტიპად დაიყოს: სამომხმარებლო ბაზარი, მწარმოებელთა ბაზარი, შუალედურ

გამყიდველთა ბაზარი, სახელმწიფო ბაზარი, საერთაშორისო ბაზარი;

5. კონკურენტებისაგან – რომლებიც ზღუდავენ ფირმის განვითარებას ან უბიძგებენ მაღალი შედეგებისაგან. ამიტომ შეიძლება იყვნენ როგორც სასურველი, ისე საშიში კონკურენტები;
6. კონტაქტური აუდიტორიისაგან – რომელმაც ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეუშალოს ფირმის განვითარებას. აქ შეიძლება გამოიყოს: საქველმოქმედო აუდიტორია, რომლის ინტერესები ფირმის მიმართ მხოლოდ საქველმოქმედოა; საძებნი აუდიტორია – ვის დაინტერესებასაც ფირმა ეძებს (მაგ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი); არასასურველი აუდიტორია – რომლის ყურადღების მიპყრობას ფირმა არ ცდილობს, მაგრამ იძულებულია ანგარიში გაუწიოს მას.

საერთოდ, საბაზრო ურთიერთობები და ბიზნესი შეიძლება ვითარდებოდეს შვიდი ტიპის კონტაქტური აუდიტორიის გარემოცვაში, ესენია: ფინანსური წრეები (ბანკები, საინვესტიციო კომპანიები, საფონდო ბირჟები, აქციონერები), ინფორმაციის საშუალებები (გაზეთები, ჟურნალები, რადიოსადგურები, ტელეცენტრები), სახელმწიფო დაწესებულებები, სამოქალაქო მოქმედების ჯგუფები (გარემოს დაცვის ჯგუფები, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები), ადგილობრივი კონტაქტური აუდიტორია (ახლო მცხოვრებნი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები), ფართო საზოგადოება, შინაგანი კონტაქტური აუდიტორია (საკუთარი მუშები და მოსამსახურეები, თანაშემწეები, მმართველები).

მაკროგარემო წარმოდგენილია უფრო ფართო სოციალური სპექტრის ძალებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მიკროგარემოზე. მაკროგარემო შედგება:

1. *ეკონომიკური გარემოსაგან* – რომელიც მოიცავს ყველა ეკონომიკურ ასპექტს, სტიმულს, მოტივაციასა და ბერკეტს, კერძოდ: საწარმო პოტენციალს, შემოსავლებისა და მოგების დონეს და ამის შესაბამისად მსყიდველობითუნარიანობას, ფასებს, ფულად-საკრედიტო სისტემასა და მექანიზმს;
2. *ბუნებრივი გარემოსაგან* – აქ მხედველობაშია მისაღები რამდენად მიზნობრივად და სწორად ვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს და როგორ ვიცავთ ეკოლოგიურ წონასწორობას. ბუნებრივი გარემო უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკურ გარემოსა და საერთოდ, ეკონომიკურ ციკლზე, ამიტომ ისინი ურთიერთკავშირში უნდა განვიხილოთ. ბუნებრივ გარემოში ცენტრალური ადგილი უკავია ენერგეტიკულ რესურსებს. მათი რაციონალური გამოყენება ერთ-ერთი პირველი რიგის პრობლემაა როგორც ბიზნესის განვითარების, ისე სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინების თვალსაზრისით;
3. *დემოგრაფიული გარემოსაგან* – აქ გასათვალისწინებელია მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა, შობადობისა და დაბერების ტენდენციები, ოჯახური გარემოს ცვლილებები, მიგრაციული პროცესები (რეგულირებადი და არარეგულირებადი), განათლების დონე და მისი ამაღლების ტენდენციები და სხვ.;
4. *სამეცნიერო-ტექნიკური გარემოსაგან* – ამ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და გადამწყვეტ გავლენასაც ახდენს საბაზრო ეკონომიკასა და ბიზნესზე. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი

განუსაზღვრელ შესაძლებლობებს იძლევა. მისი წყალობით გაჩნდა სრულიად ახალი მიმართულებები მეცნიერებაში, წარმოებაში და ამრიგად ბიზნესშიც. ეს უკავშირდება ბიოტექნოლოგიას, მყარი სხეულების ელექტრონიკას, რობოტოტექნიკასა და კომპიუტერიზაციას, სელექციასა და გენეტიკას და სხვ. მეცნიერულ-ტექნიკური გარემოს არასწორმა მართვამ შეიძლება დიდი უარყოფითი შედეგებიც დააჩნოს როგორც ბიზნესს, ისე კაცობრიობის განვითარებას. ამიტომ ამ პრობლემას შეუნელებელი ყურადღება უნდა ეთმობოდეს;

5. კულტურული გარემოსაგან – რომელიც გულისხმობს ადამიანთა ძირითად შეხედულებებს, ფასეულობებსა და ქცევის ნორმებს, რომლებიც ყალიბდება კონკრეტულ გარემოში. იგი გულისხმობს ადამიანთა ცალკეული ჯგუფების წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, კულტურული ფასეულობებისადმი მყარ ერთგულებას, მათ დაცვასა და განვითარებას.

კულტურული ფასეულობანი გამოხატულებას პოულობენ ადამიანების დამოკიდებულებაში ერთმანეთთან, საზოგადოებასთან, ბუნებასა და მსოფლმხედველობასთან. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ასპექტებიც, კულტურული ინსტიტუტების განვითარების ტენდენციები და სხვ.

კულტურული გარემოს ფაქტორის გათვალისწინება სულ უფრო და უფრო საჭირო და აუცილებელი ხდება საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის საერთო სისტემაში, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი მაკონტროლებელი და მამოძრავებელი კრიტერიუმი.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის განვითარება და რეგულირება უცილობლად უკავშირდება ერთმანეთზე გადაჯაჭვულ მაკონტროლებად

და არამაკონტროლებად პირობებსა და ფაქტორებს, მიკრო და მაკრო გარემოს ელემენტებს, რომელთა კომპლექსური ზემოქმედებითა და შესაძლო მართვით მიიღწევა მისი ძირითადი მიზნები.

თავი II. სამეურნეო რისკის თეორია და მისი გამოყენებითი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

2.1. სამეურნეო რისკის გაგება და მისი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

რისკის ფესვები სათავეს უძველესი დროიდან იღებს, დროიდან, როცა ჯერ კიდევ საფუძველი ეყრებოდა ვაჭრობას და მევახშეებისა და მათი კლიენტებისათვის რისკს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

XV საუკუნეში მცხოვრები იტალიელი ბერი, მათემატიკის პროფესორი, ვენეციის ბუღალტრული სისტემის პირველი აღმწერი – ლუკა პაჩოლი, მუშაობდა იმ პრობლემებზე, რომელიც მოგვიანებით ალბათობის თეორიას მიაკუთვნეს. ორი საუკუნის შემდეგ კი ფრანგი მათემატიკოსის, ფილოსოფოსისა და გამომგონებლის – ბლეზ პასკალისა და ცნობილი მათემატიკოსის – პიერ დე ფერმას თანამშრომლობამ საფუძველი ჩაუყარა ალბათობის თეორიას, რომელიც უდიდესი მსოფლმხედველობითი და პრაქტიკული ნახტომია მომავლის პროგნოზის რაოდენობრივი შეფასების სფეროში. 1730 წელს ფრანგმა – ანრი დე მუავრმა შეიმუშავა ნორმალური განაწილების სტრუქტურა და რისკის ზომა – სტანდარტული გადახრა. შემდეგში, 1754 წელს, ბაიესის

თეორემით, ნათლად გამოჩნდა, თუ რა გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე საჭირო ინფორმაცია.

ამრიგად თანამედროვე რისკი, საფუძველს 1654 და 1754 წლებში იღებს.

მიახლოებით ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ეკონომიკაში რისკის თეორიის განზოგადებას. რისკსა და შემოსავალს შორის დამოკიდებულება გახდა მკვლევართა დაინტერესების სფერო. ცნობილმა ეკონომისტმა – ადამ სმიტმა აღნიშნა, რომ მოგება იზრდება რისკის ზრდასთან ერთად, მაგრამ თანდათან სცილდება მას. გერმანელი მეცნიერი, აკადემიკოსი შტორხი, რომელიც მოწვეული იქნა რუსეთში ნიკოლოზ I-ის მიერ და იყო ტახტის მემკვიდრის მასწავლებელი, და რომელიც გახდა რუსეთის აკადემიკოსი, აღნიშნავდა, რომ მუშა დებულობს გასამრჯელოს და არა მოგებას, ამიტომ ის არ რისკავს. აკადემიკოს შტორხთან ერთდ კარლ მარქსიც დებულობდა მონაწილეობას დისკუსიაში და დავობდა რისკის გაწვევის შედეგად მიღებული მოგების მართებულობაზე. ამ სფეროში პირველი თეორიული შეჯამება, XX საუკუნის 20-იან წლებში გააკეთა ფრენკ ნაითმა თავის წიგნში: „რისკი, განუსაზღვრელობა, მოგება“, რომელიც ითვლება ეკონომიკური მეცნიერების კლასიკად.

რისკის ცნების რამდენიმე განსაზღვრება არსებობს, მათ შორის არის როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება. მაგრამ ყველა მათგანს ერთმანეთთან აკავშირებს მოვლენის გაურკვეველობა, გეგმის ჩაშლის ალბათობა და შესაძლო დანაკარგები.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ სფეროში რისკი მუდმივია, ის ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ეს აიხსნება იმით,

რომ აღნიშნული კატეგორია არ განიხილებოდა როგორც თეორიული კვლევის ობიექტი, მას განიხილავდნენ როგორც პრაქტიკას.

რისკი ასოცირდება სამეურნეო საქმიანობაში არახელსაყრელ ეკონომიკურ შედეგებთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მოგებისა და რესურსების დანაკარგი.

რისკი ნებისმიერი ეკონომიკის საბაზო თვისებაა და დაკავშირებულია მიზანმიმართულ საქმიანობასთან. შეიძლება იმის მტკიცება, რომ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი კანონზომიერება მდგომარეობს შემდეგში: რაც მეტია მოსალოდნელი შემოსავალი, მით მეტია რისკი.

თეორიულ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში მოცემულია რისკის რამდენიმე კლასიფიკაცია, მათ შორის მთავარია სამი ძირითადი ელემენტი: გაურკვევლობა, დანაკარგები და არაგულგრილობა.

რისკის ძირითად ელემენტს წარმოადგენს არჩეული მიზნიდან გადახრის ალბათობა. გადახრები კი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. რისკისათვის დამახასიათებელი რიგი თვისებებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ მისი შინაარსის გაგებას შეიძლება გამოიყოს ძირითადი სამი, ესენია: წინააღმდეგობრიობა, ალტერნატიულობა, გაურკვევლობა.

წინააღმდეგობრიობა, როგორც რისკის თვისება, სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. რისკი ორიენტირებულია მნიშვნელოვანი შედეგების მიღებაზე არაორდინალური, ახალი ხერხით, გაურკვევლობისა და გარდაუვალი არჩევანის პირობებში. ამით იგი საშუალებას იძლევა გადაილახოს კონსერვატიზმი, დოგმატიზმი, ჩამორჩენილობა, ფსიქოლოგიური ბარიერი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ახალი, პერსპექტიული საქმის წამოწყებას. რისკის ამ თვისებას გააჩნია ძირითადი ეკონომიკური მნიშვნელობა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, რადგან აჩქარებს საზოგადოებრივ

და ტექნიკურ პროგრესს და პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. მეორეს მხრივ, არასრული საწყისი ინფორმაციის პირობებში, რისკს მივყავართ სუბიექტივიზმამდე, ავანტიურიზმამდე, ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკურ დანახარჯებამდე. აქედან გამომდინარე რისკის წინააღმდეგობრივი ბუნება ვლინდება ობიექტურად არსებული სარისკო სიტუაციების მათ სუბიექტურ შეფასებასთან შეჯახებით.

რისკის ისეთი თვისება როგორცაა ალტერნატიულობა, დაკავშირებულია ორი ან მეტი ვარიანტიდან არჩევანის გაკეთებასთან. ალტერნატიულობა მოიცავს სირთულის სხვადასხვა ხარისხს და შეიძლება გადაწყდეს სხვადასხვა მეთოდებით. იოლ სიტუაციებში არჩევანი ადრინდელ გამოცდილებასა და ინტუიციასზე დაყრდნობით ხდება, რთულ სიტუაციებში კი აუცილებელია გამოყენებული იქნას სპეციალური დამატებითი მეთოდები და მეთოდიკები.

რისკი უშუალოდ დაკავშირებულია გაურკვეველობასთან, რომელიც არაერთგვაროვანია გამოვლენის ფორმითა და შემადგენლობით. უპირველეს ყოვლისა ეს არის გაურკვეველი გარემო, რომელიც მოიცავს ობიექტურ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პირობებს, რომელთა ჩარჩოებშიც ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობა და რომელთა დინამიკასაც ის იძულებულია შეეწყოს. გაურკვეველობა დამოკიდებულია ცვალებად პიროვნებებზეც, რომელთა საქციელიც შეუძლებელია განისაზღვროს მისაღები სიზუსტით. გაურკვეველობის სუბიექტური და ობიექტური წყაროების იგნორირება კი უპერსპექტივოა. აქედან გამომდინარე, გაურკვეველობის ძირითად მიზეზებსა და შესაბამისად რისკის წყაროებს წარმოადგენს: ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების სპონტანურობა; სტიქიური უბედურება; შემთხვევითობა; საწინააღმდეგო ტენდენციების არსებობა; საწინააღმდეგო ინტერესების შეჯახება;

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ალბათური ხასიათი; არასრული ინფორმაცია ობიექტსა და პროცესზე; გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციისას მატერიალური, ფინანსური, შრომითი და სხვა სახის რესურსების უკმარისობა; შეზღუდვები ადამიანთა საქმიანობაში და სხვა.

რისკის საბაზო კლასიფიკაცია მარტივია, გამოიყოფა მხოლოდ ორი სახის რისკი: სუფთა და სპეკულაციური.

სუფთა რისკი – ეს ისეთი რისკია, რომელიც არ არის დამოკიდებული ადამიანის ქცევაზე. აქ შეუძლებელია მოგება, მხოლოდ წაგებაა.

სპეკულაციური რისკი – ეს ისეთი სიტუაციაა, როცა შესაძლებელია არა მარტო დანაკარგების წარმოშობა, არამედ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ვარიანტებიდან გარკვეული სარგებლის გამორჩენა. ასეთი სახის რისკი ხშირია. სწორედ ასეთი რისკის საკუთარ თავზე აღებაა მეწარმის ძიდიტადი ამოცანა. შემდეგ კი დგება საკითხი: შენარჩუნდეს უკვე მიღწეული კეთილდღეობა თუ კიდევ უფრო გაძლიერდეს მიღწეული. არც ერთი მათგანის მიღწევა არ შეიძლება დანაკარგის რისკის გარეშე. ეს კარგიც არის და ცუდიც. რადგან შეიძლება როგორც მოიგო, ასევე განიცადო დანაკარგი. ნულოვანი რისკი კი არ არსებობს, რადგან, მაშინაც კი, როცა არაფერს აკეთებ, რისკს იღებ საკუთარ თავზე.

მერიკელი მკვლევარები - ლი პუშავერი და რობერტ ეკლესი თავიანთ სტატიაში აღნიშნავენ, რომ ხელმძღვანელები კონცენტრირებული არიან დაღმავალ რისკზე. გამოკითხვებმაც აჩვენა, რომ ამერიკის ხუთიდან ოთხი მენეჯერი, რისკს განიხილავს, როგორც ნეგატიურ მოვლენას და აკნინებენ მის პოზიტიურ ასპექტს. სინამდვილეში, ყველა სახეობის რისკს გააჩნია როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ტენდენცია. ისინი გვთავაზობენ რისკის განხილვას

სამგანზომილებიანი მოდელის ფორმატში, როგორც თვისებათა ერთობლიობას განხილულს სამ განზომილებაში. პირველი განზომილება – რისკი, როგორც საფრთხე; მეორე განზომილება – რისკი, როგორც გაურკვეველობა; მესამე განზომილება – რისკი, როგორც შესაძლებლობა (შანსი).

სამეურნეო რისკის ძირითადი მიზანი (რომელზეც მეწარმე შეგნებულად მიდის), დამატებითი მოგების მიღებაა. თუმცა ამ მთავარი მიზნის რეალიზაციისათვის აუცილებელია თანამდევ მიზნების ფორმულირება: გარკვეული სახეობის რისკის აღმოფხვრა; სამეურნეო საქმიანობის შედეგზე მომქმედი საფრთხის შემცირება; ზარალის მინიმიზაცია; დანაკარგების სწრაფი ლიკვიდაცია და ა.შ.

ყოველთვის არ არის შესაძლებელი ყველა სარისკო ფაქტორების გათვალისწინება, მაგრამ საკმაოდ რეალურია მათგან ძირითადის გამოყოფა და ამავე დროს ორ ძირითად კითხვაზე პასუხის გაცემა:

1. როგორი ეფექტი აქვს ამა თუ იმ სარისკო მოვლენას და როგორია მისი გავლენა შედეგებზე;
2. როგორია მისი წარმოშობის ალბათობა.

მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ შეიძლება დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს გამოვლენილი რისკები ფირმის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, გადარჩენისათვის აუცილებელია ახალი ტექნიკის დანერგვა და გაბედული, არატრივიალური ქმედება, რაც თავის მხრივ აძლიერებს რისკს. აქედან გამომდინარეობს, რომ კი არ უნდა გავუქცეთ რისკს, არამედ შევაფასოთ მისი ხარისხი, შესაძლებლობის ფარგლებში დავწიოთ დაბლა და ვმართოთ იგი, რომელიც უპირველესად ითვალისწინებს საწარმოს

სიმყარის უზრუნველყოფის გზებსა და შესაძლებლობებს, არახელსაყრელ სიტუაციებზე წინააღმდეგობის გაწევის გზით.

2.2. სამეურნეო რისკის თეორიული საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ეკონომიკური გარემოს ცვალებადობისა და განუსაზღვრელობის პირობებში ხდება, ე.ი. საბოლოო შედეგის მიღებამდე წარმოიქმნება გარკვეული გაუგებრობა და საშიშროება რისკისა, წარუმატებლობისა და გაუთვალისწინებელი დანაკარგებისა.

სამეწარმეო საქმიანობაში წარმოქმნილი დანაკარგები არის შემდეგი სახის: *მატერიალური, შრომითი, ფინანსური, დროითი და სპეციალური (კერძო) სახის*. ალბათური დანაკარგების კომპლექსური ანალიზისას უნდა განისაზღვროს არა მარტო რისკის გამომწვევი მიზეზები, არამედ ის, თუ რომელი მათგანი პრევალირებს. რადგან ჩამოთვლილი დანაკარგების ანალიზისას აუცილებელია ალბათური დანაკარგების დაყოფა ძირითად და მეორეხარისხოვნად. სამეურნეო რისკის განსაზღვრისას, მეორეხარისხოვანი დანაკარგები შეიძლება საერთოდ გამოირიცხოს, ხოლო თუ მაღლა ჩამოთვლილი დანაკარგებიდან რომელიმე სიდიდით ან წარმოშობის ალბათობით უსწრებს დანარჩენს, რისკის შეფასებისას, დანაკარგების მხოლოდ ეს სახე უნდა განისაზღვროს.

სამეურნეო საქმიანობაში წარმოიშვება რამოდენიმე სახის რისკი და თითოეული მათგანი განსხვავდება ერთმანეთისაგან წარმოშობის

ადგილისა და დროის მიხედვით, შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობის მიხედვით (რომლებიც მოქმედებენ მათ დონეზე) და ანალიზის ხერხებისა და მათი აღწერის მიხედვით.

რისკის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს შემდეგი მთავარი ელემენტები:

- წარმოშობის დრო;
- წარმოშობის ძირითადი ფაქტორები;
- აღრიცხვის ხასიათი;
- წარმოშობის სფერო და სხვ.

წარმოშობის დროის მიხედვით რისკი იყოფა: რეტროსპექტიულ, მიმდინარე და პერსპექტიულად. რეტროსპექტიული რისკის ანალიზი, მისი ხასიათი და შემცირების მეთოდები, საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად იქნას პროგნოზირებული მიმდინარე და პერსპექტიული რისკი.

წარმოშობის ფაქტორების მიხედვით რისკი იყოფა პოლიტიკურ და ეკონომიკურად. *პოლიტიკური რისკი* – ეს არის პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებით გამოწვეული რისკი, რომელიც გავლენას ახდენს სამეწარმეო საქმიანობაზე (საზღვრების გადაკეტვა, სხვა ქვეყანაში საქონლის გატანის აკრძალვა, ქვეყნის ტერიტორიაზე საომარი მოქმედება და სხვა). *ეკონომიკური რისკი* გამოწვეულია საწარმოს ეკონომიკაში არასასიკეთო ცვლილებით. ეკონომიკური რისკის ყველაზე გავრცელებული სახე, რაზედაც კონცენტრირებულია კერძო რისკები წარმოადგენს ბაზრის კონიუქტურის ცვლილება, საგადასახადო დავალების დროულად შეუსრულებლობა, მართვაში ცვლილება და სხვ.

აღრიცხვის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ შიდა და გარე რისკებს. *გარეს* მიეკუთვნება რისკი, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული საწარმოს საქმიანობასთან ან მის საკონტაქტო

აუდიტორიასთან. მასზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორები. შიდა რისკი კი განპირობებულია საწარმოსა და მისი საკონტაქტო აუდიტორიის საქმიანობით. მასზე გავლენას ახდენს ხელმძღვანელის საქმიანი აქტიურობა, მარკეტინგული სტრატეგიის ოპტიმალური არჩევანი, საწარმოო პოტენციალი, ტექნიკური აღჭურვილობა, სპეციალიზაციის დონე, შრომის მწარმოებლურობა და სხვ.

კლასიფიკაციის მიხედვით ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია წარმოშობის სფეროს მიხედვით, რომელსაც საფუძვლად უდევს საქმიანობის სფერო და შესაბამისად გამოიყოფა სამეწარმეო, საფინანსო და სხვა რისკები, რომლებიც თავის მხრივ გამოყოფენ სხვადასხვა რისკებს: საგარეო, საქვეყნო, სავალუტო, საგადასახადო, საშინაო, საორგანიზაციო, სარესურსო, საინოვაციო, საკრედიტო, ფორს-მაჟორული და სხვ.

გამომდინარე იქედან, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში რისკი გარდაუვალია, მეწარმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს არ გაექცეს რისკს, არამედ წინასწარ განჭვრიტოს იგი, რადგან ადამიანის არანაირ შესაძლებლობას, უნარს არ შესწევს რისკის მოსპობა, შესაძლებელია მხოლოდ მისი შედეგების შემარბილებელი მექანიზმის შემუშავება.

ცოდნა მოსალოდნელი რისკის შესახებ მეწარმისათვის აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. მნიშვნელოვანია თუ რა გავლენას მოახდენს მოცემული სახეობის რისკი და როგორი შედეგი ექნება მას. თავდაპირველად აუცილებელია იმ მოვლენათა აღბათობის შეფასება, რომელიც მოხდება, შემდეგ კი დასკვნის გაკეთება, თუ როგორ იმოქმედებს იგი საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

რისკი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა მეთოდებით, როული ალბათური ანალიზიდან დაწყებული, ინტუიციით დამთავრებული. ამჟამად მეწარმეთა უმეტესობა ინტუიციას ეყრდნობა. მხოლოდ ხელმძღვანელთა უმცირესობას შეუძლია რისკის მათემატიკური მეთოდებით განსაზღვრა.

წარმატებას აღწევს ის მეწარმე, რომელსაც შეუძლია ერთდროულად გამოთვალოს ან ინტუიციურად განსაზღვროს რისკის ხარისხი და შესაძლო წარუმატებლობის მიუხედავად წავიდეს რისკზე.

რისკის პროცესი ყოველთვის ითვალისწინებს ინფორმაციის მიღებას, გადაცემას, გადამუშავებას და პრაქტიკულ გამოყენებას. საიმედო ინფორმაციის მოპოვება კი მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ინფორმაციული უზრუნველყოფა კი თავის მხრივ შედგება სხვადასხვა სახის ინფორმაციისაგან: სტატისტიკური, ეკონომიკური, კომერციული, ფინანსური და ა.შ. ასეთი ინფორმაცია შეიცავს ალბათობას ამა თუ იმ მოვლენაზე, კაპიტალზე, კლიენტების, პარტნიორების, კონკურენტების და ა.შ. ფინანსურ მდგომარეობასა და გადახდისუნარიანობაზე და ა.შ.

რისკთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება ყოველთვის მიზანმიმართულია და აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ექცევა რისკის ანალიზს (იხ. ნახ.2.1).

რისკის ანალიზისას გამოიყენება ცნობილი ამერიკელი ექსპერტის ბ.ბერლიმერის შემდეგი კრიტერიუმები:

- რისკისაგან წარმოქმნილი დანაკარგები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია;
- ერთი მიმართულებით წარმოქმნილი დანაკარგები არ ზრდის მეორე მიმართულებით დანაკარგების წარმოშობის ალბათობას;


- მაქსიმალური დანაკარგები არ უნდა აღემატებოდეს მეწარმის ფინანსურ მდგომარეობას.

რისკი შეიძლება იყოს დინამიური და სტატისტიკური

დინამიური რისკი – ეს არის ძირითად კაპიტალში გაუთვალისწინებელი ცვლილებების რისკი, რომელიც გამოწვეულია საბაზრო ან პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებით. ასეთმა ცვლილებებმა კი შეიძლება გამოიწვიოს როგორც დანაკარგები, ასევე დამატებითი შემოსავალი.

სტატისტიკური რისკი – ეს არის რეალური დანაკარგების რისკი, რომელიც გამოწვეულია საკუთრებაზე ზარალის მიყენებით, ორგანიზაციის ქმედუნარობით, შემოსავლების დაკარგვით. აღნიშნულმა რისკმა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ დანაკარგები.

რისკის ანალიზი შეიძლება დაიყოს ორ სახედ: ხარისხობრივად და რაოდენობრივად.



ნახ.2.1. რისკის ანალიზის სქემა

რისკის ხარისხობრივი ანალიზი შედარებით მარტივია. მისი მთავარი ამოცანა რისკის ფაქტორებისა და სამუშაო ეტაპების განსაზღვრაა ე.ი. რისკის პოტენციური გარემოს დადგენა, რომლის შედეგადაც ხდება ყველა შესაძლო რისკის იდენტიფიცირება.

რისკის რაოდენობრივი ანალიზი უფრო რთულია და მას დაწვრილებით III თავში განვიხილავთ.

რისკის ანალიზი ეფუძნება მეთოდოლოგიას, რომლის დახმარებითაც ხდება მომავალი განუსაზღვრელობის ანალიზი, რათა განისაზღვროს სავარაუდო შედეგებზე რისკის ზემოქმედება.

თავი III. სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის განსაზღვრისა და შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომები და კრიტიკიუმები

სამეურნეო რისკის განსაზღვრისა და ეკონომიკური შეფასებისას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შესაძლო დანაკარგების ანალიზსა და პროგნოზირებას.

დანაკარგის ალბათობის შესაფასებლად საჭიროა სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის დანაკარგების წინასწარი გამოვლენა და შესაძლებლობის ფარგლებში რაოდენობრივად შეფასება.

გამოიკვეთება სამეურნეო რისკის ეკონომიკური შეფასების ორი მეთოდი: ხარისხობრივი და რაოდენობრივი.

რისკის ხარისხობრივი განსაზღვრა ითვალისწინებს რისკის წყაროებისა და მიზეზების გამოვლენას, რისკის წარმოქმნის ეტაპების გამოყოფას, ყველა შესაძლო რისკების იდენტიფიკაციას (დადგენას), პრაქტიკული მოგებისა და შესაძლო ნეგატიური შედეგების გამოვლენას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა შესაძლო რისკის გამოვლენისა და იდენტიფიკაციის მეთოდები, რადგან გადაწყვეტილების

მისაღებად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რომელი სახეობის რისკთან აქვს საქმე მეწარმეს.

ხარისხობრივი ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო იმ სახეობის რისკების გამოვლენა, რომელიც ემუქრება მოცემულ საქმიანობას, არამედ, შესაძლებლობის ფარგლებში, სარისკო მოვლენისადმი თანდართული შესაძლო დანაკარგების გამოვლენაც.

რისკის ხარისხობრივი ანალიზის შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან საწყის ინფორმაციას რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად.

რისკის რაოდენობრივი ანალიზი ითვალისწინებს რისკის რიცხობრივ განსაზღვრას. ამ ეტაპზე რიცხობრივად განისაზღვრება სარისკო მოვლენის დადგომის ალბათობა და ხდება რისკის ხარისხის რაოდენობრივი შეფასება. განისაზღვრება აგრეთვე კონკრეტულ ვითარებაში დასაშვები რისკის დონე.

რისკის რაოდენობრივი შეფასება საშუალებას იძლევა გამოიყოს წარმოშობის მიხედვით ყველაზე ალბათური და დანაკარგების მიხედვით ყველაზე წონადი რისკები.


რისკი ალბათური კატეგორიაა და მეცნიერული თვალსაზრისით მისი განსაზღვრა მიზანშეწონილია გარკვეული სახის დანაკარგების წარმოშობის ალბათობით.

რისკის ეკონომიკური შეფასებისას უპირველესად უნდა იქნას განხილული მისი რამოდენიმე ძირითადი მაჩვენებელი. ამისათვის საჭიროა რისკის ზონების გამოყოფა დანაკარგების სიდიდის მიხედვით (ნახ.3.1).

ზონა, რომელშიც დანაკარგები არ არის მოსალოდნელი, ეწოდება რისკისგარეშე ზონა და მას შეესაბამება უარყოფითი ანუ ნულოვანი დანაკარგები (მოგება).

დასაშვები რისკის ზონად ითვლება ის მიდამო, რომლის საზღვრებშიც მოცემული სახის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, ეკონომიკურად მიზანშეწონილია ე.ი. შეიძლება ადგილი ჰქონდეს უმნიშვნელო დანაკარგებს. დასაშვები რისკის ზონის საზღვრები შეესაბამება მოცემული სამეურნეო საქმიანობიდან გამოთვლილი მოგების ტოლ დანაკარგებს.

შემდეგ უფრო საშიშ ზონას ეწოდება – კრიტიკული რისკის ზონა. მისთვის დამახასიათებელია დანაკარგები, რომელიც აღემატება მოსალოდნელ მოგებას მთლიანი ამონაგების ჩათვლით (ამონაგები



ნახ. 3.1. რისკის ზონის სქემა

წარმოადგენს ხარჯებისა და მოგების ჯამს). კრიტიკული რისკის ზონისათვის დამახასიათებელია დანაკარგები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება მოსალოდნელ მოგებას და შეიძლება გამოიწვიოს საქმეში ჩადებული თანხის აუნაზღაურებელი დანაკარგი. საბოლოო ჯამში კი მეწარმე მხოლოდ ზარალდება.


კრიტიკულის გარდა არსებობს კიდევ უფრო საშიში – კატასტროფული რისკის ზონა, რომელიც, დანაკარგების სიდიდის მიხედვით აღემატება კრიტიკული რისკის ზონას და შეიძლება მიაღწიოს მეწარმის ქონებამდე. კატასტროფულ რისკს შეუძლია მიიყვანოს საწარმო გაკოტრებამდე, დახურვამდე და ქონების გაყიდვამდეც კი. ქონებრივი ან ფულადი დანაკარგების გარდა, კატასტროფულს მიეკუთვნება ეკოლოგიური კატასტროფით გამოწვეული რისკიც.

რისკის შესახებ უფრო თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა ე.წ. ალბათური დანაკარგის განაწილების მრუდი ანუ ალბათური დანაკარგების, მათ დონეზე დამოკიდებულების გრაფიკული გამოსახულება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ალბათურია ამა თუ იმ დანაკარგების წარმოშობა.

დანაკარგების ალბათობის ტიპური მრუდის სახეობის დასადგენად, მოგება უნდა განვიხილოთ როგორც შემთხვევითი სიდიდე და დასაწყისისათვის ავსტოთ გარკვეული დონის მოგების მიღების ალბათური განაწილების მრუდი (ნახ. 3.2).

მოგების მიღების ალბათობის განაწილების მრუდის ასაგებად მიღებულია შემდეგი:

1. ყველაზე ალბათური მოგება ტოლია – მოგზ. ასეთი მოგების მიღების ალბათობა (აზ) მაქსიმალურია და შესაბამისად მოგზ-ის მნიშვნელობა შეიძლება ჩაითვალოს მოგების მათემატიკურ ლოდინად. გამოთვლილ მოგებასთან შედარებით, დიდი ან მცირე მოგების მიღების ალბათობა მით ნაკლებია, რაც მეტია განსხვავება ამ მოგებისა, გამოთვლილ მოგებასთან. ე.ი. გამოთვლილი მოგებიდან გადახრის ალბათობის მნიშვნელობა მონოტონურად კლებულობს გადახრის ზრდისას.
2. მოგების დანაკარგს (Δ მოგ) წარმოადგენს გამოთვლილი მოგების (მოგზ) შემცირებული სიდიდე. თუ რეალური მოგება მოგ.-ის ტოლია, მაშინ Δ მოგ = მოგზ – მოგ.
 განსაკუთრებულად დიდი (თეორიულად უსასრულო) დანაკარგების ალბათობა პრაქტიკულად ნულის ტოლია, რადგან



ნახ. 32. გარკვეული დონის მოგების მიღების ალბათობის ტიპური მრუდი

D – გამოთვლილი ალბათობა

D – გამოთვლილი მოგება

ΔD – მოგების დანაკარგი;

D - მოგება

3. დანაკარგებს გააჩნია უმაღლესი საზღვარი (გამოირიცხება ის დანაკარგები, რომელთა რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელია).

მოცემული დაშვებები შეიძლება გარკვეულწილად სადაოც იყოს, მაგრამ საერთო ჯამში ისინი მართებულია სამეურნეო რისკის ცვლილების საერთო კანონზომიერების თვალსაზრისით და ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ მოგება, როგორც შემთხვევითი სიდიდე ექვემდებარება ნორმალურ და ნორმალურთან მიახლოებულ განაწილების კანონს.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები კონკრეტულ სიტუაციაში ამა თუ იმ დონის რისკის „მისაღებობის“ შესახებ. გამოიყენება მხოლოდ რისკის რაოდენობრივი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი:

$$R = H_{\text{დ}} * P \quad (1)$$

სადაც $H_{\text{დ}}$ – დანაკარგების სიდიდე;

P – სარისკო მოვლენის დადგომის ალბათობა.


რისკის ხარისხი განისაზღვრება შესაძლო ზარალის ნამრავლით ამ ზარალის მოხდენის ალბათობაზე.

რისკის ალბათური შეფასება მათემატიკურად საკმაოდ კარგად არის შემუშავებული, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობაში მარტო მათემატიკურ გამოთვლებზე დაყრდნობა ყოველთვის არ არის საკმარისი.

მოგების მიღების ალბათობის მრუდიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოგების დაკარგვის ალბათობის განაწილების მრუდის აგება, რომელსაც *რისკის მრუდიც* ეწოდება. ფაქტიურად ეს იგივე მრუდია, მხოლოდ აგებულია კოორდინატთა სხვა სისტემაში (ნახ.3.3).

მოცემული მრუდისათვის სახასიათო წერტილებია: 1; 2; 3 და 4 წერტილები.

- **წერტილი 1** ($\Delta\text{მოგ}=0$; $\alpha=\alpha_0$) განსაზღვრავს მოგების ნულოვანი დაკარგვის ალბათობას. მიღებული დაშვებების მიხედვით ნულოვანი დანაკარგის ალბათობა მაქსიმალურია, თუმცა ერთზე ნაკლები.



ნახ. 33. გარკვეული დონის მოგების დაკარგვის ალბათობის განაწილების მრუდი

- **წერტილი 2** ($\Delta\text{მოგ}=\text{მოგ}_0$; $\alpha=\alpha_0$) შეესაბამება მოსალოდნელი მოგების ტოლ შესაძლო დანაკარგებს, ე.ი. მოგების მთლიან დანაკარგს, რომლის ალბათობა α_0 -ს ტოლია.

- წერტილი 3 (Δმოგ=ამონაგები; ა=აკრ) შეესაბამება დანაკარგებს, რომელიც გამოთვლილი ამონაგების ტოლია. ასეთი დანაკარგების ალბათობა აკრ-ის ტოლია. 2 და 3 წერტილები განსაზღვრავენ კრიტიკული რისკის ზონის საზღვრებს.
- წერტილი 4 (Δმოგ=მთლ.ქონ.; ა=აკატ) დამახასიათებელია დანაკარგები, რომელიც მთლიანი ქონების ტოლია და რომლის ალბათობა აკატ-ია. 3 და 4 წერტილებს შორის მდებარეობს კატასტროფული რისკის ზონა.

დანაკარგები, რომლებიც აღემატება მეწარმის მთლიან ქონებას, არ განიხილება, რადგან მათი გადახდა შეუძლებელია.

გარკვეული დონის დანაკარგების ალბათობა საკმაოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რადგან გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მოსალოდნელ რისკსა და მის მიღებაზე. ამიტომ აგებულ მრუდს რისკის მრუდს უწოდებენ.

თუ კატასტროფული დანაკარგების ალბათობა ისეთია, რომ იგრძნობა მთლიანი ქონების დაკარგვის საშიშროება (მაგ. როცა ალბათობა 0,2-ია), მაშინ რეალურად მოაზროვნე მეწარმე უარს იტყვის და არ წავა ასეთ რისკზე.

ამრიგად, თუ რისკის შეფასებისას ვერ ხერხდება რისკის ალბათობის მთლიანი მრუდის აგება, მაგრამ შესაძლებელია ოთხი მახასიათებელი წერტილის განსაზღვრა (რისკის ყველაზე ალბათური დონე; დასაშვები; კრიტიკული და კატასტროფული დანაკარგების ალბათობები), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ შეფასება გაკეთებულია. აღნიშნული მაჩვენებლების დადგენის საფუძველზე შესაძლებელია მეწარმემ გასწიოს დასაბუთებული რისკი.

უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმისათვის, რომელიც აფასებს რისკს,

უმეტესად დამახასიათებელია რისკისადმი არა ზუსტი, არამედ ინტერვალური მიდგომა. რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო იმის ცოდნა, თუ როგორია მოცემულ საქმიანობაში გარკვეული რაოდენობის თანხის დაკარგვის ალბათობა, არამედ მისთვის უფრო საინტერესოა რამდენად რეალურია გარკვეულ საზღვრებში არსებული თანხის დაკარგვის ალბათობა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა დანაკარგების ალბათობის მრუდი, დანაკარგების მოცემულ ინტერვალში ალბათობის საშუალო მნიშვნელობის პოვნის გზით.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო გარკვეული დონის დანაკარგების ალბათობა, არამედ ალბათობა იმისა, რომ დანაკარგები არ აღემატება გარკვეულ დონეს. ლოგიკურად, სწორედ ეს არის რისკის ძირითადი მაჩვენებელი.

ალბათობა იმისა, რომ გარკვეული ოდენობის დანაკარგები არ აღემატება რაღაც დონეს, არის საიმედოობის მაჩვენებელი. ნათელია, რომ რისკის მაჩვენებელი და სამეურნეო საქმის საიმედოობა მტკიცედაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

ა – ალბათობა;

ა_გ – გამოთვლილი ალბათობა;

ა_დ – დასაშვები ალბათობა;

ა_{კრ} – კრიტიკული ალბათობა;

ა_{კატ} – კატასტროფული ალბათობა;

მთლ.ქონ. – მთლიანი ქონება.

გამოკვლევების განზოგადების საფუძველზე რისკის რაოდენობრივ შეფასებასთან დაკავშირებით შედგენილია ემპირული რისკის სკალა, რომელიც შეიძლება გამოიყენონ მეწარმეებმა სარისკო მოვლენის ალბათობის რაოდენობრივი შეფასებისას (ნახ. 3.4).

რისკის სიდიდის პირველი-სამი გრადაცია შეესაბამება ნორმალურ, შეგნებულ რისკს, რომლის დროსაც რეკომენდებულია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ჩვეულებრივად.

მაღალი დონის რისკის პირობებში, გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღები პირის რისკისადმი მიდრეკილებაზე. თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასასურველ შედეგს არ მიჰყავს მეწარმე (ფირმა) გაკოტრებამდე.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ რისკის ოპტიმალური კოეფიციენტია – 0,3, ხოლო რისკის კოეფიციენტი, რომელიც 0,7 და მეტია იწვევს ფირმის გაკოტრებას.

№	არასასურველი შედეგების ალბათობა (რისკის სიდიდე)	რისკის გრადაციის დასახელება
1	0,0 – 0,1	მინიმალური
2	0,1 – 0,3	მცირე
3	0,3 – 0,4	საშუალო
4	0,4 – 0,6	მაღალი
5	0,6 – 0,8	მაქსიმალური
6	0,8 – 1,0	კრიტიკული

ნახ. 3.4. რისკის დონის ემპირული სკალა

რისკის კოეფიციენტი (r) განისაზღვრება შესაძლო მაქსიმალური

დანაკარგების ($H_{დ. max}$) ფარდობით მეწარმის (ფირმის) ფინანსურ რესურსებთან (K)

$$r = H_{დ. max} / K \quad (2)$$

ჩვენს მიერ მოყვანილია რისკის სკალა მაღლა მითითებული კოეფიციენტების შემდეგი გრადაციით:

- მისაღები რისკი – 0,25-მდე;
- დასაშვები რისკი – 0,25 – 0,50;
- კრიტიკული რისკი – 0,50 – 0,75;
- კატასტროფული რისკი – 0,75-ზე მაღლა.

კოეფიციენტს, რომლის საზღვრები მდებარეობს 0,3-დან 0,7-მდე, ეწოდება მომეტებული რისკის ზონა და განსაზღვრავს გაკოტრების რისკს.

აზრის შემუშავებისა და მეწარმეობის განხორციელების შესახებ რისკის მაჩვენებლების (აღ; აღ; აკრ; აკატ) ცოდნა, იძლევა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი, საჭიროა კიდევ იმ ზღვრული სიდიდის დადგენა, რომელსაც ის არ უნდა გადასცდეს, რათა არ მოხვდეს მეტისმეტად მიუღებელი რისკის ზონაში.

დასაშვები, კრიტიკული და კატასტროფული რისკის წარმოშობის ზღვრული ალბათური მნიშვნელობები აღინიშნება შესაბამისად $K_{დ}$; $K_{კრ}$; $K_{კატ}$. ეს მნიშვნელობები უნდა დაადგინოს სამეურნეო რისკის გამოყენებითმა თეორიამ, მაგრამ თვით მეწარმეც უფლებამოსილია „დაადგინოს“ რისკის საკუთარი ზღვრული დონე, რომელსაც ის არ გადასცილდება. ორიენტირებისათვის გამოიყენება რისკის შემდეგი ზღვრული მნიშვნელობები: $K_{დ} = 0,1$; $K_{კრ} = 0,01$ და $K_{კატ} = 0,001$ ე.ი.

შესაბამისად 10, 1 და 0,1%. ეს ნიშნავს, რომ არ შეიძლება რისკზე წასვლა, თუ 100 შემთხვევიდან 10 შემთხვევაში დაიკარგება მოგება, 100 შემთხვევიდან 1 შემთხვევაში დაიკარგება ამონაგები და 1000 შემთხვევიდან 1 შემთხვევაში დაიკარგება მთლიანი ქონება.

შედგებად, რისკის სამი მაჩვენებლისა და რისკის ზღვრული კრიტერიუმების მნიშვნელობათა არსებობისას შეიძლება მოცემული სახის მეწარმეობის ყველაზე საერთო პირობის ფორმულირება:

- ✓ დასაშვები რისკის მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ მნიშვნელობას ($\Delta_d < K_d$);
- ✓ კრიტიკული რისკის მაჩვენებელი უნდა იყოს ზღვრულ სიდიდეზე ნაკლები ($\Delta_{kr} < K_{kr}$);
- ✓ კატასტროფული რისკის მაჩვენებელი უნდა იყოს ზღვრულ სიდიდეზე ნაკლები ($\Delta_{კატ} < K_{კატ}$).

შესაბამისად, სამეურნეო რისკის ეკონომიკური შეფასების მთავარ პირობას წარმოადგენს შესაძლო დანაკარგების ალბათობის მრუდის აგება და დასაშვები, კრიტიკული და კატასტროფული რისკის ზონის მაჩვენებლების განსაზღვრა.

რისკის რაოდენობრივი შეფასებისათვის, აღნიშნულის გარდა, შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი ძირითადი მეთოდები: სტატისტიკური და ექსპერტული შეფასების.

სტატისტიკური მეთოდი მდგომარეობს დანაკარგების ან მოგების სტატისტიკის შესწავლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ ან ანალოგიურ საწარმოში, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს მოვლენის ალბათობა და დადგინდეს რისკის სიდიდე. ამ სიტუაციაში კი ალბათობა ნიშნავს გარკვეული შედეგის მიღების შესაძლებლობას.

ბოლო პერიოდში პოპულარული გახდა სტატისტიკური – „მონტე-კარლოს მეთოდი“. მის უპირატესობას წარმოადგენს მოცემული სამეურნეო საქმიანობის რეალიზაციის სხვადასხვა მიდგომების ანალიზი და შეფასება რისკის სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

რისკის სტატისტიკური მეთოდით განსაზღვრისას, დანაკარგების წარმოშობის ალბათობის გამოსათვლელად ხდება სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. გარკვეული დონის დანაკარგების წარმოშობის სიხშირე კი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$f_0 = n' / n_{\text{საერთ}} \quad (3)$$

სადაც f_0 – გარკვეული დონის დანაკარგების წარმოშობის სიხშირე;

n' – კონკრეტული დონის დანაკარგების წარმოშობის რაოდენობა;

$n_{\text{საერთ}}$ – არჩევის შემთხვევაში საერთო რაოდენობა დადებითი შედეგების ჩათვლით.

თუ სტატისტიკური მასივი საკმაოდ ოდენობითაა წარმოდგენილი, მოცემული დონის დანაკარგების წარმოშობის სიხშირე შეიძლება მიახლოებით გაუტოლდეს მათი წარმოშობის ალბათობას და ამის საფუძველზე აიგოს დანაკარგების ალბათობის მრუდი, რომელიც არის რისკის საწყისი მრუდი.

უნდა აღინიშნოს ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი მდგომარეობა. გარკვეული დონის დანაკარგების წარმოშობის სიხშირის განსაზღვრისას (შესაბამის შემთხვევათა რიცხვის შეფარდებით მათ საერთო რიცხვთან), საერთო შემთხვევათა რიცხვში უნდა იქნას შესული ის შემთხვევებიც, როცა არ იყო დანაკარგები და იყო მოგება ე.ი. იყო გამოთვლილზე მეტი

მოგება. სხვაგვარად, დანაკარგების ალბათური მაჩვენებლები და რისკის საშიშროება გადამეტებული აღმოჩნდება.

სამეურნეო რისკის შეფასებისას, ზოგჯერ სტატისტიკური მეთოდების გამოყენება შეუძლებელია, რაც გამოწვეულია საჭირო ინფორმაციის არქონით. ამ შემთხვევაში ფართოდ გამოიყენება ცდების შედეგები და ინტუიციის მეთოდი, ე.ი. ევრისტიკული მეთოდი ანუ **ექსპერტული შეფასების მეთოდი**.

ტრადიციული ევრისტიკული პროცედურის მაგალითია სხვადასხვა ექსპერტიზა, კონსილიუმი, შეკრება და ა.შ. რომელთა შედეგია საკვლევი ობიექტის ექსპერტული შეფასება.

პრაქტიკაში გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ექსპერტული შეფასება.

ინდივიდუალური ექსპერტული შეფასების ძირითადი მიზანია:

- მოვლენის განვითარების პროგნოზირება მომავლისათვის და მისი შეფასება აწმყოში. რისკის ანალიზთან და შეფასებასთან შედარებით ეს არის რისკის მიზეზებისა და წყაროების გამოვლენა, კონკურენტების მოქმედების პროგნოზირება, ყველა შესაძლო რისკის გამოვლენა, სარისკო მოვლენის ალბათობის შეფასება, რისკის რანჟირება და შედეგის კოეფიციენტის დადგენა, რისკის შემცირების გზების გამონახვა და სხვა;
- სხვა ექსპერტების მიერ წარმოდგენილი შედეგების ანალიზი და განზოგადება;
- მოქმედების სცენარის შედგენა;
- შედეგების გადაცემა სხვა სპეციალისტებსა და ორგანიზაციაზე (რეცენზიები, გამოხმაურება, ექსპერტიზა და ა.შ.).

ინდივიდუალური ექსპერტიზის დადებით მხარეს წარმოადგენს

ინფორმაციის მიღების ოპერატიულობა და შედარებით მცირე ხარჯები. ნაკლის სახით კი შეიძლება გამოიყოს სუბიექტურობის მაღალი დონე.

ჯგუფური განხილვის პროცესს ინდივიდუალურ შეფასებასთან შედარებით ახასიათებს განსხვავებული თავისებურება: კოლექტიური შეფასება, რომელიც როგორც წესი, ნაკლებად სუბიექტურია და მიღებული გადაწყვეტილება განხორციელების დიდ ალბათობასთანაა დაკავშირებული.

თვლიან, რომ ჯგუფური ექსპერტული მეთოდების გამოყენებით პრობლემების გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტისას, ექსპერტთა ჯგუფის აზრი უფრო საიმედოა ვიდრე ცალკეული ექსპერტის. ითვლება აგრეთვე, რომ ექსპერტთა ინდივიდუალური პასუხების ერთობლიობა არის „ჭეშმარიტი“ პასუხი.

იდეის კოლექტიური განხილვის მეთოდის კვლევამ აჩვენა, რომ ჯგუფური აზროვნება 70%-ით მეტ ახალ ღირებულ მეთოდებს წარმოშობს, ვიდრე ინდივიდუალური აზროვნება.

შესაძლებელია ექსპერტებისაგან მიღებული ინფორმაციის გამოყენება შემდგომი ანალიზისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის გამოყენების რამოდენიმე მეთოდი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს შემდეგში: თითოეული ექსპერტი იძლევა შეფასებას სხვებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო შემდეგ სათანადო მეთოდების გამოყენებით ხდება ამ შეფასების ერთიანი განზოგადება. განზოგადებული შეფასების უმარტივესი მეთოდი მდგომარეობს საშუალო ალბათობის გამოთვლაში:

$$P = \sum_{i=1}^m P_i/m$$

სადაც **P** – სარისკო მოვლენის ალბათობა;

P_i - *i*-ური ექსპერტის მიერ მითითებული ალბათობა;

m – ექსპერტთა რაოდენობა.

ექსპერტული შეფასების მეთოდის მიმართ ზოგიერთი სპეციალისტი უნდობლად არის განწყობილი. ისინი თვლიან, რომ მიღებული შეფასება არ არის ჭეშმარიტი. სინამდვილეში, შედეგების უტყუარობის ზუსტი შეფასება შეუძლებელია. თუმცა, როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ექსპერტების აზრთა შეთანხმებისას მათი შეფასება ზუსტია.

რისკის რაოდენობრივი შეფასებისათვის, ან თუ უფრო დავაკონკრეტებთ, რისკის რაოდენობრივად შესაფასებლად საჭირო რისკის მრუდის ასაგებად გამოიყენება ანალიტიკური მეთოდი, რომელიც აღნიშნული შეფასების მეთოდებზე უფრო რთულია, რადგან მას საფუძვლად თამაშის თეორიის ელემენტები უდევს და რომელიც მხოლოდ ვიწრო სპეციალისტებისათვის არის ცნობილი. უმეტესად გამოიყენება ანალიტიკური მეთოდის ქვესახეობა – მგრძნობიარობის ანალიზი, რომელიც შედგება შემდეგი ნაბიჯებისაგან:

- იმ მნიშვნელოვანი მაჩვენებლის არჩევა, რომლის მიმართაც ხდება მგრძნობიარობის შეფასება (შემოსავლის ნორმა, სუფთა შემოსავალი და ა.შ.);
- ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება;
- სხვადასხვა ეტაპზე არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მნიშვნელობის გამოთვლა (ნედლეულის შესყიდვა, წარმოება, რეალიზაცია, ტრანსპორტირება და ა.შ.).

ასეთი სახით ფორმირებული ხარჯები და ფინანსური რესურსები თითოეული მომენტისათვის (ან დროის მონაკვეთისათვის), ფულადი

ფონდის დინების განსაზღვრის საშუალებას იძლევა ე.ი. ხდება ეფექტურობის მაჩვენებლის განსაზღვრა. აიგება დიაგრამები, რომლებიც გამოსახავენ არჩეული შედეგების საწყის სიდიდეზე დამოკიდებულებას. მიღებული დიაგრამების ერთმანეთთან შედარებისას განისაზღვრება ე.წ. უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს შემოსავლიანობის შეფასებაზე.

მგრძობიარობის მაჩვენებელს სერიოზული ნაკლიც გააჩნია: ის არ არის ყოვლისმომცველი და არ აზუსტებს ალტერნატიულის განხორციელების ალბათობას.

სამეურნეო (და სხვა მსგავს ანალოგიურ) საქმიანობაში რისკის ანალიზი დამოკიდებულია არა მარტო გაურკვეველობაზე, არამედ საიმედოობაზე, რწმენაზე და ა.შ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება თავისი არსით, რისკის საპირისპირო განსაზღვრება – შანსი, რომელიც ხელსაყრელი მოვლენის ალბათობასთანაა დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი რისკის სიდიდე განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$R_{\text{მოს}} = f(R_a; P_a; \Theta; U)$$

სადაც $R_{\text{მოს}}$ – მოსალოდნელი რისკის სიდიდე;

R_a – არახელსაყრელი დასასრულის რეალური ალბათობა (სტატისტიკური კანონზომიერების საფუძველზე მიღებული რისკის ობიექტური მნიშვნელობა);

P_a – ხელსაყრელი დასასრულის რეალური ალბათობა (სტატისტიკური მნიშვნელობის საფუძველზე მიღებული შანსის ობიექტური მნიშვნელობა);

Ⴄ – რისკის შეფასების ემოციური შემადგენელი;

U – ეკონომიკური საქმიანობისას „არახელსაყრელი“ სიტუაციის შეფასება.

მათემატიკური პოზიციიდან გამომდინარე (მოვლენები, რომლებიც დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან), შანსი და რისკი ქმნიან მოვლენათა სრულ ჯგუფს:

$$R_s + P_{\#} = 1$$

ამავე დროს:

$$R_s = N_s / N_t$$

სადაც **N_s** – მოვლენათა რაოდენობა არასასურველი დასასრულით;

N_t – მსგავს მოვლენათა (წარმატებული, წარუმატებელი, ნეიტრალური და ა.შ.) საერთო რაოდენობა.

სამეურნეო რისკის განსაზღვრისა და შეფასების თემა ახლა გამაღებული კვლევის პროცესშია. იგი მთელი მსოფლიოს მეცნიერთა დიდ ყურადღებას იპყრობს და თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად ითვლება. მოისინჯა ბევრი მიდგომა და მეთოდიკა, გაიარა დისკუსიების ხანგრძლივმა პერიოდმა, რომელიც კვლავ ფართოდ გრძელდება, ბევრ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული შეთანხმება. ეკონომისტები ერთი ჯგუფის მაჩვენებლებისაკენ იხრებიან, მათემატიკოსები – მეორე ჯგუფისკენ, პროგრამისტებს თავისი შეხედულებები აქვთ და ა.შ. თუმცა, ცხადია, რომ რისკი მხოლოდ სხვადასხვა, ურთიერთდაკავშირებული გარემოს, პირობისა და ფაქტორის კომპლექსური მოქმედების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და შეფასდეს.

ჩვენი აზრით, რადგანაც რისკი, ეკონომიკური მოვლენის შიგნით, კერძოდ საწარმოო (მ.შ. სოფლის მეურნეობის) სფეროში ძირითადად ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარებას (გარისკვას) უკავშირდება და რომელიც უპირატესწილად დანახარჯების კრიტერიუმს ეყრდნობა, ასევე უპირატესად ეკონომიკური პარამეტრების გამოყენებით უნდა განისაზღვროს და შეფასდეს. ცხადია ეს არ გამორიცხავს მათემატიკური, ვარიაციული, პროგრამირების ელემენტების უხვ და მომარჯვებულ გამოყენებას. ეკონომიკა ხომ მათემატიკურ რეგრესიულ-კორელაციურ გათვლებს ეყრდნობა და თანდათან კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ძალზე მჭიდროდ უკავშირდება.

ამრიგად, ამჟამად, რისკის განსაზღვრის შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია მეცნიერთა ფართო კვლევის საგნად რჩება, ძიებაშია ახალი მიდგომები, ახალი კრიტერიუმებისა და განზომილებების შემოღების ცდები.

ამჟამად, ძალზე პრინციპულად და აქტუალურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის და მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული კვების მრეწველობის თითოეული დარგის განვითარება უნდა ეყრდნობოდეს მკაცრად მიზნობრივ და მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებს, მორგებულ მექანიზმს, რომლის საბოლოო შედეგი მხოლოდ მომგებიანი და კონკურენტუნარიანი საქმიანობა იქნება.

უკანასკნელ ხანს ფართო აღიარება და მხარდაჭერა ჰპოვა და საბაზრო პრინციპებს მოერგო სამეურნეო რისკის თეორიისა და გამოყენებითი ხასიათის მეთოდები, რაც უტყუარ საფუძველს ქმნის ყველაზე ოპტიმალური და მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

სამეურნეო რისკის შეფასებით შესაძლებლობა გვეძლევა

დასაბუთებულად განვსაზღვროთ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი და სტრატეგიული მიმართულებები, წარმოების სპეციალიზაცია, წარმოების პროცესზე ზემომქმედი ფაქტორების მაღალი უკუგებით გამოყენების პირობები და მათი ურთიერთშეთანაწყოების დონე, ამასთან, ეტაპების მიხედვით ვარგეულიროთ დარგობრივი სტრუქტურა, არსებული რესურსებისა და საქონლის განაწილება და საბაზრო სეგმენტების გაჯერების სტრატეგიის ხარისხი, გამოვაავლინოთ წარმოების ძლიერი და სუსტი მხარეები.

სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის შეფასებისათვის, აღნიშნული პოზიციების მხედველობაში მიღებით, საქართველოში პირველად აკადემიკოს ო.ქეშელაშვილის მიერ შემოღებულია ისეთი ახალი პარამეტრი, როგორცაა *რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი*. ამისათვის მან ხმარებაში შემოიტანა საგანგებო, გამარტივებული სახის ფორმულა-მუდმივა. მისი გამოყენებით დგინდება სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები სხვადასხვა ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და სხვა ტიპის პოზიციისათვის, ანუ ფაქტორ-პოზიციისათვის.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ აკადემიკოს ო.ქეშელაშვილის შეხედულებას სამეურნეო რისკის შეფასების შესახებ და ამ მიზნით მის მიერ შემოთავაზებულ მეთოდურ მიდგომებს. იგი საფუძვლად დაუდეთ ჩვენს საგანგებო გამოკვლევებს, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდა.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის დადგენის ცდები ეკონომიკურ და სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ არ მოგვეპოვება. იგი, აკად. ო.ქეშელაშვილის რჩევით ჩვენს მიერ შემოტანილი სრულიად ახალი მიდგომაა და ახლებურად ასახავს რისკის

გაწევის დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას. ამ მაჩვენებლის მომარჯვებით უნდა დადგინდეს რისთვის არის მიზანშეწონილი ამა თუ იმ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ტექნოლოგიური ან სხვა ხასიათის ღონისძიების გატარება, მიმართულების რეალიზაცია, ანდა სამუშაოთა შესრულება, რათა ამის შედეგად ნაკლებ დანაკარგებს ქონდეს ადგილი და მიღწეული იქნას მაღალი უკუგებაც (ეკონომიკური ეფექტი). საბოლოო ჯამში ამით დასტურდება, რომ გაწეულ რისკს, ამა თუ იმ კონკრეტული ნაბიჯის მიხედვით, გამართლება ჰქონდა და გარკვეული მოგებაც მოიტანა.

რისკის მიზანშეწონილობის ზღვრების დადგენა არ არის ერთჯერადი აქტი, იგი პერიოდულ კორექტირებას და შესწორებას მოითხოვს, მასზე მოქმედი სხვადასხვა პირობისა და ფაქტორის გათვალისწინებით. ამის შესაბამისად, ერთ შემთხვევაში ამ ზღვრის ერთი დონე შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს, მეორე შემთხვევაში კი მეორე, რადგანაც იგი დგინდება განყენებულად ერთი რომელიმე ეკონომიკური სფეროს (ღონისძიების, მიმართულების და ა.შ.) მიხედვით. აი, რაც შეეხება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების სინთეზირებულ მაჩვენებლებს (რის შესახებაც ქვემოთაა აღნიშნული), ისინი რაც უფრო სტაბილური და მაღალი იქნება, მით მეტ დასაბუთებულობას ანიჭებს წარმოების გაძღოლის პროცესს, ასეთი რისკის პირობებში.

მეთოდური მიდგომის მიხედვით, სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები დგინდება შემდეგი სახის ფორმულის (ფორმულა-მუდმივას) გამოყენებით:

$$R = (X \cdot 2) / P$$

სადაც: **R** – რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი;

X – გაწეული ხარჯები(ლარი), კონკრეტულ ღონისძიებებზე, ან

მთლიანად საწარმოში (მეურნეობაში);

P – მიღებული შემოსავალი (ლარი), კონკრეტული ღონისძიების გატარების შედეგად, ან მთლიანად მეურნეობის მიერ.

მაგ. გაწეული ხარჯები მეურნეობაში 13ა-ზე უდრის 100 ლარს, მიღებული მთლიანი შემოსავალი 13ა-ზე არის 250 ლარი. მაშინ

$$R = (100 \cdot 2) / 250 = 0,80$$

ეს ნიშნავს, რომ ყოველი 1ლ. შემოსავალი მიიღება 0.80 ლარის დანახარჯის პირობებში, ანუ ყოველ მიღებულ (მისაღებ) 1 ლარ შემოსავალზე გასაწევი ხარჯების მაქსიმალური ზღვარია 0,80 ლარი.

რაც ნაკლებია ეს პარამეტრი, მით მეტი გამართლება აქვს რისკს (ამ სარისკო ღონისძიების გატარებას).

ამის გარდა, რისკის შესაფასებლად ჩვენ ვიყენებთ ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა რისკის უკუგების დონე. იგი, ცნობილი მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$L = (P - X) / X$$

სადაც: **L** – რისკის უკუგების დონე (კოეფიციენტის სახით გამოხატული);

X – გაწეული ხარჯები (ლარი);

P – მიღებული შემოსავალი (ლარი).

L – ნიშნავს, ყოველ დახარჯულ ლარზე თუ რანდენი ლარი შემოსავალი მიიღება.

თუ **L** მაჩვენებელს გავამრავლებთ 100-ზე, მივიღებთ მოგებას პროცენტობით.

სამეურნეო რისკის მეთოდის საკითხებზე მუშაობისას, ჩვენ ვცადეთ რამდენადმე დაგვეზუსტებინა რისკის უკუგების ზემოთ შემოთავაზებული ფორმულა და მას შემდეგი სახე მივეცით:

$$L = ((R \cdot P) - X) / X$$

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ასეთი მიდგომა, როცა უკუგების დონე დგინდება ეკონომიკური მიზანშეწონილობის ზღვრის კორექტირებით, გამოიყენება მცენარეთა დაცვის ეკონომიკის საკითხების კვლევისას, სადაც მან გაამართლა. ჩვენს შემთხვევაში კი ასეთმა მიდგომამ მთლად სწორი სურათი არ გვიჩვენა. კორექტირების ამ წესის გამოყენებით ხელოვნურად შემცირდა რეალური უკუგების დონე, თუმცა სავსებით შეიძლებოდა მის მიხედვითაც გარკვეული დასკვნების გამოტანა და რისკის უკუგების დონის ერთ-ერთ ვარიანტად წარმოდგენა.

ამის მიუხედავად, მეცნიერული ლოგიკის საფუძველზე უფრო გამართლებულად მივიჩნიეთ გვეჩვენებინა რისკის უკუგების აბსოლუტური და არა კორექტირებული დონე, რითაც სრულად გამოჩნდებოდა ღირებულებით მაჩვენებელში ამა თუ იმ პოზიციის რისკისათვის გაწეული დანახარჯების უკუგების დონე. რისკის შეფასებისათვის კი სწორედ ეს მაჩვენებელია მეტად მნიშვნელოვანი და მის საანალიზოდ განმსაზღვრელი.

ასეთი მეთოდოლოგიური წიაღსვლები იმისკენ გვიბიძგებს, რომ მომავალში საჭიროა თანდათან და გზადაგზა კიდევ უფრო დაიხვეწოს რისკის შეფასების ეკონომიკური მეთოდები, შემოტანილი იქნას ახალი მიდგომები, პარამეტრები და მახასიათებლები. ეს განსაკუთრებით უნდა დაუკავშირდეს იმას, რომ რისკი ერთ და ორ ფაქტორსა და პირობას როდი უკავშირდება, იგი ეკონომიკურ-ორგანიზაციულ დონისძიებათა მთელი კომპლექსის მოთხოვნა, გამოვლინება და ამავე დროს შედეგია და, თუ უფრო ჩავუდრმავედებით ამ საკითხს, რისკი უკავშირდება არა მარტო ეკონომიკურ-ორგანიზაციულ, არამედ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა ასპექტებსა და ფაქტორებს,

რომელთა ურთიერთშეწონასწორებული მოქმედების გათვალისწინება, როგორც წესი აუცილებელი და გარდაუვალია.

ასეთი სიღრმისეული კვლევები მომავლის საქმეა.

ამ მოსაზრების მხედველობაში მიღებით ჩვენ შევეცადეთ ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა რისკის გამპირობებელი რამდენიმე ფაქტორ-პოზიცია, კერძოდ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და საფინანსო-საკრედიტო, მარკეტინგული ფაქტორ-პოზიციები, რისთვისაც შემოვიტანეთ და გამოვიყენეთ ისეთი პარამეტრი, როგორცაა რისკის მიზანშეწონილობისა და მისი ეფექტურობის შეფასების სინთეზური მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს ოპტიმიზებულ, შეწონასწორებულ, ინდექსური ტიპის მახასიათებელს. იგი გასაშუალებულად ავლენს ჯერ ერთი რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს და მეორეც – მისი უკუგების, ანუ ეფექტიანობის დონეს, რომელიც მყარ საფუძველს გვაძლევს განზოგადებულად ვიმსჯელოთ რისკის საერთო გამართლებულობას და შედეგზე და საფუძვლიანი დასკვნებიც გავაკეთოთ.

ამ მსჯელობის შესაბამისად, მომავლის თემად მიგვაჩნია ამ მახასიათებლების მრავალფაქტორული ანალიზის ჩატარება და საამისო კომპიუტერული პროგრამის შედგენა, რაც წინ წასწევს ეკონომიკურ მეცნიერებას.

რისკის შეფასების კომპლექსურობისათვის შემოგვაქვს ასევე ახალი მიდგომა: დადგინდეს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და რისკის უკუგების დონეს შორის პროპორციები. იგი გვიჩვენებს ამ ორ მაჩვენებელს შორის დამოკიდებულების კანონზომიერებას და ასახავს მათი ურთიერთქმედების ტენდენციას, დგინდება მათ შორის დამოკიდებულების ოპტიმალური ფარგლები, რაც საკმაოდ საინტერესო

და მნიშვნელოვანია რისკის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით. ეს მიდგომაც პირველად გამოიყენება საქართველოში და იგი მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე საჭირო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ეს პროპორციები დგინდება ამ ორი მაჩვენებლის, უკუგების და მიზანშეწონილობის ზღვრის, ერთმანეთზე გაყოფით და გამოიხატება კოეფიციენტის სახით.

$$\text{მაგ. } L / R = 1,5 / 0,80 = 1,87$$

$$\text{ან } 2,0 / 0,66 = 3,03$$

იგი გვიჩვენებს რისკის უკუგებასა და მის მიზანშეწონილობას შორის არსებულ ფარდობით პროპორციას და ასახავს, რომ რაც მაღალია პროპორციულობის კოეფიციენტი, მით მეტადაა გამართლებული რისკი ამა თუ იმ პოზიციის მიხედვით.

დადგინდება ამ პროპორციების მერყეობის ფარგლები.

ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების დონეების ჩამოთვლილი და გაანალიზებული პარამეტრები მართალია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგრამ მაინც არ გვიხატავს რისკის კომპლექსურ და სრულად, სხვადასხვა მიდგომათა ურთიერთშეწონასწორებულად შეფასების შეჯერებულ სურათს. ამისათვის საჭირო ხდება შემოტანილი იქნას ახალი მახასიათებელი რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებისა და უკუგების დონეების სინთეზური მაჩვენებლის სახით, რომელიც ყველა ძირითადი ფაქტორის, პირობისა და გარემოს ურთიერთკავშირში ერთიანად და განზოგადებულად ახსნის რისკის მიზანშეწონილობასა და უკუგებას.

ეს მაჩვენებელი რისკის მისაღები ეკონომიკური ზღვრებისათვის იანგარიშება ასე: თითოეული ელემენტის ჯამის შეფარდებით ამ

ელემენტთა რიცხვზე.

$$\text{მაგალითი: } S_R = (R_1 + R_2 + R_3 + R_4 + R_5 + R_6 + R_7) / 7 =$$

$$= (0,80+0,60+0,65+0,40+0,55+0,75+0,90) / 7 = 4,65 / 7 = 0,66$$

S_L იანგარიშება წინა მაჩვენებლის ანალოგიურად. ამ მაჩვენებლის ანალიზით დგინდება, რომ რაც დაბალია S_R და რაც მაღალია S_L მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა ერთობლიობით გაწეული რისკი.

ამრიგად, ჩვენ შევძელით შეგვექმნა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების გაგებისა და შეფასების სრულიად ახალი სისტემა, რომელმაც წესრიგში მოიყვანა რისკის დასახვის, მისი კრიტერიუმების შერჩევის, შეფასების (ეფექტიანობის) მაჩვენებელთა დადგენის და მათი პროგნოზირების მთელი პროცესი.

ეს სისტემა მოიცავს ახლებურად დანახულ პოზიციებს, ანუ ურთიერთდაკავშირებულ, ურთიერთშეწონასწორებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ მაჩვენებელთა რამდენიმე მსხვილ ჯგუფს, რომელიც იყოფა რისკის გაწევის სფერების (სარისკო ღონისძიებების) შემდეგ კატეგორიებად:

ეკონომიკურ-ორგანიზაციული მოიცავს: წარმოების სპეციალიზაციის დონეს; წარმოების (მეურნეობის) სიდიდეს; ფონდუზრუნველყოფის დონეს.

ეკონომიკურ-ტექნოლოგიური (ტექნოლოგიური უსაფრთხოების პირობით) მოიცავს: სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას;

საფინანსო-საკრედიტო მოიცავს: მეურნეობის მდგრადობის დონეს; მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონეს.

მარკეტინგული მოიცავს: საქონლის ფასის დონეს.

აღნიშნული სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია (როგორც მეთოდის ნაწილშიც ითქვა) ამ სარისკო ჯგუფების შედეგობრივ ნიშნებს შორის პროპორციების დადგენა, შესაბამისი კოეფიციენტების მეშვეობით, აგრეთვე ამ თითოეული ჯგუფის ყველა ნიშნის სინთეზური (ოპტიმიზირებული) პარამეტრის შემოღება და დადგენა, რომელიც განზოგადებულად ასახავს საერთო რისკის (მისი ელემენტების ერთობლიობის) ერთიან, საბოლოო შედეგს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში სამეურნეო რისკის მიხედვით თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმირებისათვის, რაიონისათვის, ზონისათვის, ასევე ქვეყნის მასშტაბით, შეიძლება დადგინდეს, თუ როდის და რა მასშტაბით უნდა გავსწიოთ რისკი ეკონომიკური დაბანდებებისათვის, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის, დარგისა თუ მიმართულების განვითარების თვალსაზრისით. ამის შესაბამისად, ამა თუ იმ სპეციალიზაციის პირობებში, როგორ, რა დონით, რა მასშტაბით, როგორი შეთანაწყობითა და თანმიმდევრობით, როგორი ინტენსივობით უნდა გამოვიყენოთ წარმოების რეალურად არსებული პირობები, ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტები, რათა მივიღოთ გარანტირებული მოგება, საბაზრო სეგმენტების სწორი გაჯერებისა და ათვისების, აგრეთვე საექსპორტო-საიმპორტო გამართლებული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის თეორიისა და შესაბამისად მისი შეფასების მეთოდის პრაქტიკული გამოყენების პრეცედენტი ჯერ არ გაგვაჩნია. იგი ახლა იკიდებს ფეხს და უახლოეს წლებში ფართო მასშტაბით უნდა განვითარდეს. ეკონომიკურ გამოკვლევებში მან პრიორიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს.

თავი IV. სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური გლვრები და უკუგების ღონეები სამეზრელოს რაიონების ფერმერულ მეურნეობებში

4.1 ფერმერული მეურნეობის ფუნქციები და ძირითადი ამოცანები

ფერმერული მეურნეობა, იგივე გლეხური მეურნეობა, ეს არის კერძო სასოფლო-სამეურნეო საწარმო, საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე.

გლეხი, მეწარმე იგივე ფერმერია. იგი შეიძლება ფლობდეს და უძღვებოდეს შედარებით მსხვილ ან მცირე წარმოებას, რომელშიც შეიძლება განსხვავებული იყოს მექანიზაციის, ფართო გაგებით კი ინდუსტრიალიზაციის დონე, შესაბამისად ხელით, აგრეთვე დაქირავებული შრომის ხვედრითი წილი.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, თავისი შეხედულებით, განასხვავებს გლეხურ მეურნეობას ფერმერულისაგან, რის საფუძვლადაც მიიჩნევს მეურნეობის სიდიდეს, მექანიზაციის დონეს, საქონლიანობის დონეს.

უნდა აღინიშნოს, რომ (ამას მეცნიერ-ეკონომისტთა უმრავლესობა იზიარებს) გლეხური მეურნეობა, ეს იგივე ფერმერული მეურნეობაა და ისინი შეიძლება ვიხმართ როგორც სინონიმები.

სიტყვები „ფერმერული“, „ფერმერი“ უცხოურიდან ნასესხები სიტყვებია, ისევე როგორც „მარკეტინგი“, „მენეჯმენტი“, „ბიზნესი“ და ა.შ., რომლებიც მტკიცედ დამკვიდრდა არა მარტო ჩვენს, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიკურ აზროვნებაში და მათ უკვე გვერდს ვერ

ავუვლით.

ამრიგად, საერთაშორისო ტერმინოლოგიური სრულყოფის პროცესის შესაბამისად, მართებულია ვიხმართ **ფერმერი**, რომელიც ისტორიული ქართული გლეხის თანამედროვე ინტერპრეტაციაა და რომელმაც ის დამატებითი დატვირთვა შეიძინა, რომ იგი არის სრულიად დამოუკიდებელი და კერძო მეწარმე, ფართო გაგებით კი ბიზნესმენი და ამავე დროს მენეჯერიც, რომელიც თავის ბიზნესს მართავს. ცხადია ამასთან საკარმიდამო მეურნეობა ვერ გაიგივდება.

როგორც ჩანს, ქართველი ფერმერი თანამედროვე ეპოქის სრულიად ახალი ტიპია, რომელიც თანდათან ერგება და ერწყმის დროის, კერძოდ საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებს. უახლოეს ათწლეულებში უფრო მეტად გამოიკვეთება ამ, ახალ დროზე მორგებული ახალი ადამიანის ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური სახე და მისთვის სპეციფიკური და ნიშანდობლივი მახასიათებლები. ეს, საქართველოში ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული პროცესია.

ამ მსჯელობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მეცნიერებმა მაინც სცადეს შემოედოთ ერთ-ერთი ეკონომიკური პარამეტრიც, რომლითაც უყოყმანოდ დაადგენენ: მეურნეობას შეიძლება ეწოდოს თუ არა ფერმერული. როგორც ახლა პირობითად არის მიჩნეული, ფერმერული მეურნეობა, იგი რომ ასეთად იწოდებოდეს, წლის განმავლობაში უნდა აწარმოებდეს და ჰყიდდეს არა უმცირეს 1000 ლარის ღირებულების საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“, ფერმერული მეურნეობა არ მოიხსენიება, ამიტომ, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო ფერმერული მეურნეობა იურიდიულად შეზღუდულია

და არ არის უზრუნველყოფილი. არსებობს ტენდენცია, რომ იგი მოექცეს ინდივიდუალური საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩარჩოებში.

საქართველოში, სოფლად ფუნქციონირებს 1700-ზე მეტი საკუთრების სხვადასხვა სახის ფორმირება, მ.შ. 630 – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), 100 – სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება, 30 – სააქციო საზოგადოება (სს), 240 – კოოპერატივი, 250 – ინდივიდუალური საწარმო და სხვა.

ფერმერული მეურნეობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლა, პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია საბაზრო ურთიერთობათა მოტივაციების შესაბამისად;
- მიწის სავარგულების რაციონალური გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების თანმიმდევრული ამაღლება;
- სოფლის სოციალური სფეროს განვითარებაში შრომითი და ფულადი მონაწილეობის მიღება;
- მოზარდი თაობის აღზრდა შრომით ტრადიციებზე;
- ფერმერული მეურნეობის წევრთა ჯანმთელობასა და მათი ნორმალური დასვენების პირობების შექმნაზე ზრუნვა.

ფერმერული მეურნეობა ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- ორგანიზაციას უკეთებს მასზე მიმაგრებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურ გამოყენებას;
- შეიძენს, ცვლის, ყიდის, იჯარით იღებს სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან თუ დაწესებულებებისაგან, აგრეთვე მოქალაქეებისაგან იმ ქონებას,

რომელიც საჭიროა მეურნეობის ნორმალური გაძღოლისთვის;

- სარგებლობს მატერიალურ-ტექნიკური, სატრანსპორტო, სარემონტო, ვეტერინარული და სამეცნიერო-საკონსულტაციო მომსახურებით;
- დროულად იხდის ბანკებიდან მიღებულ კრედიტებს;
- დამოუკიდებლად ამყარებს შესაბამის სახელშეკრულებო ურთიერთობებს;
- წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას ახდენს თავისი შეხედულებისამებრ;
- ამყარებს საქმიან ურთიერთობებს საზღვარგარეთელ პარტნიორებთან და ა.შ.

ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს რა შედარებით მცირე სიდიდის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ხასიათდება სამეურნეო სისტემის მაღალი ელასტიურობით და გამძლეობით. იგი ადვილად ეგუება საბაზრო მექანიზმს. მართალია, კონკურენციულ ბრძოლაში მას რამდენადმე სუსტი თავდაცვის უნარი აქვს მსხვილ საწარმოებთან შედარებით, მაგრამ ამასთან მარცხსაც ადვილად და ნაკლები დანახარჯებით იტანს, ახდენს რა ზარალის მოკლე დროში კომპენსაციას. სწრაფად რეაგირებს ბაზრის ნებისმიერ ტენდენციაზე, ნაკლებად არის დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკაზე. აშშ-ში გავრცელებულიც კია ასეთი გამოთქმა - „იყო მცირე – ეს საუცხოოა“.

ამ და სხვა მთელი რიგი უპირატესობებისა და დროის მოთხოვნებზე მორგებულობის გამო, საქართველოში ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების მაგისტრალური და სტრატეგიული მიმართულებაა. მითუმეტეს, რომ ასეთი მეურნეობა მიწის რაციონალური გამოყენების

საკმაოდ ეფექტური ფორმაა, რასაც მცირემიწიანი საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფერმერული მეურნეობები ეროვნული ყოფის, კულტურისა და ტრადიციების საუკეთესო დამცველი და მატარებლები არიან.

ხაზგასასმელია, რომ რეალურად ფერმერი ყოველთვის დაქირავებულ მუშაზე უფრო ინიციატივიანია. იგი თავის თავს თვითონ ქირაობს და თავის თავს თვითონვე აკონტროლებს. ამასთან, ვინაიდან ფერმერების უმრავლესობა თავის სამუშაო ადგილზე ცხოვრობს, ძალიან ძნელია ერთიმეორისაგან შრომისა და არასამუშაო დროს შორის მკვეთრი მიჯმის გავლება.

ამ მეურნეობათა უპირატესობაა ისიც, რომ აქ ოჯახის ყველა წევრის (მოსუცის, მოზარდის, შრომისუნარიანის) შრომის გამოყენება შეიძლება. მასში წარმოება ინტეგრირებული და შეხამებულია ოჯახის კვლავწარმოების პროცესთან, რაც საკმაოდ საყურადღებო მომენტიცაა.

ფერმერული მეურნეობების მიზნობრივი და ეფექტური განვითარება, აგრარული რეფორმის შესაბამისად და აგროსერვისის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, დღის წესრიგში აყენებს სოფლად ერთიანი საინჟინრო სამსახურის შექმნის საკითხს, რომელმაც უნდა განახორციელოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, მათი შეკეთება, მექანიზებული სატრანსპორტო, სამონტაჟო და აგროქიმიური სამუშაოების შესრულება და სხვა.

უნდა შეიქმნას ფართოგაბარიტიანი და ძვირადღირებული ტექნიკის გამქირავებელი პუნქტები.

უნდა გაფართოვდეს 8-18 ცხენის ძალიანი სამთო მოდიფიკაციის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, აგრეთვე 7-10 ცხენის ძალის მქონე

მოტობლოკებისა და მოტორიზებული იარაღების წარმოება.

საჭირო და აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, აგრონომიული, აგროქიმიური მცენარეთა დაცვის, ზოოვეტერინარული თუ სხვა სახის საწარმოო მომსახურების სათანადო დონეზე ორგანიზაცია.

4.2. სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები სამეგრელოს რაიონების ტიპიური (მაპროფილებელი) ფერმერული მეურნეობების მაგალითზე, სხვადასხვა პოზიციის მიხედვით

4.2.1. წარმოების სპეციალიზაციის დონის მიხედვით

ფერმერული მეურნეობის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სპეციალიზაციის განსაზღვრასა და სწორად განჭვრეტას. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორებისა და პირობების გათვალისწინება:

1. ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
2. სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ფართობები (მიწებით უზრუნველყოფა და ხარისხი) და წყლით უზრუნველყოფა;
3. ქალაქებთან და სამრეწველო ცენტრებთან სიახლოვე. ასეთ დასახლებათა ახლოს შესაძლებელია მალფუჭებადი და ნაკლებტრანსპორტაბელური პროდუქტების წარმოება, რისთვისაც გასაღების ბაზარი გარანტირებულია;
4. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა სიახლოვე. ამის მხედველობაში მიღებით შეიძლება გაწარმოთ ხილი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, რძე, ხორცი და ა.შ. ეს ფაქტორი ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებას, ბაზრის გაჯერების დონის ამაღლებას;
5. სატრანსპორტო პირობები და გზები (ხელს უწყობს მალფუჭადი და ნაკლებადტრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოების გადიდებას

და მათი დანაკარგების შემცირებას);

6. შრომითი რესურსები. მეურნეობის სპეციალიზაცია სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა იგი უზრუნველყოფილი წარმოების ამა თუ იმ ტექნოლოგიის მცოდნე და კვალიფიციური მუშახელით.

სამუშაო ძალით კარგად უზრუნველყოფილ მეურნეობებში განვითარებული უნდა იყოს ინტენსიური დარგები – მევენახეობა, მებოსტნეობა, მერძეული მესაქონლეობა და ა.შ., რომლებიც ცოცხალი შრომის დანახარჯებს მოითხოვენ.

სამუშაო ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილ მეურნეობებში ირჩევენ ისეთ დარგებს, რომლებიც ნაკლებ შრომით დანახარჯებს მოითხოვენ. კერძოდ: მარცვლეულ კულტურებს, მეღორეობას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდას და სუქებას და ა.შ.

ფერმერისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი გადაწყვეტილების მიღება:

1. მეურნეობის საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა;
2. დარგთა რაციონალური შეთანაწყობა, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი მოგება.

აღნიშნულ შემთხვევებში ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს თითოეულ რეგიონში ამა თუ იმ დარგის განვითარებისა და გაძღოლის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანისა და პირუტყვის შენახვის ახალი ტექნოლოგიები და სხვა ფაქტორები. ანდა, შესაძლოა მან სრულიად ახალი და ალტერნატიული გადაწყვეტილებები მიიღოს, რომელიც არანაკლები ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე ადრე გამართლებულად მიჩნეული მიმართულებების გამოყენება.

აქედან გამომდინარე, საჭიროა კონცენტრაცია და ორიენტაციის

აღება იმ საქონლის წარმოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობას და შესაბამისად, მეურნეობის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ფერმერულ მეურნეობას შეუძლია დაადგინოს სპეციალიზაციის დონე (კოეფიციენტი) შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$K = 100 / \sum_{i=1}^n (2 \cdot n - 1)$$

სადაც: K – სპეციალიზაციის კოეფიციენტი;

n – ცალკეული დარგის (კულტურის, პროდუქციის)

ხვედრითი წონა მეურნეობის მთლიან სასაქონლო პროდუქციაში;

n – სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წონის რიგითი ნომერი (სიდიდის რიგის მიხედვით).

მაგალითად, ფერმერულ მეურნეობაშიმეხილეობის სასაქონლო პროდუქციას უკავია 64%; საშემოდგომო ხორბლისას – 20%; სიმინდისას – 12%; მესაქონლეობას – 4%. ამ მონაცემების ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

$$K = 100 / 64(2 \cdot 1 - 1) + 20(2 \cdot 2 - 1) + 12(2 \cdot 3 - 1) + 4(2 \cdot 4 - 1) = 100 / 64 + 60 + 60 + 28 = 0,47$$

თუ სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,2-მდეა, ეს ნიშნავს სპეციალიზაციის სუსტ დონეს, 0,2-0,4 – საშუალოს, 0,4-0,6 – მაღალს, 0,6 – ზეზევით დრმა სპეციალიზაციას.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების აბსოლუტური დონეების გამოსაკვლევად, წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით, გამოვიყენეთ ზუგდიდში, ხობში, სენაკსა და აბაშაში არსებული ფერმერული მეურნეობების 2002 – 2006 წლების საშუალო მონაცემები.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით ტიპური (მაპროფილებელი)

მეურნეობების მაგალითზე (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)

მესიმინდობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.1

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „კოლხა“; შპს „კოლხეთი და კომპანია“	0,40-ზე ნაკლები	0,80	1,50	1,8
2	შპს „გაუწყინარი“; შპს „აგრომრეწვე-ჯგუფი“	0,40 – 0,50	0,78	1,54	1,9
3	შპს „საკისო“; შპს „ნორიო“; შპს „კივი“	0,50 – 0,60	0,70	1,80	2,6
4	შპს „ჯეონათი“	0,60 – 0,70	0,56	2,1	3,75

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით ტიპური (მაპროფილებელი)
მეურნეობების მაგალითზე (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეჩაიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.2

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	ს/ს კოოპ. „რუხი“; ს/ს კოოპ. „ჩხორია“; შპს „ნოჯიხევი“	0,40-ზე ნაკლები	0,79	1,49	1,83
2	ს/ს კოოპ. „ჭითაწყარი“; შპს „ახალი ხიბულა“	0,40 – 0,50	0,68	1,57	2,1
3	სს „ინგირის ჩაის აგროკომბინატი“; შპს „ელექსირი“	0,50 – 0,60	0,64	1,81	2,9
4	ს/ს კოოპ. „ინგირი“	0,60 – 0,70	0,61	2,0	3,5

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით ტიპური (მაპროფილებელი)
მეურნეობების მაგალითზე (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესოიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.3

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „სიხიტი“	0,40-ზე ნაკლები	0,80	1,44	1,80
2	შპს „დათუნია“	0,40 – 0,50	0,71	1,68	2,3
3	შპს „ნორიო“; შპს „გაუწყინარი“	0,50 – 0,60	0,68	1,86	2,7
4	შპს „ჯეონათი“	0,60 – 0,70	0,60	2,1	3,5

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით ტიპური (მაკროფილბეული)
მეურნეობების მაგალითზე (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეციტრუსეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.4

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „კოლხეთი“	0,40 – 0,50	0,78	1,55	1,9
2	შპს „დაფნა და ციტრუსები“	0,50 – 0,60	0,71	1,80	2,5

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით ტიპიური (მაპროფილებელი)
მეურნეობების მაგალითზე (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეცხოველეობის ტიპიური მეურნეობები

ცხრილი 4.2.4

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „სიხიტი“	0,40 – 0,50	0,78	1,54	1,9
2	შპს „დათუნია“	0,50 – 0,60	0,70	1,80	2,6

არსებული მონაცემებისა და შესაბამისი გამოთვლების საფუძველზე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნა:

ა) წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების კვალობაზე, მცირდება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი და იზრდება რისკის უკუგების დონე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება.

ბ) აუცილებელია მოიძებნოს ოპტიმალური ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ფერმერისათვის მისაღები იქნება, თუ რა დონემდე გააღრმავოს სპეციალიზაცია.

ჩვენი მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველაზე ოპტიმალურია:

1. მესიმინდობის ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის (ცხრილი 4.2.1.) №4 რიგითი ნომრით არსებული მეურნეობების სპეციალიზაცია. რადგან ამ დროს, დამოკიდებულება (პროპორცია) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის 3,75 – ია, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 0,56 - ია (როგორც ცნობილია, იგი უნდა მერყეობდეს 0 – დან 1 – ის ფარგლებში), ეს მეტ-ნაკლებად გასაშუალოებული ვარიანტია და ამ დროს უკუგება 2,1 – ია, ე. ი. 64% - იანი რისკის პირობებში, უკუგება 2 – ჯერ მეტია;
2. მეჩაიეობის ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვისაც (ცხრილი 4.2.2.) №4 რიგითი ნომრით არსებული მეურნეობების სპეციალიზაცია. აქ, სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,6 – დან 0,7 – მდე და 61% - იანი რისკის პირობებში 2 – ჯერ მეტი მოგებაა, მათ შორის პროპორციული დამოკიდებულება შეადგენს

3,5 – ს;

3. **მესოიეობის ტიპიური ფერმერული მეურნეობებისათვისაც** (ცხრილი 4.2.3.), ისევე როგორც წინა ორი ტიპის მეურნეობებისათვის, აქაც ოპტიმალურია №4 რიგითი ნომრით არსებული ფერმერული მეურნეობების სპეციალიზაცია და მეტ-ნაკლებად მსგავსია როგორც წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტის, ასევე რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის, რისკის უკუგების დონის და ამ ორ უკანასკნელ მაჩვენებელს შორის პროპორციული დამოკიდებულების მნიშვნელობა;

4. **მეციტრუსეობის ტიპიური ფერმერული მეურნეობებისათვის** (ცხრილი 4.2.4.) შეიძლება დავასკვნათ, რომ არც ერთი მათგანისათვის არ არის მიზანშეწონილი არსებულ პირობებში ციტრუსის მოყვანა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სპეციალიზაციის კოეფიციენტი საშუალოა, რისკი საკმაოდ დიდია (71% - 78%), ხოლო უკუგება შედარებით მცირე (1,55 – 1,8) იმისათვის, რომ ფერმერი წავიდეს ასეთ რისკზე. მისთვის უმჯობესია სხვა ტიპის სპეციალიზაცია;

5. ანალოგიური შეიძლება ითქვას **მეცხოველეობის ტიპის ფერმერული მეურნეობებისთვისაც** (ცხრილი 4.2.5.).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, სამეგრელოს რაიონების ფერმერულ მეურნეობებში, წარმოების სპეციალიზაციის გადრმავება გაპირობებული უნდა იყოს რისკის მიზანშეწონილობითა და უკუგებით.

მავე დროს, სასურველია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი იყოს 0,60 – ზე დაბალი, ხოლო რისკის უკუგების დონე კი 2 – ის ტოლი ან მეტი. რაც შეეხება პროპორციულ დამოკიდებულებას ამ

ორ სიდიდეს შორის, იგი შეიძლება მერყეობდეს 1,8 – დან 4,5 – მდე, მაგრამ, როგორც დასტურდება, ყველაზე ოპტიმალურია ≈ 3 – ის ტოლი პროპორცია, რადგან ამ დროს თითქმის 60% - იანი რისკის პირობებში, ვღებულობთ თითქმის 2 – ჯერ მეტ უკუგებას.

4.2.2. მეურნეობის სიდიდის მიხედვით

ფერმერული მეურნეობის სიდიდის ძირითად მაჩვენებლად მიღებულია წარმოებული საერთო პროდუქციის მოცულობა ფულად გამოსატულებაში. არაპირდაპირი მაჩვენებლებია: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობები, პირუტყვის სულადობა.

მეურნეობის სიდიდეზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები, საწარმოო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლო დონე. ამის გარდა მასზე გავლენას ახდენს:

- მეურნეობის საწარმოო მიმართულება (სპეციალიზაციის ხასიათი);
- წარმოების ორგანიზაციისა და მართვის (მენეჯმენტის) დონე;
- ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;
- დასახლებული პუნქტების განლაგება და სიახლოვე;
- ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კვალიფიკაცია;
- კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, გზებისა და სხვა მდგომარეობა.

ფერმერული მეურნეობა უნდა იყოს არა მსხვილი, არამედ ოპტიმალური სიდიდის, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერს ეფექტურად გამოიყენოს მიწა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და შრომითი რესურსები, უზრუნველყოს მომგებიანი საქმიანობა.

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის სიდიდის მიხედვით ძირითადი (მაპროფილებელი)
კულტურის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესიმიხედობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.6

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	სიძინდის ფართობი (ჰა)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „კოლხა“;	5 – მდე	8,2	- 0,8	-
2	შპს „კივი“	5 – 10	4,7	- 0,6	-
3	შპს „გაუწყინარი“	10 – 15	2,7	- 0,3	-
4	შპს „საკისო“	20 – 25	1,5	0,3	0,2
5	შპს „სიხიტი“; შპს „კოლხეთი და კომპანია“	35 – 45	0,7	2,0	2,8
6	შპს „ნორიო“; შპს „აგრომრეწველური“	45 – 60	0,5	2,3	4,6
7	შპს „ჯეონათი“	60 - ზე ზევით	0,4	3,8	9,5

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის სიდიდის მიხედვით ძირითადი (მაპროფილებელი)
კულტურის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეჩაიეობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.7

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	სიმინდის ფართობი (ჰა)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	ს/ს კოოპ. „რუხი“	5 – მდე	7,9	- 0,6	-
2	ს/ს კოოპ. „ჭითაწყარი“	5 – 10	4,5	- 0,4	-
3	ს/ს კოოპ. „ინგირი“	10 – 15	2,0	- 0,1	-
4	ს/ს კოოპ. „ჩხორია“	30 – 35	1,2	1,1	0,9
5	შპს „ახალი ხიბულა“	35 – 45	0,65	1,7	2,6
6	შპს „ელექსირი“	45 – 60	0,55	2,25	4,0
7	ს/ს „ინგირის ჩაის აგროკომბინატი“; შპს „ნოჯიხევი“	60 - ზე ზევით	0,49	3,1	6,3

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის სიდიდის მიხედვით ძირითადი (მაპროფილებელი)
კულტურის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესოიეობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.8

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	სიძინდის ფართობი (ჰა)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „ნორიო“; შპს „დათუნია“	5 – მდე	8,0	- 0,6	-
2	შპს „გაუწყინარი“	5 – 10	4,5	- 0,4	-
3	შპს „სიხიტი“	15 – 20	1,8	0,08	0,04
4	შპს „ჯეონათი“	60 - ზე ზევით	0,45	3,4	7,5

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის სიდიდის მიხედვით ძირითადი (მაპროფილებელი)
კულტურის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეციტრუსეობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.9

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	სიმინდის ფართობი (ჰა)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „კოლხეთი“	20 – 25	1,7	0,5	0,3
2	შპს „დაფნა და ციტრუსები“	45 – 60	0,5	2,2	4,4

როგორც დასტურდება, მეურნეობის სიდიდის მიხედვით, სამეგრელოს რაიონების ფერმერულს მეურნეობების მაგალითის საფუძველზე, ყველაზე ოპტიმალურია:

1. სიმინდის ნათესი 45 – 60 ჰა-ზე (ცხრილი 4.2.6.), რადგან ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 0,5 – ია, ხოლო უკუგება 2,3 – ის ტოლი. რაც იმას ნიშნავს, რომ 60% - იანი რისკის პირობებში 2,3 – ჯერ მეტი უკუგება გვაქვს და პროპორციული დამოკიდებულება ამ ორ სიდიდეს შორის 4,6 – ია;
2. ჩაის ნათესი 45 – 60 ჰა-ზე (ცხრილი 4.2.7.). ამ შემთხვევაში 55% - იანი რისკის პირობებში, უკუგება 2,25 – ია, ხოლო პროპორცია 4. არსებული სიტუაციის პირობებში, ეს ყველაზე უკეთესი ვარიანტია, რადგან უფრო მაღალი რისკის პირობებში იმდენად მცირეა უკუგება, რომ საბოლოოდ ფერმერი აუცილებლად დაზარალდება და იძულებული გახდება შეწყვიტოს საქმიანობა ან გაზარდოს ნათესი ფართობი მისთვის ხელმისაწვდომი პირობების დახმარებით. რაც შეეხება ნათესი ფართობის გაზრდას 60 – ჰა – ზე ზევით, მნიშვნელოვან დანახარჯებთანაა დაკავშირებული და იგი ითვალისწინებს რიგი ღონისძიებების გატარებას;
3. სოიოს ნათესი მიახლოებით 60 ჰა – ზე (ცხრილი 4.2.8.). მოცემულ შემთხვევაში სოიო ნათესილია როგორც ცალკე ფართობზე, ასევე სიმინდთან ერთად, რადგან ამ ორი კულტურის ერთად მოყვანის შემთხვევაში, ნაკლები რისკის პირობებში (0,45) ვღებულობთ მეტ უკუგებას (3,4), ხოლო პროპორცია კი, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევათაგან, ყველაზე მაღალია (7,5). რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მესოიეობის ტიპის ფერმერული მეურნეობა მიზანშეწონილია განვითარდეს მესიმინდეობის ტიპის ფერმერულ მეურნეობასთან ერთად;

4. ციტრუსების შემთხვევაში (ცხრილი 4.2.8.), ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რთულია გარკვეული დასკვნების გაკეთება, მაგრამ არსებული ინფორმაციის საფუძველზე უკეთესი ვარიანტი იქნებოდა ციტრუსების გაშენება ნათესის 45-60 ჰა-ზე, როცა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი – 0,5, უკუგების დონე – 2,2, ხოლო პროპორცია – 4,4.

მეურნეობის სიდიდის მიხედვით რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების დონის დადგენისას, არ განიხილება პროპორციული დამოკიდებულება ამ ორ სიდიდეს შორის, რადგან იმ შემთხვევაში, როცა უკუგება არ არის (უარყოფითია), მეურნეობა ზარალიანია.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარკვეულ დონემდე ნათესი ფართობის ზრდის შემთხვევაში (როცა ეს დონე მისაღწევია ტიპური მეურნეობისათვის), რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი მცირდება, უკუგების დონე კი მატულობს. სამეგრელოს რაიონებში არსებული ფერმერული მეურნეობებისათვის კი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ნათესი ფართობის გაზრდა (არსებული ყველა ტიპის მეურნეობისათვის) დაახლოებით 60 ჰა – მდე, მაშინ როცა მიახლოებით 50% -იანი რისკის პირობებში უკუგება 2 – ის ტოლია.

4.2.3. ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)

მესიმინდობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.10

ფერმერული მეურნეობის დასახელება	ფონდუზრუნველყოფის დონე (ძირითადი საწარმოო ფონდები სკა-ზე ათასი ლარობით)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
შპს „გაუწყინარი“; შპს „საკისო“	5 – მდე	0,6	0,6	1,0
შპს „კოლხეთი და კომპანია“; შპს „სიხიტი“ შპს „კოლხა“	5 – 10	0,3	1,9	6,3
შპს „ნორიო“; შპს „ჯეონათი“	10 – 15	0,26	2,8	10,7

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეჩაიეობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.11

ფერმერული მეურნეობის დასახელება	ფონდუზრუნველ- ყოფის დონე (ძირითადი საწა- რმოლო ფონდები 13ა-ზე ათასი ლარობით)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
ს/ს კოლპ. „რუხი“; ს/ს კოლპ. „ინგირი“ შპს „ელექსირი“	10 – 15	0,26	2,4	9,23
ს/ს კოლპ. „ჭითაწყარი“ ს/ს კოლპ. „ჩხორია“ ს/ს კოლპ. „ინგირი“	5 – 10	0,35	1,8	5,14
სს „ინგირის ჩაის აგროკომბინატი“	5 – მდე	0,7	0,65	1,0

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესოიეობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.12

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	ფონდუზრუნველყოფის დონე (ძირითადი საწარმოო ფონდები სკა-ზე ათასი ლარობით)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „ნორი“; შპს „დათუნია“	5 – მდე	0,7	0,2	0,2
2	შპს „ჯეონათი“	5 -10	0,25	1,7	6,8
3	შპს „გაუწყინარი“	10 – 15	0,34	1,3	3,8
4	შპს „სიხიტი“	15 – 20	0,5	0,8	1,6

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეციტრუსეობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.13

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	ფონდუზრუნველყოფის დონე (ძირითადი საწარმოო ფონდები სკა-ზე ათასი ლარობით)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „კოლხეთი“	5 – 10	0,9	0,4	0,4
2	შპს „დაფნა და ციტრუსები“	5 – მდე	1,2	0,1	0,1

როგორც დასტურდება, ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით, სამეგრელოს რაიონების ფერმერულს მეურნეობების მაგალითის საფუძველზე, ყველაზე ოპტიმალურია:

1. მესიმინდეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, ძირითადი საწარმოო ფონდები 1 ჰა-ზე 10-15 ათასი ლარი (ცხრილი 4.2.10), რადგან ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 0,26 – ია, ხოლო უკუგება 2,8 – ის ტოლი. რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 30% - იანი რისკის პირობებში 2,8 – ჯერ მეტი უკუგება გვაქვს და პროპორციული დამოკიდებულება ამ ორ სიდიდეს შორის 10,7 – ია;
2. მეჩაიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, ძირითადი საწარმოო ფონდები, ისევე როგორც მესიმინდეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის 1 ჰა-ზე 10-15 ათასი ლარი (ცხრილი 4.2.11). ამ შემთხვევაში 26% - იანი რისკის პირობებში, უკუგება 2,4 – ია, ხოლო პროპორცია 9,23. არსებული სიტუაციის პირობებში, ეს ყველაზე უკეთესი ვარიანტია.
3. მესოიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, ძირითადი საწარმოო ფონდები 1 ჰა-ზე 5-10 ათასი ლარი (ცხრილი 4.2.12). მოცემულ შემთხვევაში სოიო დათესილია როგორც ცალკე ფართობზე, ასევე სიმინდთან ერთად, რადგან ამ ორი კულტურის ერთად მოყვანის შემთხვევაში 25%-იანი რისკის პირობებში ვლდებულობთ 1,7 უკუგებას, ხოლო პროპორცია კი, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევათაგან, ყველაზე მაღალია (6,8). კვლევის შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მესოიეობის ტიპის ფერმერული მეურნეობა მიზანშეწონილია განვითარდეს მესიმინდეობის ტიპის ფერმერულ მეურნეობასთან ერთად;

4. ციტრუსების შემთხვევაში (ცხრილი 4.2.13), ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რთულია გარკვეული დასკვნების გაკეთება, რადგან არსებული ინფორმაციის საფუძველზე დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების სიდიდეს შორის არ იძლევა ოპტიმალური სიდიდის გამოყვანის საშუალებას.

ამრიგად, შეიძლება დაგასკვნათ, რომ რაც მეტია ფონდუზრუნველყოფა, მით მაღალია უკუგება (როცა ეს დონე მისაღწევია ტიპური მეურნეობისათვის), რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი მცირდება, უკუგების დონე კი მატულობს. სამეგრელოს რაიონებში არსებული ფერმერული მეურნეობებისათვის კი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია როცა ძირითადი საწარმოო ფონდები შეადგენს 1 ჰექტარზე 10-15 ათას ლარს, რადგან მოცემულ შემთხვევაში დაახლოებით 30%-იანი რისკის პირობებში უკუგება 2,5-ია.

4.2.4. ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დონის მიხედვით

ფერმერული მეურნეობის წარმატებული და სტაბილური მუშაობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა დონის მოსავლიანობის პირობებში ექნება მას უზრუნველყოფილი გარანტირებული მოგება.

მოსავლიანობის ასეთი დონის დადგენას მოსავლიანობის დაპროგრამება ჰქვია. ახლა მოსავლიანობის დაპროგრამება მეცნიერთა ფართო შესწავლის საგანს წარმოადგენს. ამ დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნას მცენარისათვის სასიცოცხლო ფაქტორების ოპტიმიზაციის მიღწევა.

მოვიტანოთ სიმინდის გარანტირებულად მომგებიანი მოსავლიანობის დონის დაპროგრამების (განსაზღვრის) კონკრეტული შემთხვევა შპს „გაუწყინარის“ მაგალითზე (გათვლების გაკეთებულია ოქტომბერში – ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის მიხედვით):

ფერმერი თუ აპროგრამებს 50ც/ჰა სიმინდის მარცვლის მოსავალს, ამ შემთხვევაში მარცვალში მშრალი ნივთიერება იქნება 43ც/ჰა, ხოლო შესაბამისად ჩალის მოსავალი – 645ც/ჰა.

ერთი ცენტნერი სიმინდის მარცვლით მცენარეს ნიადაგიდან გამოაქვს 1,5კგ. აზოტი, 0,8კგ. ფოსფორი და 0,5 კგ. კალიუმი, ხოლო ჩალას შესაბამისად: 0,7კგ.; 0,25კგ. და 1,5კგ.

როდესაც ნიადაგში იმდენია საკვები ნივთიერებები, რომ სასუქების შეტანის გარეშე მცენარეს შეუძლია მოგვცეს მშრალი მარცვალი 24,1ც/ჰა, ხოლო ჩალა – 36,1ც/ჰა, მაშინ ნიადაგში შესატანი საკვები ნივთიერებები უნდა ვიანგარიშოთ მხოლოდ დაპროგრამებული (სასურველი) მოსავლის

ნამატისათვის 18,9 ცენტნერი მარცვლის (43 – 24,1) და 28,4 ცენტნერი ჩალისთვის (64,5 – 36,1).

18,9ც. მარცვლის შესაქმნელად მცენარეს დასჭირდება აზოტი 28,4კგ. (1,5 * 18,9), ფოსფორი 16,3კგ. (0,87 * 18,9) და კალიუმი 9,5კგ. (0,5 * 18,9), ხოლო 28,4ც. ჩალისათვის შესაბამისად – 19,9; 7,1; 42,6; სულ საჭირო იქნება აზოტი - 48,3კგ.; ფოსფორი – 23,4კგ. და კალიუმი – 52,1კგ.

შესატანი მინერალური სასუქების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$სდ = 100 * მმ / სბ$$

სადაც: სდ – სასუქების დოზა;

მმ – მოსავლის მატებით გამოტანილი საკვები ელემენტები;

სბ – საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი.

ჩვენი მაგალითის მიხედვით, ფერმერმა დაპროგრამებული მოსავლის ნამატის მისაღებად უნდა შეიტანოს:

$$\text{აზოტი} - 48,3 * (28,4 + 19,9) * 100 / 60 = 80,5 \text{ კგ.}$$

$$\text{ფოსფორი} - 23,4 * (16,3 + 7,1) * 100 / 25 = 93,6 \text{ კგ.}$$

$$\text{კალიუმი} - 52,1 * (9,5 + 42,6) * 100 / 60 = 87,0 \text{ კგ.}$$

მინერალური სასუქების გამოყენებას უნდა შეეთანაწიოს რწყვისა და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროული გატარებაც.

მინიმალური მოსავლიანობა, რომლის დროსაც სასაქონლო კულტურა მომგებიანი იქნება ფერმერულ მეურნეობაში, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$მმ = (სს + \sqrt{შ}) / სშ$$

სადაც: მმ – მინიმალურად გარანტირებული მომგებიანი მოსავლის დონე;

სს – საწარმოო ხარჯები 1 ჰა-ზე, ზედნადები ხარჯების ჩათვლით;

შ – წმინდა შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ

გაფართოებულ კვლავწარმოებას;

სწ – 1ც. პროდუქციის სარეალიზაციო ფასი.

კონკრეტული მაგალითისათვის, ამ ფორმულაში თუ ჩავსვამთ პირობით ციფრებს, მივიღებთ:

$$მმ = (800+200)/25=40 \text{ ც/ჰა}$$

ე.ი. გარანტირებულად მომგებიანი მოსავლიანობის მინიმალურად მოსალოდნელი დონე უნდა იყოს 40 ც/ჰა.

რაც შეეხება სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებსა და უკუგების აბსოლუტურ დონეებს, ტექნოლოგიური უსაფრთხოების მიხედვით, დგინდება, რომ ტექნოლოგიურად მაღალი უსაფრთხოების ანუ მაღალი მოსავლიანობის პირობებში, მაღალია რისკის ამ პოზიციის უკუგება, ეკონომიკური ზღვარი კი მერყეობს 0,98-დან 0,33-ის ფარგლებში.

ველაზე ოპტიმალური ვარიანტია, როცა 1ც. სიმინდის მოსავლიანობა შეადგენს 35-40 ცენტნერს.

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დონის მიხედვით
ტიპური (მაპროფილებელი) მეურნეობების მაგალითზე
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესიმინდობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.14

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	სიმინდის მოსავლიანობა ც / ჰა - ზე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „კოლხეთი და კომპანია“; შპს „კივი“	17 – 20	0,87	1,14	1,3
2	შპს „სიხიტა“; შპს „საკისო“	20 – 28	0,72	1,38	1,9
3	შპს „კოლხა“; შპს „ნორიო“	28 – 35	0,59	1,68	2,8
4	შპს „ჯეონათი“	35 – 40	0,55	1,80	3,3
5	შპს „გაუწყინარი“	40 – 47	0,43	2,30	5,3

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დონის მიხედვით
ტიპური (მაპროფილებელი) მეურნეობების მაგალითზე
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეჩაიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.15

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	ჩაის მოსავლიანობა ც / ჰა - ზე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	ს/ს კოლპ. „რუხი“; ს/ს კოლპ. „ჩხორია“; შპს „ნოჯიხევი“	3,5-ზე ნაკლები	0,30	0,7	2,3
2	შპს „ახალი ხიბულა“	3,5 – 4,0	0,35	1,03	2,9
3	სს „ინგირის ჩაის აგროკომბინატი“	4,0 – 5,5	0,38	1,32	3,5
4	შპს „ელექსირი“	5,5 – 6,0	0,41	1,7	4,1
5	ს/ს კოლპ. „ინგირი“	6,0 – 7,5	0,45	2,0	4,4

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დონის მიხედვით
ტიპური (მაპროფილებელი) მეურნეობების მაგალითზე
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესოიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.16

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	სოიოს მოსავლიანობა ც / ჰა - ზე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „დათუნია“	0,5-ზე ნაკლები	0,87	0,37	0,43
2	შპს „სიხიტი“	0,5 – 1,0	0,73	0,74	1,01
3	შპს „ნორიო“; შპს „გაუწყინარი“	1,0 – 1,5	0,63	1,65	2,62
4	შპს „ჯეონათი“	1,5 – 1,9	0,55	1,9	3,5

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დონის მიხედვით
ტიპიური (მაპროფილებელი) მეურნეობების მაგალითზე
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეციტრუსეობის ტიპიური მეურნეობები

ცხრილი 4.2.17

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	ციტრუსის მოსავლიანობა ც / ჰა - ზე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „კოლხეთი“	100 – 150	0,7	1,35	1,93
2	შპს „დაფნა და ციტრუსები“	150 – 170	0,5	1,78	3,56

არსებული მონაცემებისა და შესაბამისი გამოთვლების საფუძველზე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი დასკვნა:

1. მესიმინდობის ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის (ცხრილი 4.2.14) ყველაზე ოპტიმალურია როცა 1 ჰა-ზე მოსავლიანობა მერყეობს 40-47 ცენტნერის ფარგლებში, რადგან ამ დროს, დამოკიდებულება (პროპორცია) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის 5,3 - ია, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 0,43 - ია (როგორც ცნობილია, იგი უნდა მერყეობდეს 0 - დან 1 - ის ფარგლებში), ეს მეტ-ნაკლებად გასაშუალოებული ვარიანტია და ამ დროს უკუგება 2,3 - ია, ე. ი. 43% - იანი რისკის პირობებში, უკუგება 2 - ჯერ მეტია;
2. მეჩაიეობის ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის (ცხრილი 4.2.15): მოსავლიანობა 6,0-7,5 ც/ჰა. აქაც, ისევე როგორც მესიმინდობის ტიპის მეურნეობებში 45% - იანი რისკის პირობებში 2 - ჯერ მეტი მოგებაა, მათ შორის პროპორციული დამოკიდებულება შეადგენს 4,4 - ს;
3. მესოიეობის ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის (ცხრილი 4.2.16), აქ ოპტიმალურია №4 რიგითი ნომრით არსებული ფერმერული მეურნეობის მოსავლიანობა, რომელიც შეადგენს 1,5-1,9 ც/ჰა-ზე. ამ შემთხვევაში 0,55 რისკის პირობებში უკუგება შეადგენს 1,9-ს. მოსავლიანობასა და რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს შორის არის უკუპროპორციული დამოკიდებულება, ხოლო მოსავლიანობასა და უკუგების დონეს შორის კი - პირდაპირპროპორციული, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსავლიანობისა

და შესაბამისად უკუგების ზრდა ყველაზე ოპტიმალურია 55%-ანი რისკის პირობებში;

4. მეციტრუსეობის ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის (ცხრილი 4.2.17) შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებულ პირობებში მიზანშეწონილია 150-170 ც/ჰა ციტრუსის მოსავლიანობა, რადგან აქაც, ისევე როგორც მაღლა განხილული ფერმერული მეურნეობებისათვის, საშუალოდ 50%-იანი რისკის პირობებში უკუგება თითქმის 2-ის ტოლია და მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს საშუალოზე უფრო მაღალ რისკთან, ფერმერი უმჯობესია წავიდეს ასეთ რისკზე;

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, სამეგრელოს რაიონების ფერმერულ მეურნეობებში, მოსავლიანობის ზრდა გაპირობებული უნდა იყოს რისკის მიზანშეწონილობითა და უკუგებით. მავე დროს, სასურველია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი მერყეობდეს 0.4-სა და 0,55-ს შორის, რადგან ამ დროს რისკის უკუგების დონე თითქმის 2 – ის ტოლი ან ოდნავ მეტია. რაც შეეხება პროპორციულ დამოკიდებულებას ამ ორ სიდიდეს შორის, იგი შეიძლება მერყეობდეს 3,5 – დან 5,3 – მდე.

4.2.5. მეურნეობის მდგრადობის მიხედვით

ფერმერული მეურნეობის მდგრადობა გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია საწარმოს განვითარდეს საკუთარი სახსრების (შესაძლებლობების) ხარჯზე და რამდენად არის იგი დამოკიდებული გარე დაფინანსების წყაროებზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრისათვის საჭიროა საკუთარი და მოზიდული სახსრების შეფარდებითი კოეფიციენტის გაანგარიშება.

$$m = \frac{\text{ვალდებულებები მოზიდულ სახსრებზე/}}{\text{საკუთარი სახსრები}}$$

სადაც: m – საწარმოს მდგრადობის მაჩვენებელი.

მაგალითი: ვთქვათ მოზიდული (გრძელვადიანი და საშუალოვადიანი კრედიტები) სახსრები გასულ წელს შეადგენდა 15000 ლარს; მიმდინარე წელს – 20000 ლარს; საკუთარი სახსრები შესაბამისად: 20000 და 25000ლ.

გასული და მიმდინარე წლის კოეფიციენტები უდრის:

$$K_1 = 15000/20000 = 0,75;$$

$$K_2 = 20000/25000 = 0,80.$$

ეს ნიშნავს, რომ გასულ წელს საკუთარი სახსრების თითოეულ ლარზე მოდიოდა 75 თეთრი მოზიდული სახსრები, მიმდინარე წელს – 80 თეთრი.

როგორც ჩანს, საწარმოს დამოკიდებულება მოზიდულ თანხებზე გაიზარდა და საწარმო თანდათანობით კარგავს თავის ფინანსურ მდგრადობას.

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის მდგრადობის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესიმინდეობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.18

ფერმერული მეურნეობის დასახელება	მდგრადობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
შპს „გაუწყინარი“; შპს „ჯეონათი“	0,45 – 0,65	0,5	1,8	3,6
შპს „ნორიო“; შპს „კოლხეთი და კომპანია“; შპს „კოლხა“	0,65 – 0,85	0,7	0,8	1,1
შპს „საკისო“; შპს „დათუნია“; შპს „სიხიტი“	0,85 – 0,95	0,9	0,4	0,4

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის მდგრადობის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეჩაიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.19

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	მდგრადობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „ახალი ხიბულა“ ს/ს კოოპ. „ჩხორია“;	0,40 – 0,50	0,4	1,02	2,55
2	ს/ს კოოპ. „ჭითაწყარი“; ს/ს კოოპ. „რუხი“; ს/ს კოოპ. „ინგირი“	0,50 – 0,60	0,45	1,76	3,9
3	სს „ინგირის ჩაის აგროკომბინატი“; შპს „ელექსირი“ შპს „ნოჯიხევი“	0,60 – 0,70	0,74	1,81	2,4

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის მდგრადობის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესოიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.20

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	მდგრადობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „ნორიო“; შპს „გაუწყინარი“ შპს „ჯეონათი“	0,50 – 0,65	0,55	1,43	2,6
2	შპს „დათუნია“	0,65 – 0,75	0,75	1,47	1,96
3	შპს „სიხიტო“	0,75-ზე ზევით	0,85	1,7	2

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის მდგრადობის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეციტრუსების ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.21

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	მდგრადობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „კოლხეთი“ შპს „დაფნა და ციტრუსები“	0,80 – 0,90	0,77	1,5	1,9

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები მეურნეობის მდგრადობის მიხედვით (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)

მეცხოველეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.22

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	მდგრადობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „სიხიტი“	0,65 – 0,75	0,68	1,24	1,8
2	შპს „დათუნია“	0,75 – 0,85	0,76	1,37	1,8

როგორც ღვინდება, მოზიდული სახსრების (კრედიტების) სიდიდე უნდა მერყეობდეს გარკვეულ საზღვრებში, რადგან კრედიტების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის გაზრდა და უკუგების შემცირება.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე დასტურდება:

- ა) მესიმინდობის, მეჩაიეობის, მესოიეობის ტიპის ფერმერული მეურნეობებისათვის (ცხრილები 4.2.18 – 4.2.20) მიზანშეწონილია მდგრადობის დონე მერყეობდეს 0,5-0,7 – ის ფარგლებში, რადგან მოზიდული სახსრების თანდათანობით ზრდის პირობებში საწარმო კარგავს თავის ფინანსურ მდგრადობას (ცხრილები 4.2.21 – 4.2.22).
- ბ) აღნიშნული მდგრადობის პირობებში (0,5-0,7) მიზანშეწონილია საშუალო და ოდნავ მაღალი დონის რისკი (0,45-0,55), რადგან ამ პირობებში უკუგება უახლოვდება 2-ს და პროპორციის საშუალო მაჩვენებელი მიახლოებით 3-ის ტოლია.

4.2.6. მეურნეობის გადახდისუნარიანობის მიხედვით

ფერმერული მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია – მისი გადახდისუნარიანობის შეფასება.

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს საწარმოს შესაძლებლობას მოკლე ვადაში „ჩააქროს“ მთელი თავისი მიმდინარე ვალდებულებები, ე.ი. გაანაღდოს მოკლევადიანი კრედიტები. რამდენად სწრაფად შეუძლია საწარმოს ამის გაკეთება ეს დამოკიდებულია საკუთარი ფულადი სახსრების მოცულობაზე.

საწარმოს შეუძლია იმუშაოს საკმაოდ წარმატებულად: ჰქონდეს მაღალი მოგება, მცირე დავალიანებები კრედიტის მიმართ, მაგრამ ამასთან, მისი გადახდისუნარიანობა შეიძლება იყოს დაბალი, თუ მის ბალანსზე თითქმის არ არის საკუთარი ფულადი სახსრები. საწარმოს მთელი სახსრები არსებობს მზა პროდუქციის ან ნედლეულის რეზერვების სახით, რამეთუ ისინი შეიძლება მიიღოს მომხმარებლიდან, მაგ. უკვე შესყიდული, მაგრამ ჯერ აუნაზღაურებელი საქონელიდან.

იმ დროს, რომელიც შეიძლება მოხმარდეს ამ მატერიალური სახსრების ფულად ფორმაში ქცევას – ლიკვიდურობა ჰქვია. რაც ნაკლებია ეს დრო (პერიოდი), მით მეტია საიმედოობა იმისა, რომ საწარმო დროულად დაფარავს თავის დავალიანებას და შესაბამისად მაღალი იქნება მისი გადახდისუნარიანობაც.

გადახდისუნარიანობა გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$\text{ბუ} = \text{სს/მვ}$$

სადაც: ბუ – ფერმერული მეურნეობის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი;

სს – მეურნეობის (საწარმოს) საბრუნავი (ფულადი) სახსრები;

მშ – მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი.

მაგალითი: მეურნეობის ბალანსზე არის:

1) საბრუნავი საშუალებები (ნედლეულის, მასალების, პროდუქციის მარაგი, ფულადი სახსრები საანგარიშსწორებო ანგარიშზე) – 19000ლარი;

2) მოკლევადიანი კრედიტი – 9000ლარი.

გადახდისუნარიანობა უდრის: $19000 / 9000 = 2,11$

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონის მიხედვით
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესიმინდეობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.23

ფერმერული მეურნეობის დასახელება	გადახდისუნარიანობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
შპს „საკისო“	1,0 – 1,5	0,94	1,11	1,18
შპს „სიხიტი“	1,5 – 2,0	0,85	1,20	1,41
შპს „ჯეონათი“; შპს „კოლხეთი და კომპანია“	2,0 – 2,3	0,60	1,60	2,66
შპს „გაუწყინარი“; შპს „ნორიო“	2,3 – 2,5	0,55	2,10	3,81
შპს „დათუნია“; შპს „კოლხა“	2,5 – ზე მეტი	0,75	2,15	2,86

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონის მიხედვით
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეჩაიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.24

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	გადახდისუნარიანობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „ახალი ხიბულა“ ს/ს კოლპ. „ჩხორია“ შპს „ნოჯიხევი“	1,3 – 2,0	0,45	1,02	2,26
2	ს/ს კოლპ. „ჭითაწყარი“; ს/ს კოლპ. „რუხი“; ს/ს კოლპ. „ინგირი“	2,1 – 2,4	0,50	1,76	3,52
3	სს „ინგირის ჩაის აგროკომბინატი“;	2,5 – 2,7	0,74	1,81	2,45
4	შპს „ელექსირი“	2,7 – 2,9	0,80	1,83	2,29

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონის მიხედვით
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესოიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.25

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	გადახდისუნარიანობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „ნორიო“; შპს „გაუწყინარი“ შპს „ჯეონათი“	2,0 – 2,5	0,45	1,45	3,22
2	შპს „დათუნია“	1,5 – 2,0	0,70	1,55	2,21
3	შპს „სიხიტი“	1,5-ზე ქვევით	0,85	1,65	1,94

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონის მიხედვით
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეციტრუსეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.26

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	გადახდისუნარიანობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „დაფნა და ციტრუსები“	0,5 – 1,0	0,75	1,5	2
2	შპს „კოლხეთი“	1,0 – 1,5	0,85	1,7	2

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონის მიხედვით
(2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეცხოველეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.27

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	გადახდისუნარიანობის დონე	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „სიხიტა“	1,5 – 1,75	0,65	1,25	1,92
2	შპს „დათუნია“	1,75 – 2,3	0,60	1,30	2,16

როგორც დასტურდება, გადახდისუნარიანობის მიხედვით, სამეგრელოს რაიონების ფერმერულს მეურნეობების მაგალითის საფუძველზე, ყველაზე ოპტიმალურია:

1. მესიმინდეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი 2,3 – 2,5-ის ფარგლებში (ცხრილი 4.2.23), რადგან ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 0,55 – ია, ხოლო უკუგება 2,1 – ის ტოლი. რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 50% - იანი რისკის პირობებში 2 – ჯერ მეტი უკუგება გვაქვს და პროპორციული დამოკიდებულება ამ ორ სიდიდეს შორის 3,81 – ია;
2. მეჩაიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, თითქმის ისევე როგორც მესიმინდეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის 2,1 – 2,4 (ცხრილი 4.2.24). ამ შემთხვევაში 50% - იანი რისკის პირობებში, უკუგება 1,76 – ია, ხოლო პროპორცია 3,52. არსებული სიტუაციის პირობებში, ეს ყველაზე უკეთესი ვარიანტია.
3. მესოიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის – 2,0 – 2,5 (ცხრილი 4.2.25). მოცემულ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინა, სოიო დათესილია როგორც ცალკე ფართობზე, ასევე სიმინდთან ერთად, ამ შემთხვევაში 45%-იანი რისკის პირობებში ვღებულობთ 1,45 უკუგებას, ხოლო პროპორცია კი 3,22-ის ტოლია. კვლევის შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მესოიეობის ტიპის ფერმერული მეურნეობა მიზანშეწონილია განვითარდეს მესიმინდეობის ტიპის ფერმერულ მეურნეობასთან ერთად;
4. ციტრუსების შემთხვევაში, ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რთულია გარკვეული დასკვნების გაკეთება, რადგან არსებული ინფორმაციის საფუძველზე დამოკიდებულება რისკის

მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების სიდიდეს შორის არ იძლევა ოპტიმალური სიდიდის გამოყვანის საშუალებას, საკმაოდ მაღალი რისკის პირობებში გადახდისუნარიანობაც და უკუგებაც დაბალია(ცხრილი 4.2.26)

5. რაც შეეხება მეცხოველეობის მიმართულების ტიპიურ მეურნეობას, მიუხედავად საკმაოდ მწირი მასალისა, მაინც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება, კერძოდ, აქ გადახდისუნარიანობის დონე მერყეობს 1,75 – 2,3 ფარგლებში მაშინ როცა 60%-იანი რისკის პირობებში გვაქვს 1,3 უკუგება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეურნეობის გადახდისუნარიანობა დამაკმაყოფილებელია მაშინ, თუ ეს კოეფიციენტი უდრის 2 – 2,5.

რაც უფრო მაღალია გადახდისუნარიანობის დონე, მით უფრო მცირეა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი და მაღალია უკუგების დონე. ჩვენს შემთხვევაში ოპტიმალური ვარიანტია როცა:

1. გადახდისუნარიანობის დონეა – 2,0 – 2,5;
2. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარია – 0,5;
3. რისკის უკუგების დონეა – 1,7;
4. პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის კი – 3,2.

4.2.7. საქონლის ფასის მიხედვით

თანამედროვე ფერმერული მეურნეობისათვის მეტად საყურადღებოა წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასების განსაზღვრა, რომელიც თავისთავად განსაზღვრავს მომხმარებელთა არჩევას (შერჩევას) და ბაზრის დაპყრობის დონეს.

მეურნეობა ცდილობს არა მხოლოდ გაყიდოს თავისი წარმოებული პროდუქცია, არამედ გაყიდოს იგი მომგებიანად. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს გამართლება ბიზნესს.

თუ მეურნეობას ბევრი კონკურენტი ჰყავს (კონკურენციის გარეშე კი წარმოუდგენელია ბიზნესი) და იგი განიცდის სიძნელეებს საქონლის გასაღებასთან დაკავშირებით, მაშინ იძულებულია დასწიოს ფასები, რათა მეტი მომხმარებელი მიიზიდოს და იყოს სიცოცხლისუნარიანი ბაზარზე, მაგრამ ფასების ასეთმა შემცირებამ შეიძლება გასტანოს მანამდე, ვიდრე ეს ფასები უზრუნველყოფს მოგებას.

ამრიგად, ფასების დადგენის პირველი მოსაზრება და პრინციპია – მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა:

- მეურნეობა ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება. ამიტომ ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, ეცდება გაყიდოს თავისი პროდუქცია, რაც შეიძლება მაღალ ფასებში.

ამრიგად, მეორე მოსაზრება და პრინციპია – მოგების ზრდა.

- მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დაიკავოს მყარი პოზიციები (მდგომარეობა) ბაზარზე, შეინარჩუნოს საქონელზე მოთხოვნილება რაც შეიძლება მეტ დროს. ამის მისაღწევად მეურნეობა შეიძლება წავიდეს ფასების დაბლა დაწევაზე.

ამრიგად, მესამე მოსაზრება და პრინციპია – ბაზარზე და საერთოდ,

პერსპექტივაში პოზიციების გამყარება.

როგორც ირკვევა, ეს ამოცანები ზუსტად შეესატყვისება ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის მიზანს.

ფასების პრობლემის გახსნისათვის მენეჯმენტში და საერთოდ, საბაზრო ეკონომიკაში სხვადასხვა გრაფიკები და მრუდები განიხილება. არსებობს შესაბამისი მეთოდები, მაგრამ საკითხის გართულების თავიდან აცილების მიზნით დავეყრდნოთ გაანგარიშებების იმ მარტივ, საერთოდ მიღებულ პრინციპს, რაც მიზანშეწონილია ფერმერული მეურნეობის კადრებისათვის და მისი მენეჯმენტის დონისათვის.

ამრიგად, განვიხილოთ როგორ გაიანგარიშება ფასების კონკრეტული ციფრობრივი მაჩვენებელი ყველაზე გავრცელებული წესით.

ეს წესი შეიძლება გამოისახოს ფორმულით: $ფ = დ + მ$

სადაც: $ფ$ – დაწესებული ფასი;

$დ$ – დანახარჯების საერთო მოცულობა;

$მ$ – მოსალოდნელი მოგების სიდიდე, რაც სურს მეურნეობას მიიღოს პროდუქციის რეალიზაციიდან.

შესაძლებელია ბაზრის რეაქციის ორი ვარიანტი:

1. სიდიდე „ $მ$ “ აღმოჩნდება რეალური, საქონელს შეუფერხებლად ასაღებენ. მეურნეობას შეუძლია ასწიოს ფასი იმ დონემდე, ვიდრე ფასი არ გაუტოლდება უმაღლეს ზღვარს ($მზ$);
2. სიდიდე „ $მ$ “ აღმოჩნდება საკმაოდ ოპტიმისტური. მეურნეობა დაბლა სწევს ფასს, ვიდრე საქონელი ვერ ნახავს გასაღების ბაზარს. ფასის დაწევა შეიძლება უმაღლეს დონემდე ($დზ$), რის შემდეგაც უნდა შეწყდეს საქონლის წარმოება, ანდა განხორციელდეს სერიოზული ცვლილებები.

ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების დროს ზოგიერთ

შემთხვევაში შედარებით ნაკლებად (თუ მეურნეობის საქონელი სხვადასხვა არხების გარეშე აღწევს პირდაპირ მყიდველამდე (მომხმარებელამდე), ზოგჯერ კი საკმაო ხარისხით გადის გასაღების რთულ გზას წარმოებიდან მომხმარებელამდე, ამას განაწილების, ანდა გასაღების არხები ჰქვია.

ეს გულისხმობს იმას, რომ მწარმოებელი პროდუქციას მიჰყიდის საბითუმო ვაჭრობის ფირმას, ეს უკანასკნელი მიჰყიდის საცალო ვაჭრობის ფირმას. საქონლის ფასს, მოძრაობის ამ გზაზე ყოველი მონაწილე ფასის გადაანგარიშების წესით ადებს თავის დანამატს (დანარიცხს – თავისი წილი მოგების მისაღებად).

ვაჩვენოთ კონკრეტული მაგალითი:

ფერმერულმა მეურნეობამ (მწარმოებელმა) წარმოებულ სოიოს ყოველ ცენტნერზე დაადო ფასი 65 ლარი. ამას დაუმატა მოსალოდნელი (საჭირო) მოგება 10 ლარი და მიჰყიდა იგი საბითუმო ფირმას 75 ლარად.

საბითუმო ფირმა ინახავს საქონელს საწყობში და მის სარეალიზაციოდ მომზადებისათვის ხარჯავს მის ერთეულზე 15 ლარს, ამის შემდეგ მან ამ ფასს თავისი მოგების წილად კიდევ დაუმატა 15 ლარი და პროდუქციის ფასი ხდება 90 ლარი. ამ ფასად მან საქონელი (სოიო) მიჰყიდა საცალო ვაჭრობის ფირმას. ეს ფირმა ეწევა საორგანიზაციო სამუშაოებს თავის ქსელში საქონლის გასაყიდად, რისთვისაც ხარჯავს 20 ლარს (ეს მისი ხარჯებია), ამან საქონლის ფასი ასწია 110 ლარამდე (90+20), ამ ფირმამ ასევე, თავისი წილი მოგების მიღების მიზნით საქონლის ფასს დაამატა დანარიცხი 20 ლარი და საქონლის ფასი უკვე გახდა 130 ლარი.

როგორც ჩანს, პროდუქციის ფასი, ვიდრე მომხმარებელამდე მივა, რთულ გზას გადის და საბოლოოდ შეიძლება იმ დონემდე ავიდეს, რომ

საერთოდ არც კი გასაღდეს (გაიყიდოს), რაც გავლენას მოახდენს თვით ფერმერული მეურნეობის მომგებიან ფუნქციონირებაზე, ამიტომ ეს მეურნეობები უნდა ცდილობდნენ დაამყარონ პირდაპირი კავშირები მომხმარებლებთან ანდა ეცადონ, რომ მათ მიერ წარმოებულმა საქონელმა რაც შეიძლება ნაკლები არხი გაიაროს.

ლოგიკურია, რომ მაგალითად მოტანილი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ცენტნერი სოიო 75 ლარად (კილოგრამი 7,5 ლარად) წარმატებით გაიყიდება და ფართო ბაზარიც იქნება, ვიდრე 130 ლარად. 75 ლარის დონის შემთხვევაში ფერმერულ მეურნეობას დიდი შესაძლებლობები აქვს არეგულიროს ფასი მაღალ და დაბალ დონეებს შორის და შედარებით ადვილად მიიღოს სასურველი მოგება და ეტაპობრივად აამაღლოს კიდევ იგი.

ამ კონკრეტული მაგალითიდან აშკარად ჩანს ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის მარკეტინგული ფუნქცია, რომლის რეალიზაციაც გადამწყვეტწილად მოქმედებს ამ მეურნეობის მომგებიან და წარმატებულ მუშაობაზე.

ფერმერულ მეურნეობას შეუძლია გამოიყენოს გასაღების სტიმულირების სხვადასხვა ფორმა, რომელსაც იგი შეარჩევს და მიზანშეწონილად ჩათვლის. მაგ., შეიძლება ასეთი ფორმაც: 1ც. სოიოს ყიდის 75 ლარად, 4ც. გაყიდის 260 ლარად და სხვ. ასეთი მიდგომების სწორად არჩევას მეურნეობის მენეჯმენტის მაღალი დონე განაპირობებს.

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები საქონლის ფასის მიხედვით მესიმინდობის მიმართულების
მეურნეობაში (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესიმინდობის მიმართულების მეურნეობები

ცხრილი 4.2.28

ფერმერული მეურნეობის დასახელება	1 ც. სიმინდის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
შპს „საკისო“ შპს „კოლხა“	30 – 35	0,17	- 0,7	-
შპს „ნორიო“; შპს „სიხიტო“	35 – 40	0,24	- 0,6	-
შპს „დათუნია“	40 – 50	0,3	0,5	-
შპს „გაუწყინარი“ შპს „კოლხეთი და კომპანია	50 – 60	0,6	1,4	0,25
შპს „ჯეონათი“	60 – ზე ზევით	0,8	0,9	1,0

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები საქონლის ფასის მიხედვით მესიმინდობის მიმართულების
მეურნეობაში (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეჩაიეობის მიმართულების მეურნეობაები

ცხრილი 4.2.29

ფერმერული მეურნეობის დასახელება	1 ც. ჩაის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
შპს „ახალი ხიბულა“; ს/ს კოოპ. „ჩხორია“; შპს „ნოჯიხევი“	600 – 800	0,15	- 0,6	-
ს/ს კოოპ. „ჭითაწყარი“; ს/ს კოოპ. „რუხი“	800 – 1000	0,29	0,18	0,62
ს/ს კოოპ. „ინგირი“	1000 – 1200	0,38	0,6	1,58
სს „ინგირის ჩაის აგროკომბინატი“	1200 – 1400	0,46	1,3	2,83
შპს „ელექსირი“	1400 – 1600	0,51	1,28	2,51

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები საქონლის ფასის მიხედვით მესიმინდობის მიმართულების
მეურნეობაში (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მესოიეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.30

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	1 ც. სოიოს სარეალიზაციო ფასი (ლარი)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „გაუწყინარი“ შპს „ჯეონათი“	65 – 75	0,45	1,45	3,22
2	შპს „დათუნია“ შპს „ნორიო“	75 – 85	0,70	1,75	2,5
3	შპს „სიხიტი“	65-ზე ქვევით	0,35	0,85	2,43

*სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების
დონეები საქონლის ფასისი მიხედვით მესიმინდუობის მიმართულების
მეურნეობაში (2002-2006წწ. საშუალო მონაცემები)*

მეციტრუსეობის ტიპური მეურნეობები

ცხრილი 4.2.31

№	ფერმერული მეურნეობის დასახელება	1 ც. ციტრუსის საშუალო სარეალიზაციო ფასი (ლარი)	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი R (ლარი)	რისკის უკუგების დონე L (ლარი)	პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის
1	შპს „დაფნა და ციტრუსები“	85 – 100	0,65	2,3	3,5
2	შპს „კოლხეთი“	70 – 85	0,45	2,1	4,7

- ჩვენი კვლევის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:
1. მესიმინდობის ტიპიური ფერმერული მეურნეობისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, როცა 1 ცენტნერი სიმინდის სარეალიზაციო ფასი მერყეობს 50 – 60 ლარის ფარგლებში (ცხრილი 4.2.28). მოცემულ სიტუაციაში რისკის მიზანსეწონილობის ეკონომიკური ზღვარი – 0,6-ია, ხოლო უკუგების დონე – 1,40. ამ დროს პროპორციული დამოკიდებულება რისკის უკუგების დონესა და რისკის მიზანსეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს შორის შეადგენს – 0,25.
 2. მეჩაიეობის ტიპიური ფერმერული მეურნეობისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, როცა 1 ცენტნერი ჩაის სარეალიზაციო ფასი მერყეობს 1200 - 1400 ლარის ფარგლებში(ცხრილი 4.2.29). მოცემულ სიტუაციაში რისკის მიზანსეწონილობის ეკონომიკური ზღვარი – 0,46-ია, ხოლო უკუგების დონე – 1,3. ამ დროს პროპორციული დამოკიდებულება რისკის უკუგების დონესა და რისკის მიზანსეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს შორის შეადგენს – 2,83.
 3. მესოიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის – 65 – 75 (ცხრილი 4.2.30). მოცემულ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინა, სოიო დათესილია როგორც ცალკე ფართობზე, ასევე სიმინდთან ერთად, ამ შემთხვევაში 45%-იანი რისკის პირობებში ვღებულობთ 1,45 უკუგებას, ხოლო პროპორცია კი 3,22-ის ტოლია;
 4. ციტრუსების შემთხვევაში, ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რთულია გარკვეული დასკვნების გაკეთება, რადგან ციტრუსებიდან აღებულია არა ერთი კონკრეტული მცენარე, არამედ რამოდენიმე. არსებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე ვასკვნით,

რომ დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების სიდიდეს შორის მეტნაკლებად მაინც იძლევა ოპტიმალური სიდიდის გამოყვანის საშუალებას, საკმაოდ მაღალი რისკის პირობებში ფასი და უკუგებაც მაღალია(ცხრილი 4.2.31)

4.3.8. სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების სინთეზირებული (ოპტიმიზირებული) მაჩვენებელი და მისი პროგნოზირებული დონე

ამრიგად, დადგინდა სრულიად ახალი პარამეტრები საქართველოს მესიმინდეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მესოიეობის და მეცხოველეობის მიმართულების მეურნეობისათვის, სამეგრელოს რაიონების მაგალითზე, რომელიც ნაწილობრივ შეიძლება განზოგადებულად მივიჩნიოთ.

როგორც დადასტურდა, სხვადასხვა პოზიციების დროს რისკის გაწევისას, სრულიად განსხვავებული დონის რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები დაფიქსირდა, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გამოვიყვანოთ სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების სინთეზირებული (ოპტიმიზირებული) მაჩვენებელი.

თუ ჩვენს მიერ შერჩეული პოზიციების მიხედვით, შემაჯამებელ და განზოგადებულ სურათს წარმოვადგენთ, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. წარმოების სპეციალიზაციის დონის ამოსავალი კრიტერიუმის პირობებში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის ყველაზე გავრცელებული (მოდური) პარამეტრია – 0,55, ხოლო უკუგების დონეა 2, რაც ნიშნავს, რომ სამეგრელოს რაიონების

ა) მესიმინდეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის ყველაზე გამართლებულია სპეციალიზაციის ის დონე, რომლის კოეფიციენტი მერყეობს 0,60-დან 0,70-მდე ფარგლებში. ამ დროს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი უდრის 0,56, ხოლო რისკის უკუგების დონეა – 2,1.

ბ) *მეზაიეობის* მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის ყველაზე გამართლებულია სპეციალიზაციის ის დონე, რომლის კოეფიციენტი მერყეობს 0,60-დან 0,70-მდე ფარგლებში. ამ დროს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი უდრის 0,61, ხოლო რისკის უკუგების დონეა – 2,0.

გ) *მეციტრუსეობის* მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის ყველაზე გამართლებულია სპეციალიზაციის ის დონე, რომლის კოეფიციენტი მერყეობს 0,50-დან 0,60-მდე ფარგლებში. ამ დროს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი უდრის 0,71, ხოლო რისკის უკუგების დონეა – 1,8.

დ) *მესოიეობის* მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის ყველაზე გამართლებულია სპეციალიზაციის ის დონე, რომლის კოეფიციენტი მერყეობს 0,60-დან 0,70-მდე ფარგლებში. ამ დროს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი უდრის 0,60, ხოლო რისკის უკუგების დონეა – 2,1. და

ე) *მეცხოველეობის* მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის ყველაზე გამართლებულია სპეციალიზაციის ის დონე, რომლის კოეფიციენტი მერყეობს 0,50-დან 0,60-მდე ფარგლებში. ამ დროს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი უდრის 0,70, ხოლო რისკის უკუგების დონეა – 1,8. როგორც დასტურდება, რისკის უკუგებასა და მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს შორის ინდექსური (შეფარდებითი) პროპორცია მერყეობს 1,8-დან 4,6-მდე.

2. *გარკვეულ დონემდე ნათესი ფართობის გაზრდის შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი მცირდება, უკუგების დონე კი მატულობს.* ჩვენს შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალურია:

ა) სიმინდის ნათესი 45-60 ჰა-ზე, როცა რისკის მიზანშეწონი-

ლობის ეკონომიკური ზღვარი – 0,5-ია, უკუგების დონე – 2,3.

ბ) ჩაის განაშენიანება, ისევე როგორც სიმინდის 45-60 ჰა-ზე, როცა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი – 0,55-ია, უკუგების დონე – 2,25.

გ) სოიოს ნათესი მიახლოებით 60 ჰა-ზე, როცა სოიო დათესილია სიმინდთან ერთად. ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი – 0,45-ია, უკუგების დონე – 3,4.

დ) ციტრუსების შემთხვევაში ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რთულია გარკვეული დასკვნების გაკეთება, მაგრამ არსებული ინფორმაციის საფუძველზე უკეთესი ვარიანტი იქნებოდა ციტრუსების გაშენება ნათესის 45-60 ჰა-ზე, ამ პირობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი, მეტ-ნაკლებად – 0,5-ის ტოლი იქნებოდა, უკუგების დონე კი – 2,2. პროპორციული დამოკიდებულება რისკის უკუგების დონესა და რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს შორის 2,2-დან 4,4-მდე.

3. ფონდუზრუნველყოფის დონის მიხედვით დასტურდება, რომ რაც მეტია ფონდუზრუნველყოფა, მით მაღალია უკუგება. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია როცა ძირითადი საწარმოო ფონდები შეადგენს 1 ჰექტარზე 10-15 ათას ლარს, რადგან მოცემულ შემთხვევაში დაახლოებით 30%-იანი რისკის პირობებში უკუგება 2,5-ია. სამეგრელოს რაიონების ფერმერების მეურნეობების მაგალითის საფუძველზე, ყველაზე ოპტიმალურია:

ა) მესიმინდების მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, ძირითადი საწარმოო ფონდები 1 ჰა-ზე 10-15 ათასი ლარი, რადგან ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 0,26 – ია, ხოლო

უკუგება 2,8 – ის ტოლი. რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 30% - იანი რისკის პირობებში 2,8 – ჯერ მეტი უკუგება გვაქვს და პროპორციული დამოკიდებულება ამ ორ სიდიდეს შორის 10,7 – ია;

ბ) მეჩაიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, ძირითადი საწარმოო ფონდები, ისევე როგორც მესიმინდეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის 1 ჰა-ზე 10-15 ათასი ლარი ამ შემთხვევაში 26% - იანი რისკის პირობებში, უკუგება 2,4 – ია, ხოლო პროპორცია 9,23. არსებული სიტუაციის პირობებში, ეს ყველაზე უკეთესი ვარიანტია.

გ) მესოიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, ძირითადი საწარმოო ფონდები 1 ჰა-ზე 5-10 ათასი ლარი. მოცემულ შემთხვევაში სოიო დათესილია როგორც ცალკე ფართობზე, ასევე სიმინდთან ერთად, რადგან ამ ორი კულტურის ერთად მოყვანის შემთხვევაში 25%-იანი რისკის პირობებში ვლდებულობთ 1,7 უკუგებას, ხოლო პროპორცია კი, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევათაგან, ყველაზე მაღალია (6,8). კვლევის შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მესოიეობის ტიპის ფერმერული მეურნეობა მიზანშეწონილია განვითარდეს მესიმინდეობის ტიპის ფერმერულ მეურნეობასთან ერთად;

დ) ციტრუსების შემთხვევაში, ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რთულია გარკვეული დასკვნების გაკეთება, რადგან არსებული ინფორმაციის საფუძველზე დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების სიდიდეს შორის არ იძლევა ოპტიმალური სიდიდის გამოყვანის საშუალებას.

4. ტექნოლოგიური უსაფრთხოების მიხედვით, სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებსა და უკუგების აბსოლუტურ დონეებს, დგინდება, რომ ტექნოლოგიურად მაღალი უსაფრთხოების ანუ მაღალი მოსავლიანობის პირობებში, მაღალია რისკის ამ პოზიციის უკუგება (2), ეკონომიკური ზღვარი კი მერყეობს 0,4-დან 0,55-ის ფარგლებში. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, როცა 1 ჰა. სიმინდის მოსავლიანობა შეადგენს 40-47 ცენტნერს, ჩაის - 6,0-7,5 ცენტნერს, სოიოს - 1,5 - 1,9 ცენტნერს, ციტრუსის - 150-170 ცენტნერს. პროპორციული დამოკიდებულება რისკის უკუგების დონესა და რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს შორის მერყეობს 3,5-დან 5,3-მდე.
5. როგორც აღვნიშნეთ, მოზიდული სახსრების (კრედიტების) სიდიდე უნდა მერყეობდეს გარკვეულ საზღვრებში, რადგან კრედიტების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის გაზრდა და უკუგების შემცირება. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა ტიპის ფერმერული მეურნეობებისათვის ოპტიმალური ვარიანტია, როცა მდგრადობის დონე მერყეობს 0,45-0,75-ის ფარგლებში. მაშინ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარია - 0,45-0,55, ხოლო უკუგების დონე მიახლოებით 2. პროპორციული დამოკიდებულება რისკის უკუგების დონესა და რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს შორის მერყეობს 1,8-დან 3,9-მდე.
6. გადახდისუნარიანობის მიხედვით, სამეგრელოს რაიონების ფერმერული მეურნეობების მაგალითის საფუძველზე, ყველაზე ოპტიმალურია:
- ა) მესიმინდეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის

გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი 2,3 – 2,5-ის ფარგლებში, რადგან ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 0,55 – ია, ხოლო უკუგება 2,1 – ის ტოლი. რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 50% - იანი რისკის პირობებში 2 – ჯერ მეტი უკუგება გვაქვს და პროპორციული დამოკიდებულება ამ ორ სიდიდეს შორის 3,81 – ია;

ბ) მეჩაიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, თითქმის ისევე როგორც მესიმინდეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის 2,1 – 2,4. ამ შემთხვევაში 50% - იანი რისკის პირობებში, უკუგება 1,76 – ია, ხოლო პროპორცია 3,52. არსებული სიტუაციის პირობებში, ეს ყველაზე უკეთესი ვარიანტია.

გ) მესოიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის – 2,0 – 2,5. მოცემულ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინა, სოიო დათესილია როგორც ცალკე ფართობზე, ასევე სიმინდთან ერთად, ამ შემთხვევაში 45%-იანი რისკის პირობებში ვღებულობთ 1,45 უკუგებას, ხოლო პროპორცია კი 3,22-ის ტოლია. კვლევის შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მესოიეობის ტიპის ფერმერული მეურნეობა მიზანშეწონილია განვითარდეს მესიმინდეობის ტიპის ფერმერულ მეურნეობასთან ერთად;

დ) ციტრუსების შემთხვევაში, ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რთულია გარკვეული დასკვნების გაკეთება, რადგან არსებული ინფორმაციის საფუძველზე დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების სიდიდეს შორის არ იძლევა ოპტიმალური სიდიდის გამოყვანის საშუალებას, საკმაოდ მაღალი რისკის პირობებში გადახდისუნარიანობაც და უკუგებაც დაბალია

ე) რაც შეეხება მეცხოველეობის მიმართულების ტიპიურ

მეურნეობას, მიუხედავად საკმაოდ მწირი მასალისა, მაინც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება, კერძოდ, აქ გადახდისუნარიანობის დონე მერყეობს 1,75 – 2,3 ფარგლებში მაშინ როცა 60%-იანი რისკის პირობებში გვაქვს 1,3 უკუგება.

ამრიგად, რაც უფრო მაღალია გადახდისუნარიანობის დონე, მით უფრო მცირეა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი და მაღალია უკუგების დონე. ჩვენს შემთხვევაში ოპტიმალური ვარიანტია როცა: ა) გადახდისუნარიანობის დონეა – 2,0 – 2,5; ბ) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარია – 0,5; გ) რისკის უკუგების დონეა – 1,7; დ) პროპორცია რისკის უკუგების დონესა და ეკონომიკურ ზღვარს შორის – 3,2.

7. საქონლის ფასის მიხედვით:

ა) მესიმინდეობის ტიპური ფერმერული მეურნეობისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, როცა 1 ცენტნერი სიმინდის სარეალიზაციო ფასი მერყეობს 50 – 60 ლარის ფარგლებში. მოცემულ სიტუაციაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი – 0,6-ია, ხოლო უკუგების დონე – 1,40.

ბ) მეჩაიეობის ტიპური ფერმერული მეურნეობისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, როცა 1 ცენტნერი ჩაის სარეალიზაციო ფასი მერყეობს 1200 - 1400 ლარის ფარგლებში. მოცემულ სიტუაციაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი – 0,46-ია, ხოლო უკუგების დონე – 1,3. პროპორციული დამოკიდებულება რისკის უკუგების დონესა და მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს შორის შეადგენს 2,83.

გ) მესოიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის – 65 – 75 ლარი. მოცემულ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინა, სოიო დათესილია როგორც ცალკე ფართობზე, ასევე სიმინდთან ერთად, ამ შემთხვევაში 45%-იანი რისკის პირობებში ვღებულობთ

1,45 უკუგებას, ხოლო პროპორცია კი 3,22-ის ტოლია;

დ) ციტრუსების შემთხვევაში, ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რთულია გარკვეული დასკვნების გაკეთება, რადგან ციტრუსებიდან აღებულია არა ერთი კონკრეტული მცენარე, არამედ რამოდენიმე. არსებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე ვასკენით, რომ დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების სიდიდეს შორის მეტნაკლებად მაინც იძლევა ოპტიმალური სიდიდის გამოყვანის საშუალებას, საკმაოდ მაღალი რისკის პირობებში ფასი და უკუგებაც მაღალია.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ფერმერულ მეურნეობებში სამეურნეო რისკის შეფასებისას, ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების დონეების გამოთვლილი და გაანალიზებული პარამეტრები მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, რადგან ამ პარამეტრების საფუძველზე შემოტანილი იქნა ახალი მახასიათებელი რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებისა და უკუგების დონეების სინთეზური (ოპტიმიზირებული) მაჩვენებლის სახით, რომელიც ყველა ძირითადი ფაქტორის, პირობისა და გარემოს ურთიერთკავშირში ერთიანად და განზოგადებულად ხსნის რისკის მიზანშეწონილობასა და უკუგებას. ეს მაჩვენებელი, როგორც აღვნიშნეთ III თავში, რისკის მისაღები ეკონომიკური ზღვრებისათვის, იანგარიშება თითოეული ელემენტის ჯამის შეფარდებით ამ ელემენტთა რიცხვზე.

ამრიგად, მომავალში, ფერმერულ მეურნეობებში სამეურნეო რისკის შეფასებისას რეკომენდაცია უნდა მიეცეს შემდეგ ოპტიმალურ (სინთეზირებულ) ეკონომიკურ პარამეტრებს:

1. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი - 0,49 (დასაშვები სიდიდეა 0,45-დან 0,60-ის ფარგლებში);

2. რისკის უკუგების დონე – 2,1 (შესაძლებელია მერყეობდეს 1,2-დან 2,5-მდე ფარგლებში);
3. პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარსა და უკუგებას შორის – 3,5 (შესაძლებელია მერყეობდეს 2,5-დან 4,5-მდე ფარგლებში).

ამრიგად, ჩვენ შევძელით შეგვექმნა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების გაგებისა და შეფასების სრულიად ახალი სისტემა, რომელმაც წესრიგში მოიყვანა რისკის დასახვის, მისი კრიტერიუმების შერჩევის, შეფასების (ეფექტიანობის) მაჩვენებელთა დადგენის და მათი პროგნოზირების მთელი პროცესი.

თავი V. სამეურნეო რისკის მართვა

5.1. სამეურნეო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები, მოთხოვნები და ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღება

რისკის არსებობის ობიექტურ პირობებში და მასთან დაკავშირებული დანაკარგების შემთხვევაში წარმოიშვება მოთხოვნილებათა გარკვეული მექანიზმი, რომლის უფლებითაც სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციისათვის საჭიროა რისკის გათვალისწინება.

ასეთ მექანიზმს წარმოადგენს – *რისკის მართვა (რისკ-მენეჯმენტი)*.

რისკის მართვა წარმოადგენს იმ მეთოდთა და ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გარკვეულწილად სარისკო მოვლენის წარმოშობის პროგნოზირების საშუალებას იძლევა და ღებულობს ზომებს ასეთი მოვლენის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.

მენეჯმენტის პირველადი განმარტებიდან ცნობილია, რომ მენეჯმენტი არის ცხენების „გახედვის“ ხელოვნება: მისი ხასიათის გაგება, ქცევის მანერების ცოდნა და მასთან „საერთო ენის“ გამონახვა.

რისკის მართვა, როგორც სისტემა, შედგება ორი ქვესისტემისაგან: მართვადი ქვესისტემა (მართვის ობიექტი) და მმართველი ქვესისტემა (მართვის სუბიექტი).

რისკის მართვის სისტემაში *მართვის ობიექტს* წარმოადგენს: რისკის დაშვება, კაპიტალის სარისკო ჩადება და რისკის რეალიზაციის პროცესში ეკონომიკური ურთიერთობა მეურნე სუბიექტებს შორის (ურთიერთობა მეწარმეებსა და პარტნიორებს შორის, კონკურენტებს შორის, მსესხებელსა და კრედიტორს შორის, დამზღვევესა და მზღვეველს შორის და ა.შ.).

რისკის მართვის სისტემაში მართვის სუბიექტს წარმოადგენს ადამიანთა სპეციალური ჯგუფი (მეწარმე, ფინანსური მენეჯერი, რისკის მენეჯერი, დაზღვევის სპეციალისტი და ა.შ.), რომლებიც მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მართვის ობიექტზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას ახდენენ.

რისკის მართვა წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სპეციალურ სფეროს, რომელიც მოითხოვს სამეურნეო საქმიანობის ანლიზის, სამეურნეო გადაწყვეტილებათა ოპტიმიზაციის მეთოდების, სადაზღვევო საქმის, ფსიქოლოგიის და ბევრი სხვა სფეროს საფუძვლიან ცოდნას. ამ სფეროში მეწარმის (ფერმერის) ძირითადი ამოცანაა მოქმედების იმ ვარიანტის არჩევა, რომელიც უზრუნველყოფს რისკისა და შემოსავლის ოპტიმალურ შეთანწყობას, იქიდან გამომდინარე, რომ რამდენადაც მომგებიანია პროექტი, მით მეტია რისკის ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ რისკის არსებობამ, როგორც ეკონომიკური პროცესის განუყოფელი ელემენტმა, ასევე მმართველობითი ზემოქმედების ამ სფეროში გამოყენებულმა სპეციფიკამ, გამოიწვია რისკის მართვის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის გამოყოფა.

1955 წელს ამერიკის ტემპლის უნივერსიტეტის დაზღვევის პროფესორმა უეინ სნაიდერმა წამოაყენა ტერმინი „რისკ-მენეჯმენტი“, ხოლო 1956 წელს რასელ გალახერმა ჰარვარდ ბიზნეს-რევიუს 34-ე ტომში პირველად აღწერა რისკ-მენეჯერის პროფესია.

რისკის მართვა წარმოადგენს, ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას. აშშ-ის ბევრ ფირმაში შემოდებულია რისკ-მენეჯერის თანამდებობა, რომლის მოვალეობაა ყველა სახის რისკის შემცირება. რისკ-მენეჯერი შესაბამის სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობს სარისკო გადაწყვეტილებათა

მიღებაში და ისინი ერთობლივად ეძებენ არასასურველი რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობებს.

რისკის სპეციალისტების ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- მომეტებული რისკის ზონის გამოვლენა;
- რისკის ხარისხის შეფასება;
- ორგანიზაციისათვის (ფირმისათვის) მისაღები რისკის ანალიზი;
- აუცილებლობის შემთხვევაში გაფრთხილებისა და რისკის შემცირების ღონისძიებების შემუშავება;
- სარისკო მოვლენის მოხდენის შემთხვევაში, ზარალის ასანაზღაურებლად მაქსიმალური ზომების მიღება.

რისკის კვლევის თეორიულმა განვითარებამ, პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან ერთად გამოიწვია ისეთი ინფრასტრუქტურების განვითარება, რომლებიც აუცილებელია ბიზნესის რისკით მანიპულირებისათვის. ასეთ ორგანიზაციებს წარმოადგენენ: 1950 წელს შექმნილი რისკისა და დაზღვევის მართვის საზოგადოება და 1984 წელს შექმნილი დაზღვევისა და რისკის მართვის ასოციაციის საერთაშორისო ფედერაცია, რომლებშიც შედიან მსოფლიოში პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურად განვითარებული რისკ-მენეჯერთა კავშირები. ამ ორგანიზაციების ეგიდით ყოველწლიურად რისკ-მენეჯმენტის გამოფენა-კონგრესში მონაწილეობას ღებულობს 2000-მდე ორგანიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ გლობალური საბაზრო ეკონომიკის რისკის მართვის მძლავრ ინფრასტრუქტურას.

სამეურნეო რისკის მართვა მიიცავს რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

სტრატეგია ეს არის რისკის მართვის ხელოვნება, რომელიც ეფუძნება ხანგრძლივ პროგნოზირებას, სტრატეგიულ დაგეგმვას, საფუძვლიანი პროგრამებისა და კონცეფციის შემუშავებას, მეურნეობის

სისტემის გაურკვევლობასთან ადაპტაციას და რაც მთავარია – შემოსავლის მიღებას.

სტრატეგია განსაზღვრავს ტაქტიკას, ე.ი. დასახული მიზნის მისაღწევად, კონკრეტულ პირობებში (მოცემულ სამეურნეო სიტუაციაში) ოპტიმალური გადაწყვეტილების არჩევას და ყველაზე კონსტრუქციული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას.

კონკრეტული მეთოდები, რომლებიც გამოიყენება რისკის პირობებში გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციისათვის, გარკვეულწილად დამოკიდებულია სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკაზე, დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულ სტრატეგიაზე, კონკრეტულ სიტუაციაზე და ა.შ.

ამასთანავე, რისკის მართვის თეორია და პრაქტიკამ შეიმუშავა რიგი მნიშვნელოვანი პრინციპებისა, რითაც უნდა იხელმძღვანელონ მართვის სუბიექტებმა.

რისკის მართვის ძირითადი პრინციპებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- საკუთარ კაპიტალზე მეტით გარისკვა არ შეიძლება;
- აუცილებელია ფიქრი რისკის შედეგებზე;
- მცირედისათვის დიდი გარისკვა არ შეიძლება.

პირველი პრინციპის რეალიზაცია ნიშნავს, რომ რისკის პირობებში გადაწყვეტილების მიღებამდე მეწარმემ:

1. განსაზღვროს შესაძლო დანაკარგების მაქსიმალური ზომა სარისკო მოვლენის დადგომისას;
2. შეათავსოს ის ჩადებული კაპიტალისა და ყველა საკუთარი ფინანსური რესურსების მოცულობასთან და განსაზღვროს გამოიწვევს თუ არა ეს დანაკარგები საწარმოს გაკოტრებას.

მეორე პრინციპის რეალიზაცია მოითხოვს, შესაძლო დანაკარგების

მაქსიმალური დონის ცოდნის საფუძველზე მეწარმემ განსაზღვროს, თუ რას გამოიწვევს ეს და როგორია რისკის ალბათობა. ამ ინფორმაციის საფუძველზე აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება რისკის მისაღებად, რისკის სხვაზე გადასაცემად ან რისკის საუარყოფოდ.

მესამე პრინციპის რეალიზაცია ითვალისწინებს, რისკის მომცველი ღონისძიების დანერგვამდე მოსალოდნელი შედეგების (უკუგების) აუცილებელ თანგაზომვას იმ შესაძლო დანაკარგებით, რომელსაც გასწევს მეწარმე რისკის შემთხვევაში.

მხოლოდ მაშინ, როცა საწარმოსათვის (ფირმისათვის) მისაღებია უკუგებისა და შესაძლო დანაკარგების თანგაზომვა, შეიძლება გადაწყვეტილების მიღება რისკის გასაწევად. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, მითითებული თანგაზომვის მეთოდები სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: პროექტის მიზანსა და ამოცანებზე; რისკის სფეროში მეწარმის (ფერმერის) პოლიტიკა, სტრატეგიასა და ტაქტიკაზე; მეწარმის (ფერმერის) ქონებაზე და ა.შ.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ წარმატებული რისკ-მენეჯმენტი შეუძლებელია ინტუიციისა და ინსაიტის გარეშე. ყოველივე ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა შეუძლებელია რისკის ობიექტური გამოთვლა. ამ შემთხვევაში სარისკო გადაწყვეტილება მიიღება ევრისტიკის მეშვეობით.

პროფესორი ე.უტკინი თვლის, რომ ევრისტიკულ წესად და რისკ-მენეჯმენტის მეთოდად შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი (რომელთაგან პირველი-ორი რისკის მართვის ძირითადი პრინციპია):

- საკუთარ კაპიტალზე მეტით გარისკვა არ შეიძლება;
- მცირედისათვის დიდი გარისკვა არ შეიძლება;
- დადებითი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ეჭვის არქონისას;
- მერყეობისას მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება;

- დაუშვებელია ფიქრი იმაზე, რომ ყოველთვის მხოლოდ ერთი გადაწყვეტილებაა, შესაძლოა არსებობდეს სხვა ვარიანტებიც.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა აიძულებს ხელმძღვანელებს შეგნებულად მიუდგნენ რისკს და მართონ იგი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში რისკის მართვა პროფესიონალური სფეროა და ნებისმიერი ორგანიზაციის მართვის განუყოფელი ნაწილია. 2002 წელს, იოჰანესბურგში, დაზღვევისა და რისკის მართვის ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარებული კონფერენციის მთავარ თეზისს წარმოადგენდა – რისკ-მენეჯმენტი, როგორც თანამედროვე მსოფლიოში არსებობის (გადარჩენის) ყოვლისმომცველი ფაქტორი.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რისკის მართვა წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობათა საქმიანი, საფინანსო, ზოგადსაგანმანათლებლო და ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ნაწილს. აშშ-ში არის ათობით ორგანიზაცია, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან რისკის შესწავლაზე, გადაცემაზე, პროპაგანდაზე და მისგან დაცვის ინსტრუმენტების გაყიდვაზე.

რისკ-მენეჯმენტის საქმიანობა 50 წელზე მეტია რაც დაკავშირებულია დაზღვევისა და რისკის მართვის საზოგადოებასთან, რომელიც ყოველწლიურად ატარებენ სემინარებს, გამოფენებსა და კონგრესებს. ამ საზოგადოების წევრები არიან 8000-ზე მეტი პროფესიონალი რისკ-მენეჯერები და 4200-ზე მეტი აშშ-ის, კანადის და იაპონიის წარმატებული კორპორაციები. ამ სფეროში საერთაშორისო საქმიანობას კოორდინაციას უწევს დაზღვევისა და რისკის მართვის ასოციაციის ინტერნაციონალური ფედერაცია (IFRIMA), რომლის წევრები არიან 100-ზე მეტი ქვეყნის ეროვნული ორგანიზაციები. ისინი ყოველწლიურად უშვებენ პერიოდულ გამოცემებს და აფინანსებენ რისკის თემატიკაზე გამოცემულ წიგნებს.

ამ საქმიანობისათვის აუცილებელია რისკის მართვის

სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ამ მიმართულებით ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

ამჟამად კაცობრიობა ღვას იმ ეპოქის ზღვარზე, როცა კომპიუტერულ ქსელებს შეუძლიათ ინფორმაციის შეკრება და გადამუშავება. ყოველივე ეს კი რისკის აღმოჩენისა და გაზომვის, აგრეთვე რისკის არსის ჩაწვდომისა და მისით მანიპულირების საშუალებას იძლევა.

გაურკვევლობის ელემენტები, რომელიც გარკვეულწილად დამახასიათებელია მრავალი თანამედროვე ეკონომიკური პროცესის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის, განაპირობებს ისეთი სიტუაციების წარმოქმნას, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა.

ეს მდგომარეობა ართულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს გაურკვევლობის პირობებში და წინასწარ განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდების გამოყენების აუცილებლობას, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებული იქნას ოპტიმალური ან რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილება.

როგორც ცნობილია, გაურკვევლობასთან დაკავშირებით განასხვავებენ რისკის სიტუაციებს.

რისკის პირობებში გადაწყვეტილების მიღებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების მრავალფეროვნება, რომლის საშუალებითაც ფასდება რისკის დონე.

საერთო სახით, რისკის პირობებში გადაწყვეტილების მიღება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

1. მოცემულია m შესაძლო გადაწყვეტილებები $P_1; P_2; \dots P_m$;
2. ვითარების პირობები უცნობია, თუმცა მათზე შეიძლება n მოსაზრების გაკეთება $O_1; O_2; \dots O_n$;
3. შედეგი, ე.წ. a_{ij} მოგება, რომელიც შეესაბამება P

გადაწყვეტილების თითოეულ შესაბამის წყვილს და O ვითარებას, შეიძლება წარმოდგენილი იქნას ეფექტურობის ცხრილის სახით (ცხრილი 5.1.)

ეფექტურობის ცხრილი

ცხრილი 5.1.

გადაწყვეტილების ვარიანტები (Pi)	ვითარების პირობის ვარიანტები (Oj)			
	O ₁	O ₂	...	O _n
P ₁	a ₁₁	a ₁₂	...	a _{1n}
P ₂	a ₂₁	a ₂₂	...	a _{2n}
...
P _m	a _{m1}	a _{m2}	...	a _{mn}

როგორც აღინიშნა, რისკის პირობებში გადაწყვეტილების არჩევისას, ცნობილი უნდა იყოს შესაძლო ვარიანტების ალბათობები. რომელიც განისაზღვრება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, ხოლო სტატისტიკური მონაცემების არქონისას – ექსპერტთა შეფასებით.

მოგება, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილების ეფექტურობის მაჩვენებელს, არაოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებით გამოწვეული დანაკარგების განსაზღვრის საშუალებას იძლევა (იმ შემთხვევაში, როცა ვითარების მოსალოდნელი პირობა ანუ ალბათური ხასიათი არ მოხდა).

გადაწყვეტილების არჩევისას რისკის კრიტერიუმად გამოდგება თავი III-ში მოყვანილი მაჩვენებელი:

$$R = H_{დ} \bullet P$$

უპირატესობა ეძლევა გადაწყვეტილებას, რომელსაც გააჩნია რისკის უმცირესი საშუალო შეწონილი მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება ვითარების სხვადასხვა ვარიანტების ალბათობების, დანაკარგების შესაბამის მნიშვნელობაზე ნამრავლის ჯამით:

$$R_i = \sum_{j=1}^n H_{ij} \cdot P_j \quad i = 1 \dots m$$

მაგალითისათვის განვიხილოთ შემთხვევა, როცა ფერმერი ემზადება პროდუქციის ახალ სახეობაზე გადასასვლელად. დაუშვათ ამ დროს შესაძლებელია ოთხი გადაწყვეტილება $P_1; P_2; P_3; P_4$, რომელთაგან თითოეულს გამოშვების ან მათი შეხამების გარკვეული სახეობა შეესაბამება.

მიღებული გადაწყვეტილების შედეგი დამოკიდებულია იმ ვითარებაზე, რომელიც გარკვეულწილად გაურკვეველია.

ვთქვათ ახალ პროდუქციაზე მოთხოვნისათვის დამახასიათებელია სამი ტიპის ვარიანტები: $O_1; O_2; O_3$.

მოგება, რომელიც შედეგის ფარდობითი სიდიდეა, შეესაბამება ვითარების O და გადაწყვეტილების შეხამების P წყვილს (ცხრილი 5.2.).

ახალი სახის პროდუქციის გამოშვების ეფექტურობა

ცხრილი 5.2.

გადაწყვეტილების ვარიანტები	ვითარების პირობის ვარიანტები		
	O_1	O_2	O_3
P_1	0,25	0,35	0,40
P_2	0,75	0,20	0,30
P_3	0,35	0,82	0,10
P_4	0,80	0,10	0,35

ცხრილიდან ჩანს, რომ O_3 ვითარებისას P_2 გადაწყვეტილება 3-ჯერ უკეთესია ვიდრე P_3 .

უნდა ვიპოვოთ ისეთი სტრატეგია – P გადაწყვეტილება, რომელიც სხვებთან შედარებით ყველაზე მომგებიანია.

ასეთი გადაწყვეტილების საპოვნელად გამოიყენება დანაკარგების სპეციალური მაჩვენებელი, რომელიც ადასტურებს, რამდენად მომგებიანია ჩვენს მიერ მიღებული სტრატეგია მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, მისი გაურკვევლობის ხარისხის გათვალისწინებით. დანაკარგები გამოითვლება, როგორც სხვაობა მოცემული ზუსტი ვითარების შემთხვევაში მოქმედებიშ შესაძლო შედეგებსა და იმ შედეგებს შორის, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას, როცა ეს მონაცემები (სუსტი ვითარება) არ არის.

მაგალითად, თუ ზუსტად ცნობილია, რომ **O1** ვითარების დადგომისას უნდა მივიღოთ **P4** გადაწყვეტილება, რადგან მოცემულ შემთხვევაში ის უზრუნველყოფს უმაღლეს მოგებას – 0,80. მაგრამ რადგან ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რომელ ვითარებას უნდა ველოდოთ, ვვარაუდობთ, რომ დადგება **O2** ვითარება და შეიძლება შევჩერდეთ **P3** გადაწყვეტილებაზე, რომელიც იძლევა 0,82 მოგებას. თუ ჩვენ მივიღეთ **P3** გადაწყვეტილება **O2** ვითარების იმედით, მაგრამ დადგა **O1** ვითარება, მაშინ მიღებული მოგება იქნება 0,35 (ნაცვლად 0,80-ისა **P4** გადაწყვეტილების მიღებისას). ამრიგად **P3** გადაწყვეტილების მიღებისას და **O1** ვითარების დადგომისას (**Hij**) დანაკარგები შეადგენს $0,80-0,35=0,45$.

საერთო შემთხვევაში **Hij** დანაკარგები, რომელიც შეესაბამება **Pi** გადაწყვეტილებისა და **Oj** ვითარების შესაბამის თითოეულ წყვილს, განისაზღვრება მაქსიმალური მოგებისა და მოცემულ ვითარებაში კონკრეტული გადაწყვეტილების მოგების სხვაობით.

ცხრილი 5.2. მონაცემების შესაბამისად **O1** ვითარებისას მაქსიმალური მოგება შეადგენს 0,80, ხოლო მოგება **P1** – **P4** გადაწყვეტილებაში შეადგენს შესაბამისად: 0,25; 0,75; 0,35; 0,80.

მაშინ დანაკარგები **O1** ვითარებისას, როცა მიღებულია

გადაწყვეტილება **P₁** , (**H₁₁**) შეადგენს $0,80-0,25=0,55$;

გადაწყვეტილება **P₂** , (**H₂₁**) შეადგენს $0,80-0,75=0,05$;

გადაწყვეტილება **P₃** , (**H₃₁**) შეადგენს $0,80-0,35=0,45$;

გადაწყვეტილება **P₄** , (**H₄₁**) შეადგენს $0,80-0,80=0$.

ასეთი სახით მიღებული დანაკარგები ყველა გადაწყვეტილებისათვის ყველა ვარიანტის შემთხვევაში მოცემულია ცხრილი 5.3.-ში.

ეფექტურობის ცხრილის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ დასკვნამდე, რომ **P₁** გადაწყვეტილება **O₂** ვითარების შემთხვევაში ტოლფასია **P₄** გადაწყვეტილებისა **O₃** ვითარებაში. თუმცა მითითებული გადაწყვეტილების ანალიზი, ცხრილი 5.3.-ის მონაცემების საფუძველზე გვიჩვენებს, რომ ისინი შეადგენენ შესაბამისად 0,47 და 0,05.

დანაკარგების სიდიდე ახალი სახის პროდუქციის გამოშვებისას

ცხრილი 5.3.

გადაწყვეტილების ვარიანტები	ვითარების ვარიანტები		
	O ₁	O ₂	O ₃
P ₁	0,55	0,47	0,00
P ₂	0,05	0,62	0,10
P ₃	0,45	0,00	0,30
P ₄	0,00	0,72	0,05

ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავება აიხსნება იმით, რომ **P₁** გადაწყვეტილების მეთოდს **O₂** ვითარებისას გააჩნია ეფექტურობა 0,35 მაშინ, როცა ამავე ვითარებაში შეიძლება მივიღოთ ეფექტურობა 0,82-მდე.

O₃ ვითარებაში **P₄** გადაწყვეტილება რეალიზებას უკეთებს თითქმის ყველა შესაძლო ეფექტურობას 0,40-დან, შედეგად **P₁** გადაწყვეტილება **O₂** ვითარებისას მნიშვნელოვნად (თითქმის 10-ჯერ)

უარესია, ვიდრე **P4** გადაწყვეტილება **O3** ვითარებისას.

ვთქვათ ვითარების პირველი ვარიანტის ალბათობაა **P1=0,5**; მეორის – 0,3 და მესამის – 0,2. მაშინ რისკის მაჩვენებელი თითოეული გადაწყვეტილებისათვის შეადგენს:

$$R_1 = 0,55 * 0,5 + 0,47 * 0,3 + 0,00 * 0,2 = 0,416$$

$$R_2 = 0,05 * 0,5 + 0,62 * 0,3 + 0,10 * 0,2 = 0,231$$

$$R_3 = 0,45 * 0,5 + 0,00 * 0,3 + 0,30 * 0,2 = 0,285$$

$$R_4 = 0,00 * 0,5 + 0,72 * 0,3 + 0,05 * 0,2 = 0,226$$

შესაბამისად, მოცემულ პირობებში **P4** გადაწყვეტილება ყველაზე ნაკლებად რისკიანია.

რისკის პირობებში გადაწყვეტილების მიღებისადმი ასეთი მიდგომა, შესაძლო ვარიანტების ანალიზის ალბათური (საშუალოშეწონილი) შედეგის მიღების საშუალებას იძლევა. განხილული მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს შეფასებისა და შედეგების ჭეშმარიტების ხარისხს. მითითებული მიდგომის გამოყენებისას შედეგების გაუმჯობესება ხდება მრავალჯერადი სამეურნეო ციკლების რიცხვში, წარუმატებელი დასასრულის რაოდენობის შემცირების შედეგად.

გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილების მიღებისას, როცა ვითარების შესაძლო ვარიანტების ალბათობა უცვლელია, შეიძლება გამოყენებული იქნას კრიტერიუმები, რომელთა არჩევა დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღები პირის რისკისადმი მიდრეკილებაზე.

გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებულ კლასიკურ კრიტერიუმთა რიცხვს მიეკუთვნება: ლაპლასის არასაკმარისი დასაბუთებულობის პრინციპი; ვალდის მაქსიმალური კრიტერიუმი; სევიჯის მინიმალური კრიტერიუმი და გურევიცის განზოგადებული მაქსიმინის (პესიმიზმი-ოპტიმიზმის)

კრიტერიუმი.

ლაპლასის არასაკმარისი დასაბუთებულობის პრინციპი

გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სავარაუდოდ ვითარების ნებისმიერი ვარიანტი სხვებთან შედარებით არც იმდენად ალბათურია. მაშინ ვითარების ალბათობები შეიძლება ჩაითვალოს ტოლად და გადაწყვეტილების მიღება ხდება რისკის საშუალოშეწონილი მაჩვენებლის მინიმუმით, ე.ი. უპირატესობა ეძლევა იმ ვარიანტს, რომელიც უზრუნველყოფს მინიმუმს

$$R_i = \sum_{j=1}^n H_{ij} \cdot P_j = \sum_{j=1}^n H_{ij} \cdot 1/n ; \quad i = 1 \dots m$$

გამოსახულებაში. სადაც n - ვითარების განხილული ვარიანტების რაოდენობა.

განვიხილოთ ვარიანტის არჩევა (გადაწყვეტილების მიღება) ლაპლასის არასაკმარისი პრინციპის გამოყენებით, ზემოთ მოყვანილი მაგალითის მონაცემების მიხედვით.

ვითარების სამი ვარიანტის გათვალისწინებით ($n=3$), თითოეული ვარიანტის ალბათობა 0,33-ია. მაშინ მოცემული დანაკარგის გათვალისწინებით, O ვითარებისა და P გადაწყვეტილების თითოეული შესამებული წყვილისათვის (ცხრილი 5.3.), 0,33-ის ტოლი ალბათობით, თითოეული გადაწყვეტილებისათვის რისკის საშუალოშეწონილი მაჩვენებელი შეადგენს:

$$R_1 = 0,55 * 0,33 + 0,47 * 0,33 + 0,00 * 0,33 = 0,3366$$

$$R_2 = 0,05 * 0,33 + 0,62 * 0,33 + 0,10 * 0,33 = 0,2541$$

$$R_3 = 0,45 * 0,33 + 0,00 * 0,33 + 0,30 * 0,33 = 0,2175$$

$$R_4 = 0,00 * 0,33 + 0,72 * 0,33 + 0,05 * 0,33 = 0,2541$$

ოპტიმალურად, მისაღებია P_3 გადაწყვეტილების ვარიანტი.

როგორც ჩანს, თავდაპირველად ყველაზე საუკეთესო იყო P_4 გადაწყვეტილება, მაგრამ ვითარების ვარიანტების ალბათობის ცვლილებამ გამოიწვია გადაწყვეტილების შეცვლა.

ვალდის მაქსიმინის კრიტერიუმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა გარანტია იმისა, რომ ნებისმიერ პირობებში, მოგება არ გახდეს ყველაზე ცუდ შემთხვევაზე ნაკლები. ე.ი. უკეთესი იქნება ის გადაწყვეტილება, რომლისთვისაც მოგება იქნება მინიმალური მნიშვნელობების სხვადასხვა ვარიანტებიდან – მაქსიმალური. ამ შემთხვევაში გამოყენებულმა კრიტერიუმმა მიიღო მაქსიმინის სახელწოდება და გამოიხატება: $\max \min a_{ij}$

როგორც ჩანს, ვალდის კრიტერიუმით გადაწყვეტილების მიღებისას, საწყის მონაცემებს წარმოადგენს a_{ij} მოგებები, რომელიც შეესაბამება O ვითარებისა და P გადაწყვეტილების შეხამების თითოეულ წყვილს.

ვისარგებლოთ იმავე მაგალითით და ცხრილი 5.2-ით. ცხრილიდან ჩანს, რომ მინიმალური შედეგებიდან მაქსიმალურია 0,25 და ამ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა P_1 ვარიანტს. ეს არის მაქსიმალურად გარანტირებული შედეგი (მოგება), რომელიც შეიძლება მიღებული იქნას არსებული საწყისი მონაცემების პირობებში.

P_1 გადაწყვეტილების არჩევით, ვითარების ვარიანტებისაგან დამოუკიდებლად ვღებულობთ მოგებას, რომელიც 0,25-ზე ნაკლები არ არის. ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილებისას (არახელსაყრელი ვითარების შემთხვევაში) შეიძლება 0,25-ზე ნაკლები შედეგის (მოგების) მიღება.

P_2 გადაწყვეტილების არჩევისას მიღებული მოგება, ვითარების მოცემულ ვარიანტებთან დამოკიდებულებაში მერყეობს 0,2-დან 0,75-

მდე. P_3 და P_4 გადაწყვეტილებებისათვის მოგება მერყეობს შესაბამისად $0,10 \div 0,82$ და $0,20 \div 0,80$ საზღვრებში.

მოცემული კრიტერიუმი უბრალო და მკაფიოა, მაგრამ კონსერვატიულია იმ თვალსაზრისით, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ორიენტირებს საკმაოდ ფრთხილ ზოლზე. ეს კრიტერიუმი არანაირად არ ითვალისწინებს, რომ P_1 გადაწყვეტილების მიღებისას (ანუ $0,25$ მოგებაზე ორიენტაციით), მაქსიმალური მოგება $0,4$ -ს არ აღემატება. იმ შემთხვევაში, როცა აირჩევა P_4 გადაწყვეტილება, გარანტირებული $0,20$ მოგებისას, ხელსაყრელი ვითარების შემთხვევაში შეიძლება $0,80$ -ის ტოლი მოგების მიღება.

ამიტომ ვაღდის კრიტერიუმი, გარკვეულწილად, სარგებლობს შემთხვევით, როცა ნებისმიერი შესაძლო პირობებისას აუცილებელია წარმატების მიღწევა.

სევიჯის მინიმალური კრიტერიუმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია გაექცე დიდ რისკს.

ამ კრიტერიუმის შესაბამისად, უპირატესობა ეძლევა იმ გადაწყვეტილებას, რომლისთვისაც პირობების განსხვავებულ ვარიანტებში მაქსიმალური დანაკარგები იქნება – მინიმალური და მისი გამოსატულებაა:

$$\max \min H_{ij}$$

$i \quad j$

სადაც H_{ij} – დანაკარგები, რომელიც შეესაბამება i გადაწყვეტილებას, ვითარების j ური ვარიანტისას.

ეს კრიტერიუმი მიეკუთვნება ფრთხილ თანრიგოსნებს. თუმცა ვაღდის კრიტერიუმისაგან (მიმართულია გარანტირებული მოგების მიღებისაკენ) განსხვავებით, სევიჯის კრიტერიუმი აკეთებს შესაძლო დანაკარგების მინიმიზაციას.

სევიჯის კრიტერიუმით გადაწყვეტილების მიღებისას, საწყის

მონაცემებს წარმოადგენს H_{ij} დანაკარგები, რომელიც შეესაბამება O ვითარებისა და P გადაწყვეტილების შესამების თითოეულ წყვილს.

აქაც ვისარგებლოთ იგივე მაგალითითა და ცხრილი 5.3.-ით, საიდანაც ჩანს, რომ მაქსიმალური დანაკარგებიდან მინიმალურია 0,45 და შესაბამისად უპირატესობა უნდა მიეცეს P_3 ვარიანტს, რადგანაც უზრუნველყოფს ამ დანაკარგს.

P_3 გადაწყვეტილების არჩევანი გარანტიას იძლევა, რომ არახელსაყრელი ვითარების შემთხვევაში დანაკარგები არ აღემატება 0,45. მაშინ, როცა P_1 ; P_2 და P_4 გადაწყვეტილებებისათვის არახელსაყრელი ვითარების შემთხვევაში დანაკარგები შესაბამისად შეადგენს: 0,55; 0,62 და 0,72.

ამ კრიტერიუმის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ვარაუდი იმის შესახებ, რომ ვითარების ვარიანტების დადგომაზე გავლენას ახდენს კონკურენტთა მოქმედება, რომელთა ინტერესი, გადაწყვეტილების მიმღები პირის ინტერესების საწინააღმდეგოა. ამიტომ, თუ კონკურენტებს შეუძლიათ პირველობის მოპოვება, ისინი ამას აუცილებლად გააკეთებენ. ეს ვითარება კი იძულებულს ხდის გადაწყვეტილების მიმღებ პირს, უზრუნველყოს დანაკარგების მინიმიზაცია.

გურვიცის განზოგადებული მაქსიმინის (პესიმიზმი-ოპტიმიზმი) კრიტერიუმი გამოიყენება გამოთვლილი ქცევის ყველაზე ცუდსა და ყველაზე უკეთეს ზოლზე გასაჩერებლად. ამ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა გადაწყვეტილების იმ ვარიანტს, რომლისთვისაც G სიდიდე მაქსიმალურია.

$$G_i = \{K \cdot \min_j a_{ij} + (1-K) \max_j a_{ij}\}$$

სადაც K – ოპტიმიზმის მაჩვენებელი კოეფიციენტი ($0 < K < 1$). როცა $K=0$...

a_{ij} – მოგება, რომელიც შეესაბამება i გადაწყვეტილებას, ვითარების j -ური ვარიანტისას.

დაკვირვებებისას ჩანს, რომ როცა $K=1$ გურვიცის კრიტერიუმი ემთხვევა ვალდის კრიტერიუმს, ანუ ორიენტაცია აღებულია ფრთხილ მოქმედებაზე. როცა $K=0$ – ორიენტაცია აღებულია ზღვრულ რისკზე, რადგან როგორც წესი, დიდ მოგებას თან სდევს დიდი რისკი. K -ს მნიშვნელობა 0-სა და 1-ს შორის შუალედურია რისკსა და სიფრთხილეს შორის. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება კონკრეტულ ვითარებასთან დამოკიდებულებით, გადაწყვეტილების მიმღები პირის რისკისადმი მიდრეკილებაზე.

ცხრილი 5.4.-ში მოყვანილია G -ს მნიშვნელობები გადაწყვეტილების სხვადასხვა ვარიანტებისათვის კოეფიციენტის სიდიდესთან დამოკიდებულებაში.

როგორც ჩანს, K -ს ცვლილებასთან ერთად შეიცვლება იმ გადაწყვეტილებათა ვარიანტები, რომელთაც უპირატესობა ეძლეოდათ.

გადაწყვეტილების მიღების განხილული საერთო (კლასიკური) მეთოდები საშუალებას იძლევა გადაწყვეტილება მიღებული იქნას ეკონომიკური მონაცემებისა და სიტუაციის განუსაზღვრელობისას, გარემო პირობების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციისას და ა.შ.

ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღების აღნიშნული მეთოდების გარდა გამოიყენება სხვა მეთოდებიც, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული ვითარებისათვის და რომლის დროსაც მეწარმე (ფერმერი) ღებულობს აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებ

G-ს მნიშვნელობა განსხვავებული K - თვის

ცხრილი 5.4.

გადაწყვეტილება	K კოეფიციენტის მნიშვნელობა				
	0,00	0,25	0,50	0,75	1,00
P ₁	0,400	0,362	0,325	0,287	0,250
P ₂	0,750	0,612	0,475	0,337	0,200
P ₃	0,820	0,640	0,460	0,280	0,100
P ₄	0,800	0,650	0,500	0,350	0,200
ოპტიმალური გადაწყვეტილება	P₃	P₄	P₄	P₄	P₁

რისკი – ეს არის მსოფლიოს მრავალასპექტური თვისება და მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ მიზნის მისაღწევად საჭირო რისკის ერთობლივი კონფიგურაციის შეცვლა. რისკ-მენეჯმენტის მმართველობითი ფუნქციაც სწორედ, დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო ყველა საშუალებების დროულ და კომპლექსურ მანიპულირებაში მდგომარეობს. ყოველივე აღნიშნულის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა ყველა ხელმძღვანელ პირს წარმოდგენა ჰქონდეს თანამედროვე რისკის მართვაზე, ხოლო თითოეულ წარმატებულ ფირმას გააჩნდეს რისკ-მენეჯმენტის შეგნებულად აწყობილი სისტემა.

XX საუკუნის ბოლოს შეიქმნა ახალი პრაქტიკული მიმართულება – ფირმის რისკების ინტეგრირებული მართვა, რომელიც სწრაფად ინერგება მსოფლიოს მრავალ წამყვან საწარმოში (ორგანიზაციებში). ეს ისეთი მიდგომაა, რომლის დროსაც ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროცესები განიხილება მოჭარბებული რისკისაგან ერთობლივი დაცვის პოზიციიდან. მთავარი ის კი არ არის, რომ მოცემული ორგანიზაცია (საწარმო) დიდია ან მცირე, არამედ ის, რომ

თანამედროვე ვითარებაში მკაცრი კონკურენცია იძულებულს გვხდის შეგნებულად აიწყოს მართვის ეს სისტემა.

დასკვნები და წინადადებები

ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე საშუალება გვქვდა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში აგრარული რეფორმები, განხორციელდა მოუფიქრებლად. ამ მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებულმა რეფორმებმა ეროვნული მეურნეობა კრიზისში მოაქცია, რაც ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა საკვლევი რეგიონის სოფლის მეურნეობისათვის.

ბოლო წლებში მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, რაც გამოიხატა ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების დონის მატებაში. იზრდება პროდუქტიული პირუტყვის სულადობა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ფართობები, მაგრამ ეს მინიმუმამდეც ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში სასურსათო პროდუქციაზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის საქმეში სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას.

2. თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც გამოიხატება ფერმერთა მიერ სამეურნეო რისკის საკითხებისადმი არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ მიდგომაშიც.

3. სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის გამოვლენასა და მისი შემარბილებელი მექანიზმების შემუშავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის უსაფრთხო

განვითარების მისაღწევად, ეკონომიკის შემდგომი პროგრესისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

4. ჩვენი კვლევის ობიექტი ზონაში შედის ხობის, სენაკის, ზუგდიდის, აბაშის რაიონები, სადაც შექმნილი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები მეტ-ნაკლებად ქმნიან ფერმერული მეურნეობების განვითარების საუკეთესო შესაძლებლობას.

5. საკვლევ რაიონებში დღეს მომქმედი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფორმებიდან მიზანშეწონილად მიგვაჩნია გლეხურ (ფერმერული) მეურნეობის ჩამოყალიბება და განვითარება და ამ მეურნეობების ოპტიმალური სიდიდეების განსაზღვრა სამეურნეო რისკის გათვალისწინებით.

არჩევანი შევაჩერეთ გლეხურ (ფერმერული) მეურნეობის განვითარებაზე, იმიტომ რომ, როგორც ვიცით ფერმერული მეურნეობები კაპიტალისტური საზოგადოებრივი წარმოებისათვის სოფლის მეურნეობის ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი ფორმას წარმოადგენს და ვინაიდან, ჩვენმა ქვეყანამ აირჩია განვითარების კაპიტალისტური გზა, ცხადია სოფლის მეურნეობის გარდაქმნაც უნდა მოხდეს კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამისად.

